პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 აპრილი **ოთხშაბათი** 2011
№091 (13388) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

12



# ოლიმპია ოლიმპთან

## ბოისა და ზერმადინი ადრიატიკის თასის ფინალში გავიდნენ

# აფროქართული დუბლი ვიტ ჯორჯიას კარში,

## რომელმაც თასის მფლობელს მთავარი საკადრო პრობლემა გაუჩინა



პირველლიგელი გაგრა ისტორიას წერს

ნიგერიელი ოვონიკოკო სატრანსფერო ქულებს იწერს

ვიტ ჯორჯიას მწვრთნელი განცხადებას წერს



2,4



# 15 000

## იმერული დერბის რეკორდი





# თავების ომი მესტალიაზე

## პიკე ესპანეთის მეფეს არ აღიარებს, მისი თასი კი უნდა

დღეს „კლასიკოების“ საგაზაფხულო სერიის მეორე მატჩია - „მესტალიაზე“ „სამეფო თასისთვის“ „ბარსელონა“ „რეალს“ დაუპირისპირდება. შეგახსენებთ, რომ მოკლე დროში 4 „კლასიკოს“ ხილვა გვიწევს, პირველი ჩემპიონატისაა და ის უკვე გაიმართა, დღეს თასის ფინალია, მომავალ კვირაში კი ჩემპიონთა ლიგის I ნახევარფინალური დაპირისპირებაა, შემდეგ კი მეორეც. მოკლედ, ფეხბურთის გულშემატკივრებს მოსაწყენად დრო არ გვრჩება, მით უფრო, რომ „რეალსა“ და „ბარსელონას“ შორის დაპირისპირება მოედანსმიღმაც ხურდება...

გუშინ „მარკამ“ დაწერა, რომ შაბათის კლასიკოს გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბში ინციდენტი მოჰყოლია, რომლის ინიციატორი ჟერარდ პიკე ყოფილა. თურმე თამაშის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალი პიკე გაჰყვიროდა: *„ესპანიოლიტოს, ახლა თქვენი მეფის თასსაც მოგიგებთ“*. ამას იქვე მყოფ მადრიდელთა, პეპეს, ადებაიორის, კარვალიოს, სერხიო რამოსისა და კასილიასის შესაბამისი რეაქცია მოჰყვა. პიკე ამტკიცებს, რომ პეპემ შეაფურთხა კიდეც, თუმცა პორტუგალიელი მცველი კატეგორიულად უარყოფს ამას. ის, რაც შაბათს გასახდელისკენ მიმავალ გზაზე მოხდა, შეიძლება ჟურნალიც კი იყოს, კინო ამალამ „მესტალიაზე“ იქნება...

ნიკოლოზ ნეფარიძე

9



ჟერარდ პიკემ (მარჯვნივ) მადრიდელებთან გასახდელშიც იჩხუბა

# დინამო

## გამოტოვებული სამი ქულა შეიმატა, ბევრ ლეგიონერს კი მოიკლებს

3



19.04. თბილისი. მერანი (ზეემკას).
1 200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| გაგრა | 3 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

1:0 კვანტალიანი (17), 2:0 ოვონიკოკო (31), 3:0 ოვონიკოკო (78)

| გაგრა 3-5-2 | ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 |
|---|---|
| სეფიაშვილი | ა. მიქაბერიძე |
| ტყეშელაშვილი | ხურცილავა |
| ზ. ჩხეტიანი | ადამაძე |
| კალანდაძე | კასრაძე |
| ხუციძე | ქანკვეტაძე |
| ნ. ჯიშკარიანი | ვასაძე |
| დ. გიგაური | გურ. გურეშიძე |
| გაბედავა | ბექვაია |
| შარიქაძე | ჯანელიძე |
| კვანტალიანი | კორიფაძე |
| ოვონიკოკო | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. პისკოვეცი | მ. კოჭლაშვილი |

**გაგრა**

42. გაბედავა – **მოსიაშვილი**
58. გიგაური – **გაბუნია**
66. შარიქაძე – **ქართველიშვილი**
სათადარიგოები: ნადირაშვილი, კობერიძე, ჭკუასელი, ციცხვაია

**ვიტ ჯორჯია**

79. ვასაძე – **მაისაშვილი**
სათადარიგოები: ძაძამია, გოგიაშვილი, გაბრიჭიძე, გიორგი გურეშიძე, ზაქრაძე, როსტიაშვილი

გაფრთხილება: ჩიმაკაძე (32), ოვონიკოკო (45)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

# გაგრა ისტორიის ფურცლებზე

## ოვონიკოკო ზემოთ მიიწევს. აფრო-ქართველის პროგრესი აშკარაა



გაგრას ფორვარდმა ოვონიკოკომ ჯერ მცველი მოატყუა, მერე მეკარე და ბურთი კარში შეაგორა







არავინ ელოდა, რომ ორრაუნდიანი სათასო დაპირისპირების ბედი გუშინ თითქმის გადაწყდებოდა, მაგრამ მოვლენები სწორედ იმგვარად განვითარდა, რომ "გაგრამ" საქართველოს თასის ფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა. თასის ჯერ კიდევ მოქმედ მფლობელ "ვიტ ჯორჯიას" მხოლოდ სასწაული თუ უშველის, თორემ **ანატოლი პისკოვეცის** გუნდს არსებობის ისტორიაში საუკეთესო შედეგის მიღწევაში ხელი ვერაფერმა უნდა შეუშალოს. "გაგრა" მხოლოდ საკუთარ კი არა, ქართული ფეხბურთის ისტორიაშიც ჩაწერს ახალ ფურცელს – აქამდე საქართველოს თასის ფინალში ქვედალიგელ კლუბს არასდროს გაულწევია.

თამაშის შინაარსიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუმრები გამანადგურებელ მარცხს არ იმსახურებდნენ, მაგრამ მთავარი ხომ ისაა, რომელი მხარე გამოიყენებს შესაძლებლობებს. ამ მხრივ კი "გაგრა" უნაკლო იყო – მასპინძლებმა, ფაქტობრივად, ყველა საგოლე ეპიზოდში იხეირეს.

"გაგრამ" "ვიტ ჯორჯიას" ტაქტიკურადაც აჯობა. პისკოვეცმა ძირითადში სამი ცენტრალური მცველი გაამწესა, რომელთაც მეტოქის შეტევებისას ფლანგელები ეხმარებოდნენ და ამ დროს უკანა ხაზი ხუთი კაცის შემადგენლობით მოქმედებდა. შეტევისას კი ფრთის ფეხბურთელები არანაკლებ აქტიურები იყვნენ. ვეტერინარების დაცვა კი ძალიან არასაიმედოდ გაისარჯა და შედეგიც, უპირველესად, ამან განაპირობა.

"ვიტ ჯორჯიამ" ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშა, "გაგრამ" კი დისკვალიფიკაციის გამო ორი უკრაინელი, **ნაკონეჩნი** და **ორდინსკი** მოისაკლისა. ნაკონეჩნის არყოფნაში პისკოვეცმა ცენტრფორვარდი **გიორგი გაბედავა** ნახევარდაცვის ცენტრში გაამწესა.

მატჩის გმირი უდავოდ ნიგერიელი **ოვონიკოკოა**, რომელმაც ორი ბრწყინვალე გოლის გარდა თავი დიდი მოცულობის სამუშაოთიც დაგვამახსოვრა. ახალგაზრდა აფრიკელი თავდამსხმელის პროგრესი აშკარაა. ვფიქრობთ, იგი ახლავე იქნებოდა უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი და კარიერის საზღვარგარეთ გასაგრძელებლადაც მომწიფებულია.

ბურთის ფლობის მაჩვენებელი ორივე გუნდს თანაბარი ჰქონდა, მეტოქეები მოედნის თითოეული მონაკვეთისთვის გააფთრებით იბრძოდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, საქმე ზღვარგადასულ უხეშობამდე არ მისულა. ტემპიც საკმაოდ მაღალი იყო.

ანგარიში "ვიტ ჯორჯიას" დაცვის უხეში შეცდომით გაიხსნა. ბურთი თამაშში "გაგრას" მეკარე **კოკა სეფიაშვილმა** შეიყვანა, სტუმართა უკანახაზელებმა კი მიიჩნიეს, რომ ეს ხიფათს არ მოასწავებდა და ალარ უბრძოლიათ ბურთისთვის, რომელსაც **შალვა კვანტალიანი** წამოეპარა და მეკარესთან პირისპირ გასულმა თავისიანები დააწინაურა.

31-ე წუთზე ოვონიკოკომ ვიტელთა ორ მცველს პოზიციური ბრძოლა მოუგო და, როგორც კი ბურთი მოიგდო, საჯარიმოს მისადგომებიდან მოჭრილი დაუხანებლად დაარტყა. **არდალიონ მიქაბერიძემ** ბურთს თითები წაჰკრა და მიმართულება ოდნავ შეუცვალა, თუმცა... გოლი ულამაზესი გამოვიდა – 2:0.

მეორე ტაიმში "ვიტ ჯორჯია" აშკარად მოფერიანდა, მასპინძლებს კი თავი დიდად ალარ გამოუდვიათ და მეტ დროს საკუთარი კარის უსაფრთხოებას უთმობდნენ. ვიტელებმა სათამაშო სივრცეები კარგად აითვისეს, მაგრამ მეტოქის ორგანიზებულ დაცვას ბევრს ვერაფერს უხერხებდნენ. უნდა გავიხსენოთ "ვიტ ჯორჯიას" კაპიტნისა და ლიდერის, **გიგა ბექვაიას** "მაკრატელა", რომელიც სეფიაშვილმა კუთხურზე მოიგერია.

და როგორც ხდება ხოლმე: შეტევით გართულ ვიტელებს "გაგრას" კონტრშეტევა გამოეპარათ. ოვონიკოკო ისევ იოლად გაუსწორდა სტუმართა დაცვას, მეკარეც ჩამოიტოვა და ბურთი კარის ბადეში შეაგორა. სავსე ტრიბუნებმა, სადაც შეკრებილთა აბსოლუტური უმრავლესობა "გაგრას" ქომაგი იყო, პისკოვეცის გუნდი ტაშით დააჯილდოვა, განსაკუთრებული ქება კი, რაღა თქმა უნდა, დუბლის ავტორმა დაიმსახურა.

ასე შთამბეჭდავად გაიწია ფინალისკენ გუნდმა, რომელიც სეზონის დაწყებამდე მიზნად უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას ისახავდა, მაგრამ მადა ჭამაში მოვიდა და დღეს თასის ფინალიც სავსებით რეალურია და ევროტურნირის საგზურიც.

## ჩვენ ნაადრევად არ ვზეიმობთ

**ანატოლი პისკოვეცი:** *"ორმატჩიან სათასო დაპირისპირებებს თავისი სპეციფიკა აქვს და ზუსტად ისე მოვემზადეთ, როგორც სიტუაცია მოითხოვდა. ჩვენი მთავარი ამოცანა გოლის არგაშვება იყო, თქვენ წარმოიდგინეთ, 0:0-იც კი დამაკმაყოფილებდა. კონტრშეტევებზე ვითამაშეთ და ჩვენი არჩევანი სწორი გამოდგა. ყველაფერს მაინც მეორე მატჩი გადაწყვეტს. ბუნებრივია, ფინალში გასვლის სოლიდური შანსი გვაქვს, მაგრამ ზეიმის ნაადრევად მოწყობას არ ვაპირებთ".*



## გაგრამ კოჭლაშვილს გადადგომა გადააწყვეტინა



*"დღევანდელი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, ჩემი მხრიდან ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება გადადგომა იქნება. "ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელის თანამდებობას საკუთარი სურვილით ვტოვებ"*, - გვითხრა "გაგრასთან" მატჩის დასრულებისთანავე **მერაბ კოჭლაშვილმა**. კითხვაზე, ამ ნაბიჯს მხოლოდ "გაგრასთან" წაგების გამო დგამდა თუ გადაწყვეტილებისთვის სხვა მიზეზებიც ჰქონდა, კოჭლაშვილმა გვიპასუხა, რომ "გაგრამდე" გადადგომაზე არ უფიქრია...

გუშინვე შევიტყვეთ, რომ "ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობამ მისი სურვილი დააკმაყოფილა. კლუბის მესვეურებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, ვინ უხელმძღვანელებს "ვიტ ჯორჯიას" მომდევნო შეხვედრებში. კოჭლაშვილი კი, სავარაუდოდ, კლუბში მუშაობას გააგრძელებს.

კოჭლაშვილი "ვიტ ჯორჯიაში" 2000 წელს მივიდა და გარკვეული პერიოდი იქ მეორე მწვრთნელად იმუშავა, 2004 წელს კი მთავარი მწვრთნელის რანგში კლუბს საქართველოს ჩემპიონობა მოაპოვებინა. იმავე წელს მან "ვიტ ჯორჯია" დატოვა და იქ 2006 წელს დაბრუნდა. სამი წლის განმავლობაში ვეტერინართა მეორე გუნდში მუშაობდა, 2009 წელს კი **რამაზ მუმლაძის** ნაცვლად მთავარი მწვრთნელის თანამდებობას დაუბრუნდა, თუმცა მალე "ვიტ ჯორჯიაში" **გელა გომელაური** მივიდა და გუნდის ფაქტობრივი თავკაცი გასული წლის ზაფხულამდე სწორედ იგი იყო. ამ სეზონში კი კოჭლაშვილი ვიტელთა "ნამდვილი" მესაჭე გახლდათ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.* ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იღბალიც ძლიერის მხარეს...

19.04. თბილისი. ბ. პაიჭაძე.
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 2 |
| ბაია | 1 |

0:1 ეხვაია (48), 1:1 კოშკაძე (68), 2:1 ხმალაძე (90, პენალტით).

| დინამო 4-2-3-1 | ბაია 4-2-3-1 |
|---|---|
| ლორია | სომხიშვილი |
| თომაშვილი | აფაქიძე |
| კაკუბავა | აქუბარდია |
| ჰომოლა | რ. ონიანი |
| ხმალაძე | ქვარცხავა |
| ფირცხალავა | სიხარულია |
| არზიანი | შონია |
| როზერტინიო | რიგვავა |
| კოშკაძე | ეხვაია |
| კახელიშვილი | საჭუჩია |
| ტატანაშვილი | ქობალია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| კ. კაჭარავა | ე. ქომეთიანი |

**დინამო**

55. ტატანაშვილი - **ფანცხავა**
58. ფირცხალავა - **თექთურმანიძე**
83. არზიანი - **გ. კვარაცხელია**

*სათადარიგოები: **ზარქუა, კვეკვესკირი, მაროვიჩი, ლონლაძე***

**ბაია**

14. აქუბარდია - **სვირავა**
72. რიგვავა - **თ. აკობია**
75. ეხვაია - **ქირია**

*სათადარიგოები: **ზაუტაშვილი, კ. ახალაია, კუკავა, ჩანგელია***

გაფრთხილება: ეხვაია (48), ფირცხალავა (57), ქირია (90).
არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)

გუშინდელი გამარჯვების შემდეგ „დინამომ" კიდევ უფრო შეამცირა სხვაობა კონკურენტებთან, თუმცა, ასეთი თამაშით, ვეჭვობთ, გუნდის საჩემპიონო შანსებზე ვინმემ ალმატებულ ხარისხში ისაუბროს. არადა, ოთხი დღის წინ იყო, „დინამომ" მართლაც ჩინებული სანახაობა რომ შემოგვთავაზა და მეტად და მეტად ძლიერ მეტოქეს, ქვეყნის ჯერ კიდევ მოქმედ ჩემპიონს „ოლიმპს" დამსახურებულად მოუგო. აი, გუშინ კი „დინამოს" ცნობა შეუძლებელი იყო (განსაკუთრებით, პირველ ტაიმში) და არც იმას დავმალავთ, „ბაიას" ნაცვლად ფიზიკურად ბევრად უკეთ მომზადებული მეტოქე რომ ყოფილიყო, მასპინძელთა საჩემპიონო შანსები, ფაქტობრივად, დასრულებულიც იქნებოდა. თუმცა, ფეხბურთში, ხშირ შემთხვევაში, მონდომებასთან ერთად, იღბალიც... ძლიერის მხარეს არის ხოლმე და, ასე მოხდა გუშინაც: პირწმინდად „ჩაგდებული" პირველი ტაიმის შემდეგ და იმის მიუხედავად, რომ ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, „დინამომ" მაინც შეძლო თამაშის შემოტრიალება!

...წინა მატჩისგან განსხვავებით, „დინამოს" შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება მოხდა: ძირითადს დაუბრუნდნენ დისკვალიფიკაციამოხდილი **ზურაბ არზიანი** და **გიორგი კახელიშვილი**, სამაგიეროდ ყვითელი ბარათების სიმრავლის გამო შეხვედრას ტოვებდა **დონალდ ჯუისი** (კამერუნელი გარემარბი ამ ბოლო დროს ჩინებულ ფორმაში იყო). აი, სტუმრებს კი სხვადასხვა მიზეზით ძირითადის სამი ფეხბურთელი (**ლევან წურწუმია, შოთა ლომია, ილია გამრეკლიძე**) აკლდა. თუმცა, „ბაიას" პრობლემები ამით არ ამოწურულა — უკვე მატჩის დასაწყისშივე ტრავმა მიიღო **მაკარ აქუბარდიამ** და სტუმართა მთავარ მწვრთნელს **ელგუჯა ქომეთიანს** ტაქტიკური გადაადგილებების გაკეთებამ მოუწია. ამის მიუხედავად, პირველ ტაიმში სტუმრებმა მართლაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვეს და ორ ეპიზოდში ძალიან ახლოსაც იყვნენ გოლის გატანასთან; თანაც, ორივეჯერ ფაქტობრივად, ერთ და იმავე ადგილიდან (პენალტის ნიშნულის სიახლოვიდან) ურტყამდნენ „ბაიას" ფეხბურთელები, მაგრამ **ირაკლი ქობალიამ** და **როინ ონიანმა** ეს შანსი ვერ გამოიყენეს. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, პირველ ტაიმში „დინამომ" მხოლოდ... ერთხელ დაარტყა სტუმართა კარში, მაგრამ **გიორგი კახელიშვილმა გიორგი სომხიშვილს** ვერ აჯობა.

... მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, „დინამოს" დაცვამ მორიგი შეცდომა რომ დაუშვა და „ბაიას" შემადგენლობაში ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა 22 წლის **ირაკლი ეხვაიამ** მეტოქეებთან ჭიდილში მაინც შეძლო ზუსტი დარტყმის განხორციელება — 0:1! აი, ეს კი უკვე სენსაციას ნიშნავდა, თუმცა არავინ იცის, შემდგომში როგორ განვითარდებოდა მოვლენები, 18 წლის **ზვიად სიხარულიას** შორეული დარტყმა რამდენიმე... მილიმეტრით მარცხნივ რომ წასულიყო — სტუმართა ჭაბუკი ნახევარმცველის „გასროლილი" „დინამოს" კარის ძელს მოხვდა. საერთოდაც, 80 პროცენტით 19-20 წლის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „ბაია" ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა; უბრალოდ, ის იყო საკითხავი, თუ რამდენად შეძლებდა გუნდი მრისხანე მეტოქის ზეწოლის გაძლებას. ამასობაში კი „დინამოს" შემადგენლობაში ახალწვეულიც გამოჩნდა: 21 წლის **გიორგი ფანცხავა** გუშინ დილით მასმედიას წარუდგინეს, როგორც გუნდის ახალი ფეხბურთელი და უკვე საღამოს მატჩის ერთ-ერთი გმირი გახდა. მართალია, ფანცხავას გოლი არ გაუტანია, მაგრამ „დინამოს" გამარჯვებაში უდიდესი წვლილი რომ შეიტანა, ფაქტია. ჯანიანი ცენტრფორვარდი აქტიურად ჩაერთო თამაშში და ერთი-ორჯერ მწვავედაც შეუტია მეტოქის კარს; განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ფანცხავას უპირატესობა... ძალისმიერ ორთაბრძოლებში: სტუმართა მცველებს აშკარად უჭირდათ ფიზიკურად ძლიერი ფორვარდის შეჩერება. თუმცა, „ბაიას" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავიანთთვის სასურველი (და, რაღა თქმა უნდა, საპატიო) ანგარიშის შესანარჩუნებლად, გუნდი დაცვაში არ „ჩამჯდარა" და დროდადრო მწვავე კონტრშეტევებითაც აწუხებდა ფავორიტ მეტოქეს. ერთ ეპიზოდში 19 წლის **ირაკლი ქობალიამ** „გაისროლა" შორიდან, მაგრამ ბურთი მიზანს ასცდა. თუმცა, „დინამო" მეტოქეზე ზეწოლას ახორციელებდა და ერთ-ერთი სტანდარტულის დროს გუნდის კაპიტანმა **ალექსანდრე კოშკაძემ** საჯარიმო დარტყმა მართლაც ჩინებულად (გამორბენის გარეშე) შეასრულა და ანგარიშიც გაათანაბრა. აი, ამის შემდეგ იყო, „დინამო" ფაქტობრივად, მთელი გუნდით შეტევაზე რომ გადავიდა, მაგრამ **ზურაბ არზიანის, გიორგი თექთურმანიძისა** და **ვახტანგ ფანცხავას** მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** მატჩის მიწურულს „ვა ბანკზე" წავიდა და „დინამოს" ტაქტიკამაც, ერთი შეხედვით, უცნაური სახე მიიღო — 4-2-4. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ თავდასხმის ცენტრში ფანცხავას გვერდით... ამპლუით მცველი **გივი კვარაცხელია** მოქმედებდა. და აი, მატჩის ბოლო წუთი იწურებოდა, სწორედ შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა რომ იყოჩაღეს და „დინამოს" გამარჯვების შანსიც შეუნარჩუნეს; ყველაფერი კი ასე მოხდა: გივი კვარაცხელიამ საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო და თავით ბურთი ფანცხავას დაუგდო, ამ უკანასკნელმაც მოხდენილი ფინტით მეურვე ჩამოიცილა და... მოედანზე წაქცეულიც აღმოჩნდა. შეხვედრის არბიტრმა **ლაშა სილაგავამ,** ალბათ, რამდენიმეწამიანი პაუზა გააკეთა და ამის მერე მიუთითა საპენალტე ნიშნულისკენ: თერთმეტმეტრიანი კი „დინამოს" შტატიანმა პენალტისტმა **ლევან ხმალაძემ,** როგორც სჩვევია, ამჯერადაც ზუსტად შეასრულა და თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუტანა. სხვათა შორის, შაბათს, 23 აპრილს გუშინდელი მეტოქეები კვლავაც უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, — ოღონდ ამჯერად ზუგდიდში ჩატარდება „დინამოს" და „ბაიას" ამ სეზონში მეოთხე დაპირისპირება.

**გია ტუხაშვილი**

*P.S. ეროვნული სტადიონის ვიპ-ლოჟაში, ისე როგორც „ოლიმპთან" შეხვედრისას, გუშინაც ხალხმრავლობა იყო; მასპინძელთა ხელმძღვანელობასთან ერთად გუშინდელ მატჩს თვალს ადევნებდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი **ზაზა გოროზია.***

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | გატ | გაშ | |
| 1 | ზესტაფონი | 30 | 19 | 6 | 5 | 55 | 15 | 63 |
| 2 | ოლიმპი | 30 | 17 | 6 | 7 | 42 | 24 | 57 |
| 3 | დინამო | 29 | 16 | 8 | 5 | 42 | 15 | 56 |
| 4 | ტორპედო | 30 | 10 | 11 | 9 | 21 | 18 | 41 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 29 | 12 | 3 | 14 | 29 | 33 | 39 |
| 6 | ბაია | 30 | 11 | 5 | 14 | 27 | 39 | 38 |
| 7 | სიონი | 30 | 9 | 8 | 13 | 23 | 34 | 35 |
| 8 | კოლხეთი | 30 | 8 | 8 | 14 | 18 | 37 | 32 |
| 9 | სპარტაკი | 30 | 6 | 8 | 16 | 27 | 37 | 26 |
| 10 | სამტრედია | 30 | 6 | 7 | 17 | 23 | 55 | 25 |



ანგარიში ზუგდიდელმა ირაკლი ეხვაიამ გახსნა



ალექსანდრე კოშკაძის საგოლე საჯარიმო დარტყმა და...


...გოლი ბაიას კარში





ვახტანგ ფანცხავას წაქცევა და ლევან ხმალაძის ზუსტად დარტყმული პენალტი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

დინამო. ახალწვეული

## დინამო და ფანცხავა

### სამი წელი 6 ნომრით




მოურინიოს სიტყვებია - მე ფეხბურთელის ხასიათი კი არა, მისი გოლები მაინტერესებსო. ერთხელ ამ თემაზე საუბრისას **მიხეილ ყაველაშვილმა** თქვა, ჩვენთან **როი კინი** რომ დაბადებულიყო, ხასიათის გამო დაიწუნებდნენ და მოედანს არ გააკარებდნენო.

ეს შესავალი **ვახტანგ ფანცხავას** გამო დაგვჭირდა, რომელსაც ბევრი ხასიათის გამო იწუნებდა, რთულ ბიჭს უწოდებდნენ, მაგრამ თბილისის "დინამომ" ნიჭიერი ფეხბურთელი შენიშნა, გუშინ მედიას საჯაროდ წარუდგინა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

არასტანდარტული წონის, აღნაგობისა და ხასიათის მქონე 21 წლის თავდამსხმელი ბომბარდირული ნიჭით გამოირჩევა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ წევრს აგრესიულ და გამტან თავდამსხმელად ახასიათებენ.

>> მე-4 გვერდზე

● დინამო. ახალწვეული

# დინამო და ფანცხავა

« მე-3 გვერდიდან

ფანცხავა გუშინ თბილისის "დინამოს" გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა** და სპორტულმა დირექტორმა **გიორგი ნემსაძემ** წარადგინეს და 6-ნომრიანი მაისურა გადასცეს.

ფეხბურთელზე პირველად "დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** ილაპარაკა: *"ვახტანგ ფანცხავამ ევროპული კლუბები ადრეულ ასაკში დააინტერესა. თამაშობდა "ლე მანის" დუბლშემადგენლობაში, უკრაინულ და უნგრულ კლუბებში, მაგრამ ახლა საქართველოში დაბრუნება და "დინამოში" თამაში გადაწყვიტა".*

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:** *"ვახტანგი თავად დაგვიკავშირდა და "დინამოში" თამაშის სურვილი გამოთქვა. მივესალმები ყველა იმ ქართველ ფეხბურთელსაც, რომელსაც საქართველოში დაბრუნება და თამაში სურს. ფანცხავას "დინამოში" ჩარიცხვა ჩვენი მთავარი მწვრთნელის კახა კაჭარავას დამსახურებაა, რომელიც მას კარგად იცნობდა. ფანცხავა ჩვენთან სამი კვირა ვარჯიშობდა და ვაკვირდებოდით. ვიცით, დიდი პოტენციალი აქვს, ჩვენთვის საინტერესო შენაძენი იქნებოდა და სამწლიანი კონტრაქტი გავუფორმეთ. "დინამოსთვის" თავდამსხმელი სერიოზული აქტივია, რადგან საქართველოში ამ ამპლუაში მაღალი კლასის მოთამაშეთა დეფიციტია. დანარჩენი კი მოედანზე უნდა გვაჩვენოს".*

**გიორგი ნემსაძე:** "უნგრულმა კლუბმა მისი გათავისუფლების ფურცელი გამოგვიგზავნა. რადგან ფანცხავა თავისუფალი აგენტი იყო და მისი განაცხადში შეყვანისა და თამაშის უფლება უკვე გვაქვს".

ვახტანგ ფანცხავას "ლელომ" ინტერვიუ ჩამოართვა.

**- უნგრეთიდან შენი დაბრუნება მოულოდნელი იყო. "დიორი ეტოსთან" ურთიერთობა აგერია?**

- კონტრაქტი დამიმთავრდა და დარჩენაც აღარ მსურდა. მერე შევეხმიანე "დინამოს", ვიცოდი, ახალგაზრდული გუნდის ჩამოყალიბება სურდათ და გამიხარდა, ჩემი აყვანა რომ მოისურვეს. საქართველოს ყველაზე პოპულარულ კლუბში თამაშის პერსპექტივა კი ძალიან მახარებს.

**- უნგრეთში კარიერა რატომ ვერ აგეწყო, "დიორი ეტოს" ვერ შეეწყვე?**

- ხომ იცით, ხდება ხოლმე, ზოგჯერ ერთმანეთს ვერ ეწყობიან. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. მთავარია, მე და კლუბი კარგად დავშორდით ერთმანეთს და კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გავწყვიტეთ. ახლა მთავარი ისაა, რომ დავბრუნდი და იმედია, ხალხს ვაჩვენებ, რაც შემიძლია.

**- სხვა წინადადება არ გქონია?**

- წინადადებები იყო, მაგრამ "დინამოში" თამაში ვამჯობინე. ჩემთვის მნიშვნელოვანია ის პერსპექტივა, რაც ამ გუნდში გამოჩნდა – ახალი, ახალგაზრდული და, დარწმუნებული ვარ, პერსპექტიული გუნდი ჩამოყალიბდება.

უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისის "დინამო" საქართველოში დამკვიდრებული საკადრო პოლიტიკის უაზრო შაბლონზე უარს ამბობს. "უხასიათო ნიჭიერთა" დაწუნება ხომ ჩვენი ფეხბურთის უბედურებად იქცა - ამას "ლოგიკურად" ასაბუთებენ დაწუნებულის პიროვნული ნაკლით, მაგრამ ვერავინ ახსნის, რატომ ვკარგავთ ნიჭიერ ბავშვებს მასობრივად.

*"მენტალიტეტი და ფეხბურთელის ხასიათი ბევრჯერ გამხდარა ნიჭიერი მოთამაშის დაწუნების მიზეზი. ფანცხავას ჩამოყვანა ამ უაზრო შეხედულებას ეწინააღმდეგება. მას რატომღაც რთულ ფეხბურთელად მიიჩნევდნენ, მაგრამ ნიჭიერია, გატანა ეხერხება და ვერც იმას ვხვდები, ასე რატომ მონათლეს - პირველი შთაბეჭდილება საკმაოდ კარგია.*

*ჩვენ გამტანები გვჭირდება, მის ხასიათს კი რამენაირად გავუგებთ და არა მგონია, პრობლემა შეგვექმნას. ასე ნებისმიერი მოთამაშე შეიძლება რთულ პიროვნებად მონათლო, მაგრამ ფეხბურთელს ჯერ უნდა გაუგო, ნიჭის გამოვლენაში შეეშველო და გუნდის ინტერესების გათვალისწინება ასწავლო. იმ დროს, როდესაც კვალიფიციური მოთამაშეების დეფიციტია, ნიჭიერი ბიჭების ხელისკვრა გაუმართლებელია, მეტიც, დანაშაულია.*

*ჩემი ფეხბურთელობისას ბევრზე მსმენია, უხასიათოაო, სინამდვილეში კი არანაირი რთული ადამიანები არ ყოფილან, მწვრთნელი ვერ უგებდა. ფეხბურთელს უნდა გაუგო, ყველასთან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. მწვრთნელს კი იმიტომაც ნიშნავენ, რომ რთული ხასიათისაა თუ არა, ნიჭიერ ფეხბურთელს უნდა გაუგოს, მოედანზე ადგილი უპოვოს და გუნდის ინტერესებისთვის გამოიყენოს"* – ამბობს ნემსაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

## გიორგი ნემსაძე:
# ბევრ ლეგიონერს კონტრაქტს აღარ გავუგრძელებთ

**ბოლოდროინდელი კულუარული ცნობით, თბილისის "დინამოს" საკადრო პოლიტიკა რადიკალურად შეიცვლება – ცხადია, "დინამო" და ტრანსფერები საინტერესო თემაა და კლუბის სპორტულ დირექტორ გიორგი ნემსაძეს ველაპარაკეთ.**

**- სარწმუნო ცნობებით, რასაც ფანცხავას დამატებაც ადასტურებს, "დინამოში" ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების შეკრებას აპირებთ.**

- დიახ, ასე იქნება და უპირატესობას ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს მივანიჭებთ. ეს იმიტომ, რომ თბილისის "დინამოს" უპირველესი დანიშნულება ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებებისთვის მომავალი ვარსკვლავების გაზრდა იყო და შემდგომშიც ამ მიზანს უნდა ვემსახუროთ. საქართველოში კი ძლიერი თაობები ყოველთვის იზრდებოდნენ და ეს პოტენციალი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. მოკლედ, თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები უპირველესად ქართულ ფეხბურთს უნდა წაადგნენ.



გიორგი ნემსაძე

**- ეს უცხოელებზე უარის თქმას ნიშნავს?**

- არა, რატომ, უცხოელებიც დაგვჭირდებიან, მაგრამ მერე და მერე "დინამოს" აკადემია მთელი ძალით ამუშავდება, ჩვენ კი უმთავრესი შევსება სწორედ იქიდან უნდა მივიღოთ. აკადემიამ კონვეიერივით გამართულად უნდა იმუშაოს. სამართლიანი და გონივრული სელექციითა და დაუზარელი საქმიანობით ეს შესაძლებელი იქნება.

**- ფანცხავას გარდა, კიდევ რომელი ახალგაზრდა ქართველის დამატებას აპირებთ?**

- რამდენიმე მოთამაშის მოწვევა გვსურს, ზოგთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია, მაგრამ სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე გვარების დასახელებას მოვერიდები. საქმე ისაა, რომ თითოეულ კანდიდატურას დეტალურად და სხვადასხვა კრიტერიუმით ვარჩევთ და საბოლოო გადაწყვეტილებას ამის მიხედვით მივიღებთ. ფეხბურთელი დინამოელობას უნდა იმსახურებდეს არა მხოლოდ კლასით, არამედ მენტალიტეტით, საქმისადმი მიდგომით, ბრძოლისუნარიანობით და კარგად უნდა ესმოდეს, რა გუნდში მოხვდა.

**- მართალია, სეზონის დასრულების შემდეგ ლეგიონერების უმრავლესობას "დინამოდან" უშვებენო?**

- ცუდი ლეგიონერები არ გვყავს, მაგრამ მოწვეული ადგილობრივს ბევრად უნდა სჯობდეს, სხვაგვარად მის გაჩერებას აზრი არ აქვს. მიმაჩნია, რომ ასეთები ჯერჯერობით "დინამოში" არ არიან. ამიტომ ვფიქრობ, რომ ბევრს ხელშეკრულებას აღარ გავუგრძელებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

● საქართველოს თასი. ნახევარფინალი. მატჩი

...ბიბლიოთეკა



19.04. ქუთაისი. ტორპედო.
15 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 1 |
| ზესტაფონი | 0 |

1:0 მეგრელაძე (65.სეთურიძის პასით)

| ტორპედო 3-5-2 | ზესტაფონი 4-2-3-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | რ. კვასხვაძე |
| დ. ფოფხაძე | ალადაშვილი |
| ფარულავა | გ. ონიანი |
| თოდუა | ხიდეშელი |
| ჩიკვილაძე | კობახიძე |
| დოლიძე | ბაბუნაშვილი |
| დილმელაშვილი | დაუშვილი |
| გ. დათუნაიშვილი | ძარია |
| გ. სეთურიძე | გრიგალაშვილი |
| ვ. კვარაცხელია | დვალი |
| მეგრელაძე | წინამძღვრიშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. გიგატაძე | გ. გეგუჩაძე |

**ტორპედო**

64. კვარაცხელია - **საბანაძე**
81. დოლიძე - **თარხნიშვილი**
*სათადარიგოები: ქვილითაია, რ. გოცირიძე, მაჭავარიანი, გუგუჩია, ბაკურაძე*

**ზესტაფონი**

62. ძარია - **გორგიაშვილი**
73. წინამძღვრიშვილი - **ს. ლომია**
86. ბაბუნაშვილი - **ბენაშვილი**
*სათადარიგოები: მამალაძე, გ. ფოფხაძე, გრუიცა, ჭანკოტაძე*

გაფრთხილება: ძარია (45), ფარულავა (50), ალადაშვილი (53)
არბიტრი: ლ. კვარაცხელია

# 15 000 ქუთაისი სიხარულით აივსო

## არაა, ძამიკო, დასაჯდომი ადგილი და რა ვქნა...

მატჩმა ქუთაისში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. „ტორპედოს" ხელმძღვანელობამ ეს გაითვალისწინა და დასწრება უფასო იყო. ადგილობრივებს „ზესტაფონის" ფანობაც დაემატა და სტადიონი, რომ იტყვიან, გადაიჭედა. ასეთი ქომაგმრავლობა ამ სეზონში საქართველოს არც ერთ სტადიონზე არ ყოფილა.

„ტორპედო" და „ზესტაფონი" რამდენიმე დღის წინ ჩემპიონატში შეხვდნენ ერთმანეთს (0:0) და იმ მატჩისგან განსხვავებით, გუშინდელი სათასო დაპირისპირება გაცილებით დაძაბული და კარგი სანახავი გამოდგა. ქუთათურებმა გუშინ სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარეს და ჩემპიონატის ლიდერი თითქმის ყველა კომპონენტში დაჯაბნეს. ზესტაფონელებს **გელაშვილი, ელიავა** და **აფციაური** აკლდათ, თუმცა „ტორპედომ" გუშინ ისე ითამაშა, რომ მათი მოედანზე ყოფნაც ბევრს არაფერს შეცვლიდა. ქუთაისელთაგან განსაკუთრებით **დოლიძის, სეთურიძის, დილმელაშვილისა** და **მეგრელაძის** შესანიშნავი თამაშია გამოსარჩევი. პირველმა ორმა ფლანგებზე ინავარდა, დილმელაშვილმა საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მეგრელაძეც ძალიან აქტიური იყო და, სხვა რომ არაფერი, გამარჯვების გოლი გაიტანა.

„ტორპედო" ევროთასებზე მოხვედრას უმიზნებს და თასზე მოტივირებული თამაშობს. ქუთათურებმა თავიდანვე სცადეს უპირატესობის მოპოვება და ზესტაფონელთა კართან მალევე შეიქმნა ხიფათი: ქუთაისელთა უწყინარი ჩაწოდებისას ქარმა ბურთს მიმართულება შეუცვალა და **კვასხვაძე** იძულებული გახდა, კუთხურზე მოეგერიებინა. მორიგი სახიფათო ეპიზოდიც მასპინძლებმა შექმნეს. მე-14 წუთზე სეთურიძის ჩაწოდებული ბურთი მცველებმა თავით გამოიტანეს, დამატებაზე მეგრელაძემ დაახლოებით 25 მეტრიდან დაარტყა, კვასხვაძემ შეძლო და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ზესტაფონელებმა პირველი სახიფათო იერიში მე-20 წუთზე განახორციელეს. **გრიგალაშვილისა** და **წინამძღვრიშვილის** კომბინაციის შემდეგ ბურთი **დვალს** მიუვიდა, მან კი საჯარიმოს მისადგომებიდან არაზუსტად დაარტყა. ტაიმის მიწურულს მასპინძლებს ანგარიშის გახსნის კარგი შანსი ჰქონდათ, სეთურიძის ჩაწოდების შემდეგ **კვარაცხელიას** თავური კვასხვაძემ მოიგერია.

შესვენების შემდეგ „ტორპედო" უფრო უკეთ ათამაშდა. ქუთათურებმა განსაკუთრებით ფლანგებზე გაილაღეს, არადა, „ზესტაფონს" სწორედ ფლანგებზე აქტიური თამაში სჩვევია. დოლიძისა და სეთურიძის სწრაფ გარღვევებს სტუმრებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. 48-ე წუთზე დოლიძემ ძლიერად ჩააწოდა საჯარიმოში, მეკარეს ბურთი გაუვარდა, მაგრამ **დათუნაიშვილმა** ვერ დაამატა. 64-ე წუთზე დოლიძე მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, **კობახიძე** ჩამოიცილა და გამჭოლი გადაცემა გააკეთა, თუმცა ქუთაისელთაგან იქ არავინ აღმოჩნდა. ქუთაისელთა აქტიურობამ საბოლოოდ შედეგიც მოიტანა: 65-ე წუთზე მასპინძელთა სწრაფი კონტრშეტევა სეთურიძემ ფლანგზე გააგრძელა, მეურვე ჩამოიცილა და მეგრელაძეს ბურთი მეკარის ბაქანთან ჩააწოდა, გიამ მცველებს დაასწრო და გამარჯვების გოლი გაიტანა - 1:0. ქუთაისელ გულშემატკივართა სიხარული უზომო იყო, ფანებისგან გამხნევებული ტორპედო კი შეტევებს განაგრძობდა. 74-ე წუთზე **ფარულავა** რამდენიმე მეტოქეს გასცდა და მეგრელაძეს აწოდებდა ბურთს, მაგრამ კარისკენ დარტყმა გამოუვიდა - ბურთი მცირედით ასცდა მიზანს. ზესტაფონელებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს და სახიფათოდ შეუტიეს. 77-ე წუთზე გრიგალაშვილის პასის შემდეგ დვალმა მცველი ჩამოიცილა და საჯარიმოში შესულმა მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება მოინდომა, მაგრამ არ გამოუვიდა. ორიოდე წუთში კი მან საჯარიმოში ორ ტორპედოელს აჯობა, მაგრამ **მიგინეიშვილმა** სიტუაცია განმუხტა. **გია გიგატაძის** შეგირდებს შეეძლოთ, საპასუხო შეხვედრას უკეთესი ანგარიშით შეხვედროდნენ. 83-ე წუთზე სეთურიძემ აუტიდან პირდაპირ საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, ქუთაისელთა ახალგაზრდა ფორვარდმა **საბანაძემ** შემობრუნებით ძლიერად დაარტყა და მცირედით ააცილა. „ტორპედომ" ლამაზი და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა, თუმცა ფინალისტის ვინაობას საპასუხო შეხვედრა გაარკვევს.

**მატჩის შემდეგ**

**გია გეგუჩაძე (ზესტაფონი):** *„ვულოცავ „ტორპედოს" გამარჯვებას. ფაქტია, რომ საუკეთესო თამაში ვერ ვაჩვენეთ. ვფიქრობ, განმეორებითი შეხვედრა უკეთესი იქნება თუნდაც იმიტომ, რომ უკეთეს მოედანზე ვითამაშებთ. შანსები თანაბარია და ვეცდებით, შინ ეს შანსები მაქიმალურად გამოვიყენოთ."*

**გია გიგატაძე (ტორპედო):** *„წინ ძალიან რთული 90 წუთი გველის. მძიმე თამაში იქნება. შანსები თანაბარია და კიდევ ერთხელ ვეცდებით ჩვენი გულშემატკივრების გახარებას."*

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სიტუაცია



# გრემ პოლის აზრით

ყოფილი ინგლისელი მსაჯი, „დეილი მეილის" მიმომხილველი **გრემ პოლი** ამჯერად „არსენალის" თავკაც **არსენ ვენგერის** საკითხით დაინტერესდა. პოლის თქმით, ფრანგი სპეციალისტი, ბოლო დროს, მოედნის კიდესთან დატანჯული სახით დგას, მისი გუნდი ქულას ქულაზე კარგავს და, როგორც ჩანს, ვერც ამ სეზონში მოიპოვებს რაიმე ჯილდოს. „არსენალს" ახალი მეპატრონე ჰყავს, მაგრამ ეს ვენგერს არ ახარებს. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანს.

პოლი დარწმუნებულია, რომ კვირას, ვენგერის კონფლიქტი „ლივერპულის" მწვრთნელ **კენი დალგლიშთან** და მსაჯ **ენდრი მარინერთან** ცალკეული ეპიზოდები არ იყო. ეს მისი ბოლოდროინდელი მდგომარეობის გამოხატულება გახლდათ.

*„ვენგერს, როგორც მწვრთნელს, უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ ხანდახან მასთან ურთიერთობა ძნელია. მას არ უნდა ეჩქარა გასახდელში მსაჯთან მისვლა და კამათი, მარტო იმიტომ, რომ მოეჩვენა, თითქოს ეს უკანასკნელი შეცდა. მან „ლივერპულთან" ფრე არავის უნდა დააბრალოს ემანუელ ებუეს გარდა. სწორედ ებუე მივარდა თამაშის ბოლოს ლუკასს და ნააქცია"* — წერს პოლი, რომელიც დასძენს, რომ ვენგერს ფეხბურთის წინაშე უდიდესი დამსახურება აქვს. მას წვრთნის ახალი მეთოდები აქვს გამოგონილი და მისი იდეები სახეობის განვითარებას ძალიან ადგება. ის, ფიფას ყოფილი არბიტრის აზრით, უდიდესი პედაგოგია, რის დასტურადაც **ტიერი ანრის** კარიერა მოჰყავს. პოლი დარწმუნებულია, რომ უბრალოდ სწრაფი და უთუოდ ნიჭიერი ბიჭი პრემიერლიგისდ ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს ვარსკვლავად ვენგერის პედაგოგიკის გარეშე ვერ ჩამოყალიბდებოდა. ფრანგის მეთოდების პროდუქტია ინგლისელი მცველი **ტონი ადამსიც**.

*„ვენგერს ქცევის თვალსაზრისითაც ბევრი სიახლე აქვს დანერგილი. მაგალითად, „არსენალის" საწვრთნელ ბაზაზე ის ფეხბურთელებს ყოველ დილას ერთმანეთისთვის ხელის ჩამორთმევას ავალდებულებს. ერთხელ, 1998 წელს, „კოკა კოლას თასის" ნახევარფინალში „არსენალმა" „ჩელსისთან" 1:0 წააგო. იმ შეხვედრის არბიტრი მე გახლდით და ცხრა ყვითელი ბარათის გარდა ერთი წითელიც ამოვიღე — მოედნიდან პატრიკ ვიეირა გავაგდე. ნერვიული, რთული თამაში იყო, რომლის დამთავრების შემდეგ ვენგერი ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ ჩემი მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა. მაშინ მე ასეთი რამ შევთავაზე: მოვალ თქვენთან, ბაზაზე, მოვიტან ჩანაწერს და აგიხსნით, რომელი გადაწყვეტილება რატომ მივიღე-მეთქი. ვენგერმა უარი მითხრა. ჩემმა ფეხბურთელებმა თამაშის დროს ჩემს დავალებაზე უნდა იფიქრონ და არა იმაზე, მსაჯი ასეთ დროს როგორ გადაწყვეტილებას იღებს და ისეთ დროს როგორსო. არადა, მეგონა მისთვის ეს საინტერესო იქნებოდა და ჩემს ახსნა-განმარტებას სამომავლოდ გამოიყენებდა, რათა მისი გუნდი სხვა თამაშებში არ დარჩენილიყო კაცნაკლული. ალექს ფერგიუსონს, ჟოზე მოურინიოს, ჯორჯ გრემსა და ჟერარ ულიეს ასეთი რამ ყოველთვის აინტერესებდათ".*

● რეინჯერსი

# ჩემი მეგობარი კადაფი

„გლაზგო რეინჯერსის" სენეგალელი თავდამსხმელი, მუდმივი შარით ცნობილი 30 წლის **ელ ჰაჯი დიუფი** ახალ სკანდალში აღმოჩნდა — ამაყად განაცხადა, ლიბიის დიქტატორი **მუამარ კადაფი** ჩემი მეგობარიაო. ფეხბურთელმა, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს, რათა საზოგადოებაში ცუდი ბიჭის სახელი დაიმკვიდროს, ერთ-ერთ აფრიკულ გამოცემას განუცხადა, რომ ის კადაფთან და მის ვაჟ **საფირთან** მეგობრობს.

„რეინჯერსს" ფორვარდის ასეთი გამოხდომები უკვე აღიზიანებს. დიდი ხანი არ არის გასული მას მერე, რაც მან განაცხადა, ჩვენი გუნდის ალჟირელი მცველი, **მაჯიდ ბუგერა** კარგს იზამს, ამ სეზონის ბოლოს კლუბს თუ დატოვებს და ინგლისის პრემიერლიგაში გადავაო. ბუგერა 28 წლის გახლავთ და „რეინჯერსამდე" „ქრუში", „შეფილდ უენსდისა" და „ჩარლტონ ატლეტიკში" თამაშობდა.

*„კადაფი ის კაცია, რომელსაც ყოველთვის ვეთაყვანებოდი — თქვა დიუფმა — არ გეგონოთ, რომ ვხუმრობ. მე მას და მის ვაჟ საფირს პირადად ვიცნობ. ისინი ჩემი მეგობრები არიან. ლიბიაში მიმდინარე ამბებს გულგრილად ვერ ვუყურებ. ნამდვილად არ ვიცი, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, მაგრამ ამდენი ადამიანის სიცოცხლე რომ შეეწირა, საშინელებაა. ალაჰის დახმარებით მართალი გაიმარჯვებს".*

რასაკვირველია, „რეინჯერსის" თავკაც **უალტერ სმიტს** დიუფისა და კადაფის ძმაბიჭობა იმდენად არ ადარდებს, რამდენადაც ბუგერას ამბავი. არადა, შერეკილმა სენეგალელმა თქვა:

*„მაჯიდი დიდ გამოწვევებს უნდა შეეჭიდოს. დროა ამ სეზონის ბოლოს ის „რეინჯერსს" გამოემშვიდობოს და პრემიერლიგაში წავიდეს. პრემიერლიგაზე ნაკლები მას აღარ სჭირდება".*



ელ ჰაჯი დიუფი

● ინციდენტი

# კედლებს ვინ ამტვრევს?

„მანჩესტერ იუნაიტედს" ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისთვის შეიძლება ჯარიმა ჰქონდეს გადასახდელი - სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა შაბათს, თასის ნახევარფინალში „უემბლიზე", გასახდელის კედელი დააზიანა. საინტერესოა, რომ „იუნაიტედი" და „სიტი" **მარიო ბალოტელის** ქცევისა და ამით გამოწვეული განევ-გამოწევის გამო დასჯას, ალბათ, დაუძვრებიან, მაგრამ კედლის დაზიანებისთვის „იუნაიტედს" ასოციაციისგან ქვითარი მიუვა. შეგახსენებთ: თამაში „სიტის" გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. საფინალო სასტვენის შემდეგ, ისტლენდელთა 20 წლის თავქარიანმა იტალიელმა ფორვარდმა განზრახ მიირბინა „იუნაიტედის" გულშემატკივართა ტრიბუნასთან და მათ გასაღიზიანებლად ზეიმი დაიწყო, რასაც შეხლა-შემოხლა მოჰყვა.

დავუბრუნდეთ „უემბლის" გასახდელს და დავაზუსტოთ, რომ კედელი იმ ადგილას არის დაზიანებული, სადაც, ჩვეულებრივ, მწვრთნელები იმყოფებიან ხოლმე, ეგრეთ წოდებულ მწვრთნელთა ზონაში. რასაკვირველია, თავიდან ყველას ალექს ფერგიუსონზე გაუჩნდა ეჭვი. ცნობილია, რომ სერ ალექსს გაფიცხება და კედლებზე ბუცების თუ სხვა საგნების მინარცხება სჩვევია, მაგრამ ამჯერად ითქვა, გასახდელი ფიზიკური მომზადების მწვრთნელმა **ტონი სტრადვიკმა** დააზიანაო. მიზეზი აქაც სიფიცხეა.

მართალია, დაზიანებული ადგილი იმავე საღამოს შეარემონტეს, მაგრამ მისი კვალი კედელს მეორე დღესაც ეტყობოდა, როდესაც იგივე გასახდელი „სტოკ სიტიმ" დაიკავა.

სტრადვიკი გახლავთ ადამიანი, რომელიც 2008 წელს „სტემფორდ ბრიჯზე", „იუნაიტედის" ფეხბურთელებისა და „ჩელსის" თანამშრომლების ჩხუბში ჩაერია. შაბათს „უემბლიზე" მას ყურთსასმენი ეკეთა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ტრიბუნაზე მჯდომი, დისკვალიფიცირებული ფერგიუსონი გუნდს მითითებებს მისი დახმარებით გადასცემდა. ამბობენ, ფერგის განკარგულებებს ასისტენტ **მაიკ ფილანს** სწორედ ფიზიკური მომზადების მწვრთნელი უუბნებოდაო.



მოგეხსენებათ, ფერგიუსონი ფეხბურთის ასოციაციამ მსაჯ **მარტინ ატკინსონის** ტელეეკრანიდან გაკრიტიკების გამო დასაჯა. უფრო სწორად, ფერგიუსონმა ატკინსონს ჩვეულებრივი კრიტიკა არ აკმარა და მისი სამართლიანობა დააყენა ეჭვქვეშ, რაც არ აპატიეს. „სიტისთან" შეხვედრაში „იუნაიტედს" არ ჰყავდა **უეინ რუნიც**, რომელიც ტელეკამერასთან მირბენისა და გინების გამო ორთამაშიან დისკვალიფიკაციას იხდიდა. ყოველივე ამის შემდეგ, „უემბლიზე" კედლის დაზიანება ფეხბურთის ასოციაციასა და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის ურთიერთობის გამოსწორებას არ წაადგებოდა.

დეტალურად, კედლის დაზიანების შესახებ, ფეხბურთის ასოციაციას არაფერი უთქვამს, მანჩესტერული კლუბის ერთ-ერთმა თანამშრომელმა კი ტაბლოიდებს უამბო, რომ პრემიერლიგის ლიდერმა ასეთი კვალი მართლაც დატოვა, მაგრამ ის ზედაპირული და იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მისი რემონტი 50 ფუნტზე ძვირი არც დაჯდებოდაო.

და მაინც, ვინ მიანარცხა „უემბლის" გასახდელში კედელს რაღაც საგანი? ვითომ, იქ, სადაც ფერგიუსონია, ვინმე სტრადვიკს თავის ასე მოგიჟიანების უფლება აქვს? იქნებ, „იუნაიტედის" ხალხი ისედაც დისკვალიფიცირებულ სერ ალექსს აფარებს ხელს? ბოლოს და ბოლოს, ის ტრიბუნაზე მხოლოდ თამაშის მსვლელობის დროს იჯდა, თორემ ვინ თქვა, თამაშის მერე გასახდელში არ ჩასულაო.

● ამბები



ემანუელ ებუე (მარცხნივ)

# ებუე კარს მიუახლოვდა

27 წლის კოტდ'ივუარელ **ემანუელ ებუეს** ამ ზაფხულს, „არსენალში", ალბათ, კარისკენ მიუთითებენ. ეს ფეხბურთელი ციდან ვარსკვლავებს ისედაც ვერ წყვეტდა და კვირის მერე მისი გაშვების ალბათობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოგეხსენებათ, „ემირეიტ სთედიუმზე", „ლივერპულთან" შეხვედრის 102-ე წუთზე, ებუემ **ლუკასი** წააქცია, რისთვისაც მსაჯმა პენალტი დანიშნა და **დირკ კუიტმა** ანგარიში გაქვითა. ეს ფრე „არსენალს" შეიძლება ჩემპიონის ტიტულადაც კი დაუჯდეს. ინგლისური ტაბლოიდებისთვის კი ისედაც ცნობილი იყო, რომ „მეთოფეთა" თავკაც **არსენ ვენგერს,** სეზონის დამთავრების შემდეგ, ფეხბურთელთა ერთი ჯგუფის გაყიდვა აქვს ჩაფიქრებული და ებუე სწორედ ამ ჯგუფში შედიოდა.

მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე ვენგერმა კოტდ'ივუარელი დაიცვა, თუმცა, აშკარა იყო, რომ „მეთოფეები" ბრაზს კბილებით იკავებდნენ. მარტო ის რად ღირს, რომ როდესაც მსაჯმა „არსენალის" კარში პენალტი დანიშნა, ებუესთან დასამშვიდებლად ერთი თანაგუნდელიც კი არ მისულა. თუ ჩრდილოლონდონელებმა ამ გაზაფხულზეც ვერ მოიპოვეს პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული, გამოვა, რომ ისინი წარუმატებლად უკვე მეექვსე სეზონს ჩაამთავრებენ, რაზეც ებუეს თანაგუნდელს, 24 წლის **იოან დჯურუს**, რომელიც ეროვნებით ასევე კოტდ'ივუარელია, მაგრამ შვეიცარიის ნაკრებში გამოდის, გულწრფელი რეაქცია ჰქონდა:

*„კვლავ ხელმოცარულები თუ დავრჩებით, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ. კარგა ხნის წინ შეგვეძლო ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ შემოგვეტრიალებინა, მაგრამ შანსი ხელიდან გავუშვით. იმედია, დასკვნებს მაინც გავაკეთებთ".*

# სტოკს წაგება აწყობს

საინტერესო დამთხვევაა: „მანჩესტერ სიტი" და „სტოკ სიტი" პრემიერლიგის კალენდრის მიხედვით ერთმანეთს 14 მაისს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ ზუსტად ამ დღეს ეს გუნდები ერთმანეთს ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში, „უემბლიზე" ეთამაშებიან. გამოსავლის ძიებაში ასოციაციამ გადაწყვიტა, პრემიერლიგის თამაში ფინალის შემდეგი სამშაბათისთვის გადაეტანა, რამაც „ტოტენჰემ ჰოთსპური" გააბრაზა. საქმე ის არის, რომ თუ ფინალში „მანჩესტერ სიტი" გაიმარჯვებს და თასს მოიპოვებს, ევროლიგაში მოსახვედრად „სტოკს" მისი მეოთხე ადგილზე გასვლა დასჭირდება ანუ... სამშაბათის შეხვედრაში წაგება მისცემს ხელს. „სფურზი", მოგეხსენებათ, თავადაც ცხრილის ზედა ადგილებში ტრიალებს, ოთხეულისთვის იბრძვის და სულაც არ უნდა ვინმემ მის კონკურენტს სამი ქულა დაუთმოს.

# იანგი თავად იტყვის

„ასტონ ვილას" 25 წლის ნახევარმცველი **ეშლი იანგი** ამბობს, რომ მისი ბირმინგემში დარჩენა-არ დარჩენის ამბავი შემდეგ თვეში გადაწყდება. მოგეხსენებათ, იანგის შეძენა ბევრ კლუბს უნდა, რომელთაგან „რიგში პირველი" „მანჩესტერ იუნაიტედია". ცნობილია, რომ პრემიერლიგის ლიდერი სეზონის დამთავრებისთანავე აპირებს „ვილას" ფრანგ თავკაც **ჟერარ ულიესთან** მოლაპარაკებას.

*„ჯერჯერობით კი მთლიანად „ასტონ ვილაში" გამოსვლით ვარ დაკავებული და სხვა არაფერზე ვფიქრობ"* — განაცხადა იანგმა დიპლომატიურად.



ეშლი იანგი (მარცხნივ) და ჟერარ ულიე

# ფერგის მკაცრი ცოლი ჰყავს

**სერ ალექს ფერგიუსონი** პრემიერლიგის თერთმეტგზის ჩემპიონია, ხუთჯერ მისი გუნდი ფეხბურთის ასოციაციის თასს ფლობდა, ოთხჯერ ლიგის თასს, ორჯერ ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა, აწგაუქმებული თასების მფლობელთა თასიც მოუგია და წვრილმან ჯილდოებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თან, რაც ჩამოვთვალეთ მწვრთნელობის წლებში მოპოვებული გუნდური ტიტულები იყო, ინდივიდუალურ ჯილდოებს კი აქ აღარც ვახსენებთ. ამ ყველაფრის დასატევად კაცს შინ, წესით, დიდების დარბაზი უნდა ჰქონდეს მოწყობილი, მაგრამ... ვაი, რომ ლეგენდარულ შოტლანდიელ მწვრთნელს, რომელიც წლეულს, 31 დეკემბერს, 70 წლისა გახდება, მეუღლე, **ქეთი** არ აძლევს ამის საშუალებას. მეტიც, მის ფერგიუსონი, თურმე, მაინცდამაინც არც 1999 წელს მიღებულ რაინდობას, სერის ტიტულს ალუფრთოვანებია. ჟურნალ The Manager-ისთვის მიცემულ ინტერვიუში „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა განაცხადა:

*„ძველი დიდებით ტკბობას მომავალზე ფიქრი მირჩევნია. მიჯობს იმაზე დავფიქრდე, რისი მოგება შემიძლია უახლოეს მომავალში და სწორედ ამ თვისების გამო ვდგავარ ორივე ფეხით მიწაზე. საკუთარი წარმატებებით არასდროს ვყოფილვარ გატაცებული.*

*ჩემი მეუღლე, ქეთი, ამდენმა ჯილდოებმა და მოგებებმა დაღალა. როდესაც ელესტეირ კემპბელმა (დიდი ბრიტანეთის კომუნიკაციათა და პრემიერ-მინისტრის სტრატეგიის მინისტრი, ჟურნალისტი) დაურეკა და უთხრა, რომ მე რაინდის ტიტულით მაჯილდოებენ, მან უპასუხა: ხომ არ ფიქრობთ, რომ ალექსს ისედაც ბევრი ტიტული აქვს? ჩვენთან, სახლში, ჩემი კარიერის მიმანიშნებელ წვრილმანსაც კი ვერ ნახავთ. წარმოუდგენელია. სახლში ფეხბურთის შესახებ დაწერილი წიგნიც რომ დამინახოს, მოვა და მეტყვის: ამას აქ რა უნდა?"*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

### ინტერი

# ძანეტი ტიფოზებს შემოსწყრა

## მორატიმ მოურინიო უარყო



„ინტერს" რომ რთული დროება დაუდგა, არახალია. მილანური გრანდი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოეთიშა და სკუდეტოსთვის ბრძოლას ჩამოშორდა, რაც გულშემატკივრებმა მტკივნეულად მიიღეს. „პარმასთან" განცდილი მარცხის შემდეგ, ემილიაში ჩასულმა „ნერაძურის" ტიფოზებმა სტვენით გააცილეს ფეხბურთელები მოედნიდან, რამაც **ხავიერ ძანეტის** გაღიზიანება გამოიწვია. მოვუსმინოთ არგენტინელს და შემდეგ განვავრცოთ თემა:

*„კარგად იცით, რომ მთელი საფეხბურთო კარიერა „ინტერს" შევწირე და თუ რამეს ვაკეთებდი, მხოლოდ ჩვენი გულშემატკივრებისთვის. ბოლო წლებში, ყველაფერი მოვიგეთ რისი მოგებაც შეიძლებოდა და ტიფოზებიც არაერთხელ გავახარეთ. ამიტომ, ცოტა გულდასაწყვეტი იყო, როდესაც „პარმასთან" განცდილი მარცხის შემდეგ ობსტრუქცია მოგვიწყვეს და სტვენით გაგვაცილეს მოედნიდან. კარგად მესმის, რომ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია გულშემატკივრების, მაგრამ მაინც საწყენია. სეზონი ისეთი არ გამოვიდა, როგორიც წარმოგვედგინა, მაგრამ ჯერ კიდევ ვაგრძელებთ ბრძოლას და უმჯობესია, შედეგებს მაისის ბოლოს გადავხედოთ. ჩვენი უმთავრესი მიზანი იტალიის თასის მოგებაა და საამისოდ თავს არ დავზოგავთ".*

პრესასთან ურთიერთობას ერიდება **ლეონარდო**, რომელიც მთლად კარგ ხასიათზე ვერ უნდა იყოს. სულ რაღაც რამოდენიმე თვის წინ, მილანის ერთი ნახევარი აღმერთებდა, მეორე კი პატივცს სცემდა - დღეს, ერთი ნახევარი მოღალატედ მიიჩნევს, მეორე კი აგინებს. ამ ფონზე, ძნელია დარჩენილ შეხვედრებზე კონცენტრაციის მოხდენა და იმაზე ფიქრი, რომ იტალიის თასი გაქვს მოსაგები. თუმცა, „ინტერის" მიზნები მხოლოდ კოპას მოგებით არ შემოიფარგლება და სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას **დეიან სტანკოვიჩი**:

*„ბოლო წლებში, დიდ გამარჯვებებს მივეჩვიეთ და არ შეიძლება, რომ მიმდინარე სეზონში უტიტულოდ დავრჩეთ. ამიტომ, მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო, რომ იტალიის თასზე წარმატებით გამოვიდეთ და ეს ტროფეი მაინც მოვიგოთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნულ ჩემპიონატზე უმოტივაციოდ ვართ დარჩენილნი - „ლაციო" კუდზე დაგვაჯდა და თუ თამაშს არ გამოვასწორებთ, მესამე ადგილსაც დავკარგავთ. ეგ კი არა, „უდინეზეც" საკმაოდ ახლოა და დროა გონს მოვეგოთ, თორემ შეიძლება სულაც ჩემპიონთა ლიგის მიღმა დავრჩეთ. რამ გამოიწვია ასეთი ჩავარდნა? - რა გითხრათ, გასული ორი კვირა მართლაც კატასტროფული იყო და ვცდილობ გავიგო, რატომ მოხდა ასე. ფაქტია, რომ რაღაც მოიშალა მექანიზმში და ყველაზე საჭირო მომენტში პოზიციები დავთმეთ. კიდევ ასჯერ რომ შევხვდეთ „შალკეს", დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ანგარიშით არც ერთხელ არ წავაგებთ. რა მოხდა იმ დღეს და რატომ წავაგეთ ასე კატასტროფულად, წარმოდგენა არ მაქვს".*

ამასობაში, სულ უფრო და უფრო ხშირად ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ მომავალი სეზონიდან „ინტერს" შესაძლოა **ჟოზე მოურინიო** დაუბრუნდეს. სწორედ პორტუგალიელის ხელში მოიგო მილანურმა გრანდმა ის, რასაც გულშემატკივრები ათეულობით წლების განმავლობაში ელოდნენ: ჩემპიონთა ლიგა. ამიტომ, გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე გულშემატკივრებს ყველაზე მეტად მაინც ჟოზეს ხილვა სურთ და იმედიც აქვთ, რომ ეს დღე აუცილებლად დადგება. მით უმეტეს, მოურინიოს მადრიდული მომავალი ბუნდოვანია და ესპანური პრესა ხშირად წერს პორტუგალიელის პირინეედან აბარგების შესახებ. ბოლოდროინდელი წარუმატებლობებისა და მოურინიოს „ინტერში' შესაძლო დაბრუნების შესახებ პრესასთან **მასიმო მორატიმ** ისაუბრა:

*„შედეგებით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ისიც კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ყოველთვის ყველაფერს ვერ მოვიგებთ. რთული დროება გვიდგას და ეს პერიოდი ერთად უნდა გადავლახოთ. რაც შეეხება ჟოზე მოურინიოს დაბრუნების საკითხს, ამაზე საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. პორტუგალიელი მადრიდის „რეალს" უდგას სათავეში და არასდროს უთქვამს, რომ კონტრაქტის დარღვევას და ესპანეთის დატოვებას აპირებს. შესაბამისად, მასთან მოლაპარაკების წამოწყებაზე არც კი მიფიქრია და არც მას გამოუთქვამს ჩემთან დალაპარაკების სურვილი. მოკლედ, ჟოზეს დაბრუნებაზე საუბარი ამ ეტაპზე აზრს მოსაკლებულია".*

დაბოლოს, სატრანსფერო ინფორმაცია „ინტერის" შესახებ. „გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომდევნო სეზონიდან მილანური გრანდი „ბოლონიას" მეკარე **ემილიანო ვივიანოს** გადაიბირებს. შეგახსენებთ, რომ ვივიანო ერთ-ერთ საუკეთესო კიპერად ითვლება აპენინებზე და იტალიის ეროვნულ ნაკრებშიც სტაბილურად იძახებენ. მეტიც, დღეს ვივიანო **ჯანლუიჯი ბუფონის** უპირველეს შემცვლელად მოიაზრება. „ნერაძურის" მესვეურები მას შემდეგ დაფიქრდნენ ახალი კიპერის შეძენაზე, რაც **ჟულიო სეზარმა** შეცდომებს უმატა და მის გამო გუნდმა მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა. ამასთან, სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე მიიღო ტრავმა და კარგა გვარიანი დროც გაუცდა. ვივიანო გახარებულია იმით, რომ მის მომავალს „ინტერს" უკავშირებენ:

*„ჯერჯერობით, „ბოლონიას" მეკარე ვარ და მხოლოდ სეზონის დარჩენილ შეხვედრებზე ვფიქრობ. მეც გავიგე იმის შესახებ, რომ ჩემით „ინტერია" დაინტერესებული და არის შანსი, სწორედ მილანურ გრანდში ამოვყო თავი. მინდა თუ არა „ნერაძურიში" გადასვლა? - ვის არ უნდა? - ჩემი აზრით, „ინტერი" საუკეთესო გუნდია მსოფლიოში და მისი ღირსების დაცვა ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა. სიმართლე გითხრათ, ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ასეთ დიდ გუნდში გადასვლას გიწინასწარმეტყველებენ. მთავარია კლუბები შეთანხმდნენ და ასეთ შემთხვევაში, ტრანსფერის საწინააღმდეგო არც მე მექნება რამე".*

**ლაშა ნიკლაური**

### ფიორენტინა



# კორვინო ლიდერებს ვერ ელევა და კარაჩოლოს უმიზნებს

"ფიორენტინას" ფეხბურთელებზე დიდი მოთხოვნაა და კლუბის მესვეურებს სეიოზული შეტევების მოგერიება უწევთ. მართალია, ფლორენციულ გუნდს სეზონი ჩაუვარდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამან ფეხბურთელების რეპუტაციას ვერაფერი დააკლო. კლუბის სპორტული დირექტორის **პანტელეო კორვინოს** თქმით, შეთავაზება რამდენიმე ფეხბურთელთან დაკავშირებით მიიღო:

*"უკვე არაერთხელ მივიღეთ კონკრეტული წინადადება, მაგრამ წამყვანი ფეხბურთელების გასხვისებას არ ვაპირებთ. დიდი ინტერესი აქვთ რიკარდო მონტოლივოს მიმართ, მაგრამ ის გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა და გვსურს, "ვიოლაში" რაც შეიძლება დიდ ხანს დარჩეს. რიკარდოს არაერთხელ ვესაუბრე და ვერც ერთხელ ვერ შევატყვე, რომ ფლორენციის დატოვება სურს. მართალია, მაცდური წინადადებები აქვს, მაგრამ ჯერჯერობით გუნდის დატოვების სურვილი არ გამოუთქვამს. ჩვენთვის სწორედ ეს არის მთავარია, და თუ ბოლომდე უერთგულებს „ვიოლას", არანაირ ფასად არ გავყიდით. წინადადებები მივიღეთ ალესანდრო გამბერინისა და ადემ ლიაიჩთან დაკავშირებითაც, თუმცა ამ შემთხვევაშიც მოლაპარაკებების დაწყებაზე სასტიკი უარი განვაცხადეთ. ვკითხეთ ფეხბურთელებს, დაინტერესებულნი იყვნენ თუ არა სხვაგან გადაბარგებით და როდესაც უარყოფითი პასუხი მივიღეთ, მსურველი კლუბები უარით გავისტუმრეთ".*

კორვინოს **ადრიან მუტუს** შესაძლო შემცვლელთან დაკავშირებითაც მოუხდა საუბარი. მართალია, რუმინელი ჯანმრთელად არის და ეხმარება კიდეც გუნდს, მაგრამ ზაფხულში სავარაუდოდ სხვაგან გადაბარგება მოუწევს: *"მუტუს საკითხი სეზონის დასრულების შემდეგ გადაწყდება და დიდია შანსი, რუმინელი ტრანსფერზე დავაყენოთ. სეზონი არ გავა, რომ რამდენიმე თვე დისკვალიფიკაციის ან ტრავმის გამო არ გამოტოვოს, ასე გაგრძელება კი აღარ შეიძლება. დაველაპარაკებით ადრიანს და გავიგებთ, თვითონ რას ფიქრობს, როგორ ხედავს მის მომავალს. თუ დავრწმუნდით, რომ შეიცვალა და დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები აღარ შეექმნება, გავუხანგრძლივებთ კონტრაქტს, თუ არადა, მისი ტრანსფერზე დაყენება მოგვიწევს. რაც შეეხება ახალ ფეხბურთელებს, ძირითადად მაინც თავდასხმის გაძლიერებაზე ვფიქრობთ - სამხრეთამერიკაში სკაუტები გვყავს გაგზავნილი, რომლებიც რამდენიმე ფეხბურთელს აკვირდებიან. რაც შეეხება იტალიურ ბაზარს, არჩევანი დიდი არ არის, მაგრამ რამდენიმე მიმართულებით შეიძლება მოლაპარაკების წარმოება. მაგალითად, ძალიან მომწონს „ბრეშას თავდამსხმელი ანდრეა კარაჩოლო და უარს არ ვიტყოდი, რომ „ვიოლას" მაისურით მეხილა".*

**ლაშა ნიკლაური**

### მილანი

# კლარენს ზეედორფი სხვაგვარად ალაპარაკდა

პრესაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესაებ, რომ 35 წლის **კლარენს ზეედორფი** "მილანს" დატოვებს და კარიერას ბრაზილიაში, კერძოდ კი „კორინთიანსში" გააგრძელებს. მართალია, ჰოლანდიელს ღიად არასდროს დაუფიქსირებია ლომბარდიიდან აბარგების სურვილი, თუმცა ერთი კი თქვა: თუ მხარეები მოილაპარაკებენ, საწინააღმდეგო არაფერი მექნება, რადგან ყველამ იცის, როგორ მიყვარს ბრაზილიაო. ზემ ისიც აღნიშნა, რომ მეუღლე ჰყავს ბრაზილიელი, რომელიც დიდი ხანია ლამობს ქმართან ერთად სამშობლოში გადასახლებას. იქვე დასძინა, რომ **რონალდოს** დიდი მეგობარია, რომელიც ამჟამად სწორედ „კორინთიანსის" დირექტორთა საბჭოს წევრია. თუმცა, კლარენსის ბოლოდროინდელმა წარმატებულმა ასპარეზობამ „მილანის" მესვეურები სერიოზულად დააფიქრა და თუ „გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ვენდობით, ჰოლანდიელისთვის ახალი, ორწლიანი ხელშეკრულება მზადდება. ამ საკითხთან დაკავშირებით თავად ფეხბურთელს შემდეგი პოზიცია აქვს.

*"სიმართლე გითხრათ, "მილანიდან" წასვლაზე სერიოზულად არც კი მიფიქრია და ყოველთვის მიკვირდა, როდესაც ამის შესახებ პრესაში ვკითხულობდი. მხოლოდ ის აღვნიშნე, რომ ბრაზილია ძალიან მიყვარს და თუ ერთ არცთუ მშვენიერ დღეს, „როსონერიში" ჩემი ადგილი არ მოიძებნა, სიამოვნებით გადავალ სამხრეთა მერიკაში. ჯერჯერობით, ნამდვილად არ მიგრძნია, რომ „მილანში" ზედმეტი ვარ და შესაბამისად, არსად წასვლას არ ვაპირებ. ჩემთვის ახალი კონტრაქტი მზადდება? - ძალიან კარგი, სიამოვნებით მოვაწერ ხელს".*

**ლაშა ნიკლაური**



კლარენს ზეედორფი

### საშვერთნელო საკითხი

# გადაწყდა: სტანისლავსკი ჰოფენჰაიმში!

გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ „ზანკტ პაულის" მთავარი მწვრთნელი **ჰოლგერ სტანისლავსკი**, რომელიც ჰამბურგულ კლუბს სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს, ახალი სეზონიდან „ჰოფენჰაიმს" ჩაუდგება სათავეში. 41 წლის სტანისლავსკი „ჰოფესთან" კონტრაქტს 2014 წლამდე გააფორმებს. შეგახსენებთ, რომ „სტანიმ" „ზანკტ პაული" 2006 წელს ჩაიბარა და კიცელები მაშინ რეგიონალლიგაში თამაშობდნენ. მას მერე სტანისლავსკიმ გუნდი ჯერ მეორე ბუნდესლიგაში გადაიყვანა, მერე კი ელიტაშიც დააბრუნა. ახლა კი ჰამბურგელებს ისევ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებათ. ჰოლგერს „ჰოფენჰაიმის" მთავარ მწვრთნელად ახალი სეზონის დაწყების წინ წარადგენენ. „ზანკტ პაულის" დამრიგებლის თანამდებობაზე კი „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, **მეჰმეთ შოლის** კანდიდატურა განიხილება.

# კიოლნი უმწვრთნელოდ რჩება

„კიოლნის" სპორტულმა დირექტორმა **ფოლკერ ფინკემ** გუშინ ბლიც-პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც განაცხადა, რომ „თხების" მთავარი მწვრთნელი **ფრანკ შეფერი** სეზონის ბოლოს თანამდებობას დატოვებს. შეგახსენებთ, რომ შეფერმა „კიოლნი" ოქტომბერში, **ზვონიმირ სოლდოს** გათავისუფლების შემდეგ ჩაიბარა. ბოლო დროს ფინკე და „კიოლნის" სხვა ხელმძღვანელები შეფერს ხშირად აკრიტიკებდნენ. მის შემცვლელად **მიხაელ სკიბე** მოიაზრება - სპეციალისტი, რომელიც ცოტა ხნის წინ ფრანკფურტის „აინტრახტიდან" გაათავისუფლეს.

**გოტფრიდ ლენცი**

### პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩი

# ნულები პარკზე

**ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ. 0:0**

**ნიუკასლი (4-4-2):** კრალი - სიმპსონი, უილიამსონი, კოლოჩინი, ხოსე ენრიკე - ბარტონი, გუთრი, ტიოტე, გუტიერესი - ამეობი (73. რეინჯერი), ლიოვენკრანდსი (69. აირლენდი).

**მანჩესტერი (4-4-2):** ვან დერ სარი - ო'ში, სმოლინგი, ვიდიჩი, ევრა - ნანი (81. ოუენი), ქერიკი, ანდერსონი (70. ვალენსია), გიგზი - რუნი, ხ. ერნანდესი.

**გოლები:** 0:0

**გაფრთხილება:** ტიოტე, უილიამსონი - ქერიკი, ერნანდესი

**კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 12-19 (3-5); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 49 025

თამაში, რომელიც თვალსასეირო უნდა ყოფილიყო, ერთობ მოსაწყენი გამოდგა, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი. გუნდებმა ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს - 0:0. ასე რომ, ლიდერმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" გამოტოვებული მატჩიდან აქტივს ქულა შეჰმატა. როცა „სენტ ჯეიმს პარკზე" 90 წუთი დასრულდა, მასპინძელთა საჯარიმოში **ხავიერ ერნანდესი** შეიჭრა და წაიქცა, თუმცა რეფერი არ წამოეგო მექსიკელის პროვოკაციაზე და „ჩიჩარიტო" სიმულაციისთვის აქეთ დასაჯა.

ახლა ჩრდილოლონდონური დერბი („ტოტენჰემსა" და „არსენალს" შორის) გაგვარკვევს საკმარისია თუ არა ეს ქულა სერ **ალექს ფერგიუსონისთვის**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 33 | 20 | 10 | 3 | 70-32 | 70 |
| 2. არსენალი | 32 | 18 | 9 | 5 | 63-31 | 63 |
| 3. ჩელსი | 32 | 18 | 7 | 7 | 58-26 | 61 |
| 4. სიტი | 32 | 16 | 8 | 8 | 50-30 | 56 |
| 5. ტოტენჰემი | 31 | 14 | 11 | 6 | 44-36 | 53 |
| 6. ლივერპული | 33 | 14 | 7 | 12 | 46-39 | 49 |
| 7. ევერტონი | 33 | 11 | 14 | 8 | 47-41 | 47 |
| 8. ბოლტონი | 32 | 11 | 10 | 11 | 46-43 | 43 |
| 9. ნიუკასლი | 33 | 10 | 10 | 13 | 48-47 | 40 |
| 10. ასტონ ვილა | 33 | 10 | 10 | 13 | 42-54 | 40 |
| 11. ვესტ ბრომ. | 33 | 10 | 9 | 14 | 47-62 | 39 |
| 12. ფულჰემი | 32 | 8 | 14 | 10 | 36-35 | 38 |
| 13. სტოკი | 32 | 11 | 5 | 16 | 39-42 | 38 |
| 14. ბირმინგემი | 32 | 8 | 14 | 10 | 33-43 | 38 |
| 15. სანდერლ. | 33 | 9 | 11 | 13 | 35-47 | 38 |
| 16. ბლექბერნი | 33 | 9 | 8 | 16 | 40-54 | 35 |
| 17. უიგანი | 33 | 7 | 13 | 13 | 32-53 | 34 |
| 18. ბლექპული | 33 | 9 | 6 | 18 | 47-69 | 33 |
| 19. ვესტ ჰემი | 33 | 7 | 11 | 15 | 39-58 | 32 |
| 20. ვულვზი | 32 | 9 | 5 | 18 | 36-56 | 32 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# სიცოცხლე ფეხბურთის შემდეგ

**ჯორჯ ვეა 1966 წლის 1 ოქტომბერს ლიბერიის დედაქალაქ მონროვიაში დაიბადა. ფეხბურთელს ფანტასტიკური საკლუბო კარიერა ჰქონდა, რომლის განმავლობაშიც მან ლიბერიის, კამერუნის, საფრანგეთის, იტალიისა თუ ინგლისის კლუბებში იასპარეზა და საკულტო ფიგურად იქცა როგორც აფრიკაში, ისე ევროპის კონტინენტზე. დღეს მას სერიოზული გეგმები აქვს, ვეტერან ფეხბურთელს მეორედ უნდა ლიბერიის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა.**

1995 წელი ჯორჯის კარიერაში პიკი იყო. ამ წელს მან ევროპაში მოთამაშე მეორე საკულტო თავდამსხმელ **იურგენ კლინსმანს** ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ცხვირწინ ააცალა. აღსანიშნავი კიდევ ის იყო, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში არაევროპელი ფეხბურთელებს მისცეს მონაწილეობის უფლება და მან პირველივე ჯერზე მოახერხა გამოკითხვაში გამარჯვება. ვეა დღემდე რჩება ერთადერთ ფეხბურთელად, რომელიც ერთბაშად ორ კონტინენტზე დაასახელეს საუკეთესოდ. ბუნებრივია, იმავე წელს ის "შავი კონტინენტის" ფავორიტიც გახდა.

ვეა სწორედ კარიერის პიკში იყო, როცა პსჟ-დან "მილანს" მიაშურა და უმალ გახდა "როსონერის" ფანების კერპი. ჯორჯმა "მილანის" ფეხბურთელებთან თბილი ურთიერთობა დაამყარა. განსაკუთრებულად ახლოს იყო ის **მარკო სიმონესთან** და ისინი დღემდე საუკეთესო მეგობრები არიან. "შავ-წითლების" შემადგენლობაში ჯორჯ ვეა ორჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი. ორივე შემთხვევაში ის გუნდის ინტერესებისთვის ყველაფერს აკეთებდა. ის სწორედ "მილანის" სიყვარულის გამო დათანხმდა ერთი პერიოდი მისთვის უჩვეულო პოზიციაზე გარჯას. იმ პერიოდში "როსონერიში" კლასიკურ ცენტრფორვარდად გერმანელი **ოლივერ ბირჰოფი** თამაშობდა. თუმცა ჯორჯი არ იყო რიგითი ფეხბურთელი და არ იყო რიგითი ადამიანი. მას თავისი პრეტენზიები ჰქონდა როგორც კლუბის ხელმძღვანელობასთან, ისე გუნდის მთავარ მწვრთნელ **ალბერტო ძაკერონისთანაც**. მათ ურთიერთობა იმდენად დაეძაბათ, რომ ლიბერიელმა ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა. ჯორჯი იჯარით "ჩელსიმ" აიყვანა, თუმცა აფრიკელმა მოკლე ხანში ინგლისურ ფეხბურთს ალღო ვერ აუღო და "არისტოკრატებმა" მასთან ხელშეკრულების გახანგრძლივება აღარ ისურვეს. ურთიერთობის გაგრძელება ფეხბურთელთან აღარც "მილანმა" მოისურვა, რადგან მას უკვე ჰყავდა **ანდრეი შევჩენკო**. ორმხრივი შეთანხმებით კონტრაქტი გაუქმდა.



ჯორჯ ვეას სამშობლოში დიდი გეგმები აქვს

ვეას ავტორიტეტი არ იყო მხოლოდ მწვანე მინდორზე მოპოვებული. ფეხბურთელი სხვა მხრივაც გამოირჩეოდა. "მისტერ ჯორჯმა", როგორც მას საფრანგეთში უწოდებენ, მშობლიურ კონტინენტზე ხალხს თავი საქველმოქმედო საქმიანობითაც შეაყვარა. ის განსაკუთრებით ზრუნავდა ომის შედეგად დაზარალებულ ბავშვებზე. ფეხბურთის ვარსკვლავის საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და გაეროს ბავშვთა ფონდმა მას საპატიო კონსულის წოდება უბოძა. *"ყველაფერი, რაც ვეამ ჩვენი ქვეყნისთვის გააკეთა, შეუძლებელია სრულად აღიწეროს. ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია,* - განაცხადა ლიბერიის სპორტის მინისტრმა **ვეატონ დიქსონ-ბარნსმა**. *– ჩვენს ქვეყანაში მისი წყალობით ფეხბურთს ეთაყვანებიან. სპორტის ეს სახეობა რაღაცნაირად ხალხის ერთიანობის სიმბოლოდაც იქცა. შიდა დაპირისპირებების დროსაც კი, მხარეები იარაღს გვერდზე დებდნენ და ფეხბურთის სანახავად ერთად მიდიოდნენ სტადიონებზე".*

სამოქალაქო ომმა ლიბერიაში (სხვადასხვა ინტენსივობით ის 1989 წლიდან 2003-მდე გრძელდებოდა) დაახლოებით 200 ათასი ადამიანი იმსხვერპლა და ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით ნახევარი მილიონი ადამიანი აქცია ლტოლვილად. ასეთ მძიმე პერიოდებშიც კი ფეხბურთელს ერთი წამით არ უფიქრია ეროვნულ ნაკრებზე უარი ეთქვა. მეტიც, ერთი პერიოდი სწორედ ის იყო ლიბერიის ნაკრების მთავარი დამფინანსებელი, რადგან ფეხბურთის ფედერაციას საამისოდ სახსრები არ ჰყოფნიდა. ლიბერიელებს ეს არ დავიწყნიათ და შესაბამისად, ის დღემდე რჩება საერთო ეროვნული სიამაყის ობიექტად. ვეას მიერ მოპოვებული პატიოსანი და გამორჩეულად კეთილი ადამიანის რეპუტაცია დღემდე ცოცხალია. 2003 წელს, მაშინ, როცა ქვეყანაში სამოქალაქო ომი დამთავრდა, ჯორჯმა უკვე პოლიტიკაში სცადა დამკვიდრება. თუკი ერთნი მას განათლებას უწუნებდნენ, მეორენი მის პატიოსნებაზე დებდნენ ფსონს და ამით ამართლებდნენ მისადმი მხარდაჭერას. რახან ხალხი ამ თვისებებს სხვებში ნაკლებად ან საერთოდ ვერ ხედავდა, სწორედ ამიტომ იყო, რომ 2005 წლის ოქტომბერში ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში "ლამის გაამარჯვებინა". ჯორჯს დიდწილად ხმა ახალგაზრდობამ მისცა, სწორედ იმ თაობამ, ვის შორისაც არის ის მაქსიმალურად პოპულარული. ვეა ხომ პირველი ადამიანი იყო, ვინც ლიბერიის კორუმპირებული ხელისუფლების წინააღმდეგ ხმა ამოიღო, იმ მთავრობის, რომელმაც ქვეყანას მრავალი უბედურება დაატეხა თავს. აი, რას ეუბნებოდა ვეა ჟურნალისტებს თავისი გადაწყვეტილების შესახებ: *"მე წარმოშობით საფეხბურთო მინდვრიდან ვარ და სულით სპორტსმენი გახლავართ. ვარ დისციპლინირებული და პატივს ვცემ ადამიანურ ღირსებებს. ყველაზე მეტად იმან დამთრგუნა, რაც ჩემი ქვეყნის პროვინციებში ვნახე. ესაა ცხოვრების არნახულად დაბალი დონე. ადამიანებს არ მოსდით მოსავალი, რომ თავი გამოიკვებონ და არ აქვთ ელემენტარული რამის საყიდელი ფულიც კი. ამის დანახვაზე მე მართლა ვერ შევიკავე ცრემლი".*

საბოლოოდ ჯორჯმა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში წააგო. აფრიკის ისტორიაში **ელენ ჯონსონ-სირლიფი** პირველი ქალი პრეზიდენტი გახდა. პოპულარობით ქალბატონი პრეზიდენტი ვერც დღეს შეედრება ჯორჯ ვეას. ალბათ მართალნი იყვნენ ისინი, ვინც ფეხბურთელს განათლებას უწუნებდნენ. ვეას კონკურენტი ხომ ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ცნობილი ფინანსისტი-ექსპერტი იყო. ვერ ვიტყვით, რომ ფეხბურთელზე არჩევნების წაგებამ დამთრგუნველად იმოქმედა, მაგრამ ერთი კია, სწავლის სურვილი გაუღვიძა. თავის დროზე მომავალმა ვარსკვლავმა სკოლა დამამთავრებელ კლასში მიატოვა. შესაბამისად, მას მისი დამთავრების ცნობაც კი არ ეჭირა ხელთ. ვეამ სამშობლოში ჯერ დაწყებითი განათლების დიპლომი მიიღო, 2007 წელს კი ამერიკაში, კერძოდ ფლორიდაში წავიდა საცხოვრებლად და სასწავლებლად. მან იქაურ კოლეჯში ჩააბარა. *"განათლება ეტაპობრივი პროცესია ადამიანის ცხოვრებაში. თითქოს ველოსიპედს ჰგავს, რაც უფრო ინტენსიურადატრიალებ პედალს, მით უფრო სწრაფად წახვალ ცხოვრებაში წინ. ამჟამად ბიზნესმენეჯმენტსა და სისხლის სამართალს ვსწავლობ. მერე ალბათ პოლიტოლოგიას შევისწავლი,"* – თქვა ვეამ.

მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნები ლიბერიაში 2012 წელსაა დანიშნული...

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები




ფრედერიკ კანუტე

## კანუტემ ვარჯიში დაიწყო

„სევილიას" ფორვარდმა **ფრედერიკ კანუტემ** ვარჯიში განაახლა. მას ორი კვირა გაუცდა. ლუიშ ფაბიანოს ბრაზილიაში წასვლის გამო **გრეგორიო მანსანოს** შეტევის ხაზში პრობლემები გაუჩნდა, რასაც 33 წლის კანუტეს დაშავება დაერთო. „მარკას" მტკიცებით, მართალია, აფრიკელი ჯერ ცალკე ვარჯიშობს, მაგრამ მას საკმაო დრო აქვს, რომ კვირის მნიშვნელოვანი მატჩისთვის ფორმაში ჩადგომა მოახერხოს. კვირას „სევილია" „ვილიარეალს" მასპინძლობს. კანუტემ ამ სეზონში 24 მატჩი 9 გოლი გაიტანა და 2 საგოლე პასი მიითვალა.

## კრკიჩი ჩქარობს

„ბარსელონას" 20 წლის ფორვარდი **ბოიან კრკიჩი**, შეიძლება, მოსალოდნელზე ადრე დაუბრუნდეს მოედანს. პირველადი დასკვნით ბოიანის თამაში ამ სეზონში გამორიცხული იყო, მაგრამ მისი გამოჯანმრთელების პროცესი მოსალოდნელზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ ბოიანმა ტრავმა „ალმერიასთან" მატჩში მიიღო. „ბარსას" ექიმები იმედოვნებენ, რომ ფორვარდი 15 მაისს „დეპორტივოსთან" თამაშში გუნდს დაეხმარება.

## მონტოია ვალენსიაში

„ვალენსიას" „ბარსელონას" განაპირა მცველი **მარტინ მონტოია** სურს და სანაცვლოდ 3 მილიონი ევროს გადახდაზეც ყაბულსაა. მცველი „ბარსას" სარეზერვო გუნდშია, ივნისში კი ის ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს. „ბარსამ" მცველს 2013 წლამდე შესთავაზა კონტრაქტის გაგრძელება, მაგრამ ფეხბურთელისგან უარი მიიღო. თუ პირდაპირ ყიდვა არ გამოუვიდათ, „ლამურები" მონტოიას იჯარით აიყვანენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფრანგული ტრანსფერები

# ლიონი ლისანდროს გაყიდის?

"ლიონის" მთავარმა მწვრთნელმა **კლოდ პიუელმა** განაცხადა, რომ შეიძლება ამ ზაფხულს ისე მოხდეს, რომ კლუბმა თავისი მთავარი ვარსკვლავი, 28 წლის არგენტინელი **ლისანდრო ლოპესი** ვერ შეინარჩუნოს. *"აუცილებელია, რეალობას თვალი გავუსწოროთ და ჩვენს გულშემატკივარს სიმართლე ვუთხრათ. სიმართლე კი ეს არის: თუკი ლისანდრო ლოპესი ინგლისიდან ან ესპანეთიდან სარფიან წინადადებას მიიღებს და მოისურვებს ჩვენს დატოვებას, ამაში ხელს ვერ შევუშლით. ჩვენ მის შენარჩუნებას ვერ მოვახერხებთ და ამისი უფლება არც გვექნება. არიან გუნდები, ვისთან კონკურენციაც ფინანსური თვალსაზრისით არ შეგვიძლია. გაუმართლებელი იქნება ისიც, თუკი გუნდში დავტოვებთ მოთამაშეს, რომელსაც წასვლა ენდომება,"* – განუცხადა "ფრანს ფუტბოლს" გამოცდილმა მწვრთნელმა.

თუკი ლისანდრო საფრანგეთს დატოვებს, და როგორც ჩანს, ამის შანსები საკმაოდ მაღალია, კლუბი მისი შემცვლელის შეძენას უკრაინაში შეეცდება. ლაპარაკია დონეცკის "შახტარის" ცენტრალური თავდამსხმელის, 24 წლის **ლუიშ ადრიანოს** მიმართ ინტერესზე. თავად ფეხბურთელი მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარების წინააღმდეგი არ არის. ამას წინათ მან ბრაზილიელ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ: *"შახტარში" სიამოვნებით ვითამაშებდი 2-3 წელი. შემდეგ კი ნამდვილად მინდა ძალები ევროპის ელიტური ლიგებიდან რომელიმეში მოვსინჯო. საფრანგეთი? რატომაც არა?! მშვენიერი ადგილია ბურთის გემრიელად გასაგორებლად".* "შახტარის" ხელმძღვანელობა ჯერჯერობით უარს აცხადებს წამყვანი ფეხბურთელის სავარაუდო ტრანსფერის შესახებ კომენტარზე.

ეს ინფორმაცია ისევ და ისევ "ლიონს" ეხება.:. სწორედ რამდენიმე დღის წინ იყო, ფრანგულმა გაზეთებმა რომ დაწერეს, "სტად დე ჟერლანის" ლეგენდას, დამსახურებულ ვეტერანს, 36 წლის **ჟუნინიო პერნამბუკანოს** საყვარელ კლუბში დაბრუნება უნდაო. შეგახსენებთ, რომ 2009 წლის აგვისტოდან ის ყატარულ "ალ გარაფში" ასპარეზობს. აი, გუშინ კი სულ სხვა ინფორმაცია გავრცელდა. ბრაზილიის ნაკრების ყოფილ წევრს "ვასკო და გამა" იწვევს და ფეხბურთელს გულმა სამშობლოსკენ გაუწიაო. ეს ამბავი უკვე "გლობომ" დაწერა. ნახევარმცველის მიერ არაბებთან დადებულ კონტრაქტს ვადა ივნისში გასდის. ვისზე შეჩერდება მისი არჩევანი, ამას ალბათ მალევე შევიტყობთ. ფრანგული კლუბი ფეხბურთელს, ვინც "სტად დე ჟერლანზე" 8 წელიწადი გაატარა,




ლისანდრო ლოპესი

მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ "ლიონის" ადმინისტრაციაში დასაქმებას ჰპირდება, ამ პირობამ შეიძლება გადაწონოს კიდეც "ვასკო და გამას" შეთავაზება. გეტყვით, რომ ჟუნინიოს ამ კლუბზეც დიდი ამაგი აქვს. 1994-დან 2001-მდე ის სწორედ "ვასკოში" ირიცხებოდა, სადაც 111 შეხვედრა გამართა და 24 გოლი გაიტანა.

რახან ჩვენს რუბრიკას სახელად "ფრანგული ტრანსფერები" შევურჩიეთ, ბუნებრივია, "ლიონის" გარდა სხვა სალაპარაკო თემაც უნდა გვქონდეს. ასეცაა. ორიოდე სიტყვით პსჟ-ს შევეხებით. "ფრანს ფუტბოლის" ცნობით, "არსენალს" პსჟ-ს 21 წლის ცენტრალური მცველის **მამადუ სახოს** შეძენა სურს და ამ მიზნით 15 მილიონი ევრო აქვს გამზადებული. იმავე გამოცემის მტკიცებით, **არსენ ვენგერის** გეგმა ცოტა გულუბრყვილოა, რადგან პარიზელები პერსპექტიულ ფეხბურთელში ამ თანხას ნადვილად არ დასჯერდებიან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუკი ფრანგულმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, ხელმძღვანელობა მოლაპარაკებათა მაგიდიდან უმალ ადგება და ფეხბურთელის ტრანსფერს ვეტოს დაადებს. სახოს მიერ პარიზელებთან დადებულ კონტრაქტს ვადა 2014 წელს გასდის.

"სენტ ეტიენისა" და საფრანგეთის ნაკრების 24 წლის საყრდენი ნახევარმცველის **დიმიტრი პაიეს** სავარაუდო ტრანსფერის შესახებ ამ ბოლო ხანს ბევრი იწერება. მათ შორის გავრცელდა ხმები, რომ მისით პსჟ იყო დაინტერესებული. გუშინ "პარკ დე პრენსის" მკვიდრებმა ოფიციალური განცხადება გააკეთეს, სადაც კატეგორიულად უარყვეს კლუბის დირექტორის **ალენ როშის** ფეხბურთელთან შეხვედრისა და მოლაპარაკების დაწყების ფაქტი.

**ლევან ბიბილაშვილი**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXII ტურის მიმოხილვა

# რაღა დარჩა?

## ბრძოლა პიჩიჩისთვის და ოქროს ბუცისთვის

**და რაღა დარჩა - ორივე „კლასიკო“ იყო? იყო. ლიგის ბედი გადაწყდა? თქმა რად უნდა. მეორეზე „რეალი“ რომ გავა, ამასაც ხომ წყალი არ გაუვა, ისევე, როგორც ცნობილია ჩემპიონთა ლიგის კიდევ ორი მონაწილე: ამასთან, ისიც გარკვეულად გვეჩვენება, რომ „ვალენსია“ შემოდგომით ჯგუფური ეტაპიდან დაიწყებს, ხოლო „ვილიარეალი“ საკვალიფიკაციოდან. ცხრილს კარგად თუ „ჩავუსხდებით“, იმასაც აღმოვაჩენთ, რომ ევროპის ლიგის მონაწილე ამ კვარტეტიდან („ბილბაო“, „სევილია“, „ატლეტიკო“ და „ესპანიოლი“) მხოლოდ ერთი უილბლო არ იქნება. გამოიკვეთა ისიც, რომ „ერკულესსა“ და „ალმერიას“ (განსაკუთრებით) ცუდად აქვთ საქმე.**

**აბა რაღა დარჩა გასარკვევიო, იკითხავთ და მართლებიც იქნებით: ვინ იქნება მესამე უილბლო, რომელიც პრიმერადივიზიონს დაემშვიდობება და ვინ მოიგებს „პიჩიჩის“, ლეო მესი თუ კრიშტიანო რონალდო. აი, ეს ორი ინტრიგაღა გვახსენდება...**



ლეო ვს რონალდო. დუბლი 32

### ლეო VS რონალდო

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ სერიოზულ ინტრიგად ესღა შეგვრჩა - რომელ ვარსკვლავს დარჩება საუკეთესო ბომბარდირის პრიზი. „კლასიკოზე“ ორივემ გაიტანა (ორივემ პენალტით) და „სტატუს კვო“ შენარჩუნდა - მესი 30 გოლით ლიდერია, კრიშტიანო კი 29 გოლით მას კვალში უდგას. არ დაგვავიწყდეს, რომ მესი და რონალდო „პიჩიჩის“ გარდა ევროპული „ოქროს ბუცისთვისაც“ იბრძვიან. ქვემოთ სწორედ „ოქროს ბუცისთვის“ დაწინაურებულთა ცხრილს შემოგთავაზებთ.

| ფეხბურთელი | კლუბი | გოლი | ქულა |
|---|---|---|---|
| 1. მესი | ბარსელონა | 30 | 60 |
| 2. რონალდო | რეალი | 29 | 58 |
| 3. დი ნატალე | უდინეზე | 26 | 52 |
| 4. კავანი | ნაპოლი | 25 | 50 |
| 5. გომესი | ბაიერნი | 22 | 44 |

ტურის სიმბოლური ნაკრები

(goal.com 3-4-3)

**მეკარე**

**დიეგო ლოპესი** (ვილიარეალი, 3): რომ არა დიეგო ლოპესი, „ელ მადრიგალზე“ „სარაგოსა“ მოულოდნელ შედეგს აჩვენებდა, ხოლო „ელ სუბმარინო“ ველარ გაიმყარებდა მე-4 ადგილს.

**მცველები**

**მანუელ პაბლო** (დეპორტივო, 2): უკომპრომისო ვეტერანი დიდად შეეწია გუნდს „რიასორზე“ „რასინგის“ დამარცხებაში, მიითვალა ერთი საგოლე პასი.

**მარიუს სტანკევიჩიუსი** (ვალენსია, 2): როგორც იქნა გაუშინაურდა „მესტალიას“, „ალმერიას“ კარში გოლიც გაიტანა და საკუთარის „მშრალად“ შენახვაშიც გვარიანად დაეხმარა **გუაიტას**.

**ჟერემი მატიო** (ვალენსია, 3): ფრანგი ამ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ფეხბურთელია გუნდში. „ალმერიასთან“ თავი საგოლე პასით გამოიჩინა.

**ნახევარმცველები**

**სებასტიან ფერნანდესი** (მალაგა, 1): სება პირველად მოხვდა სიმბოლურში, 25 წლისამ „მალიორკას“ დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა.

**დანიელ პარეხო** (ხეტაფე, 1): ბოლო დროს „ხეტაფე“ თავქვე მიექანებოდა, ასე რომ, „სევილიასთან“ 1:0 მოგება და ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი ორმაგად დასაფასებელია.

**პეპე** (რეალი, 3): პეპეს თამაშზე ისედაც ბევრი ვწერეთ, რაღა დავამატოთ?

**ანტუან გრიზმანი** (რეალ სოსიედადი, 4): ბასკური კლუბის ფრანგი თინეიჯერი ამ სეზონის ნაღდი აღმოჩენაა, „სპორტინგის“ კარში დუბლი შეასრულა.

**თავდამსხმელები**

**იკერ მუნიაინი** (ბილბაო, 4): კიდევ ერთი თინეიჯერი, რომელმაც გასულ ხეზონში გაიბრწყინა, ახლა კი კვლავ ტოპ-ფორმაში შედის. მისმა შორეულმა დარტყმამ ბოლო წუთზე 10-კაციან „ბილბაოს“ სტუმრად მოაგებინა.

**პაბლო ოსვალდო** (ესპანიოლი, 3): ოსვალდომ და „ესპანიოლმა“ დიდებულად დაიწყეს სეზონი, შემდეგ ოსვალდო დაიმტვრა და „ესპანიოლიც“ „გაჩერდა“. იტალიელი ისევ მწყობრშია, ბოლო ტურში დუბლი მიითვალა.

**ჟულიო ბაპტიშტა** (მალაგა, 2): ბრაზილიელი დაბრუნდა და ორი გოლი გაიტანა.

ტურის გმირი

### კარლეს პუიოლი

როდესაც გვარდიოლამ მადრიდში წამსვლელი 20 კაცის სია ჩამოწერა, მაშინვე მივხვდით, რომ **კარლეს პუიოლი** თავს გაწირავდა და „კლასიკოს“ მაინც ითამაშებდა. კარლესს ეს გმირობა კინაღამ სერიოზულ ტრავმად დაუჯდა. მეორე ტაიმში ტრავმის გამო მოედანი მხოლოდ მაშინ დატოვა, როცა მისი გუნდი 1:0-ს იგებდა და 11 10-ის წინააღმდეგ თამაშობდა. ასე რომ, კაპიტნის ბრალი სულაც არ არის, რომ „ბარსამ“ ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

ტურის ანტიგმირი

### მუნის ფერნანდესი

„კლასიკოს“ მსაჯი. ასტურიელმა არბიტრმა არ დანიშნა „რეალის“ კარში ნაღდი პენალტი, სამაგიეროდ დანიშნა არარსებული პენალტი „ბარსელონას“ კარში. „მარკამ“ მუნის ფერნანდესს 10-ბალიანი სისტემით 0 დაუწერა! თუმცა პრომადრიდულ გაზეთს ზემოთ ნახსენები ორი შეცდომის გარდა სასწაულები აქვს დაწერილი შეფასებაში: *„რადგან პენალტი დანიშნა, დანი ალვეში უნდა გაეძევებინა, ხოლო პეპეს მიმართ ძალიან მკაცრი იყო“*. უპს...

ტურის მსხვერპლნი



კარლოს გურპეგი

**კარლეს პუიოლი:** ახლახან გამოჯანმრთელებული კაპიტანი „რეალთან“ მატჩის მეორე ტაიმში დაშავდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო, თუმცა მისი ტრავმა არ აღმოჩნდა სერიოზული.

ნახევარმცველი „ოსასუნას“ მცველ ნაჩო მონრეალს შეეჯახა და ისეთი ტრავმა მიიღო, რომ თავზე 7 ნაკერის დადებამ მოუწიათ ექიმებს.

ტურის ფრაზები

**დანი ალვეში (ბარსელონა):** *„თამაშის შემდეგ ჩემთან მარსელო მოვიდა და მითხრა, რომ პენალტი მან მოიგონა. ეს მან გუნდის საჭიროებით ახსნა“* - „კლასიკოს“ შემდეგ.

**ანდერ ერერა** (სარაგოსა): *„ბევრს ჩვენი სიკვდილი სურდა. მაგრამ ჩვენ ისევ ცოცხლები ვართ“* - „ვილიარეალთან“ 0:1 მარცხის შემდეგ.

**მიგელ ანხელ ლოტინა** (დეპორტივო): *„პრიმერაში დარჩენა უფრო გაადვილდა, თუმცა პრიმერას ცხრილის ბოლოში ისეთი საცრობია, რომ კაცმა არ იცის, რა მოხდება“* - „რასინგთან“ 2:0 გამარჯვების შემდეგ.

**მიროსლავ ჯუკიჩი** (ერკულესი): *„თუკი დარჩენა გვსურს, ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც „ლევანტემ“* - „ლევანტესთან“ 1:2 მარცხის შემდეგ.

**მანოლო პრესიადო** (სპორტინგი): *„ისე ვითამაშეთ, თითქოს, გამოსასვლელ საღამოზე ვიყავით დაპატიჟებულნი. ჰოდა, კი მოგვიწყვეს კარგი საღამო“*, - „რეალ სოსიედადთან“ 1:2 წაგების შემდეგ.

**ხოაკინ კაპაროსი** (ბილბაო): *„ჩვენ კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ბილბაოს „ატლეტიკი“ მოედანზე სულსა და გულს ტოვებს“*, - „ოსასუნასთან“ 2:1 გამარჯვების შემდეგ.




**უნაი ემერი** (ვალენსია): *„ალმერიას“ შეუძლია გავარდნისგან თავი დაიძვრინოს და თუ ეს მაინც ვერ მოახერხა, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში უკან დაბრუნდება“*, - 3:0 გამარჯვების შემდეგ მეტოქე შეაფასა.

**მიქაელ ლაუდრუპი** (მალიორკა): *„მალაგა“ ყველაფერში გვჯობდა დღეს“*, - 0:3 მარცხის შემდეგ.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ ჩემპიონები“*, - ასე იხუმრა პეპმა „კლასიკოს“ შემდეგ.

**ჩავი** (ბარსელონა): *„რეალს“ ფეხბურთის თამაში არ უნდოდა, ისინი ბურთს რაც შეიძლება შორს იცილებდნენ“* - არ მოსწონს ჩავის „სამეფო კლუბის“ თამაშის სტილი.

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„დავიღალე 10 კაცით თამაშით. მეც მათამაშეთ ერთხელ 10-კაციან „ბარსასთან“* - რაულ ალბიოლის გაძევებით უკმაყოფილო.

პირველი... კლასიკო

### ადრიანო, აფელაი, ადებაიორი

სამი ფეხბურთელისთვის ეს „კლასიკო“ პირველი იყო კარიერაში, აქედან ორი ბარსელონელია და ერთი მადრიდელი.

**ბარსელონა:** ადრიანო კორეია, იბრაჰიმ აფელაი

**რეალი:** ემანუელ ადებაიორი

ადრიანომ ერთხელ აშკარა გოლისგან იხსნა გუნდი, როცა რონალდოს დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანა. აფელაი შეცვლაზე შევიდა და ერთხელ კარგად შევიდა მარჯვენა ფლანგიდან, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. ადებაიორი მეორე ტაიმში გამოჩნდა და ერთიორი ხელსაყრელი მომენტი ქარს გაატანა. მოკლედ, დებიუტანტთაგან ყველაზე უკეთ ადრიანომ ითამაშა.

საოცარი ლევანტე

იანვარში „ლევანტეს“ გავარდნას ლამის ყველა ვარაუდობდა ესპანეთში. გუნდმა ლამის ყველაფერი წააგო, რისი წაგებაც შეიძლებოდა. ლევანტე აღმოსავლეთს ნიშნავს, ვალენსია კი ესპანეთის აღმოსავლეთია. მაგრამ ამის შემდეგ „ლევანტე“ (ლევანტი კატალონიურად, ანუ ვალენსიურად) გამოფხიზლდა. 22 იანვარს გუნდმა ზედიზედ მე-5 მარცხი იგემა „სევილიასგან“ (1:4) და მაშინ გუნდის თავკაცმა **ლუის გარსიამ** თქვა, კმარაო. და აი, 12 მატჩში „ლევანტემ“ მოიგო 8 (!), 3 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 1 წააგო. გავარდნას ვინღა დაგიდევს, ვალენსიელები სერიოზულად აცხადებენ პრეტენზიას ევროთასებზე.

ტურის სტატისტიკა

25 გოლი (2,5 გოლი მატჩში)

**მასპინძლებმა მოიგეს - 6, სტუმრებმა - 2, ფრე - 2.**

**62 ყვითელი ბარათი, 4 გაძევება**

ყველაზე, ყველაზე...

**მეტი დარტყმა კარისკენ:** 18 - მალაგა
**მეტი დარტყმა კარში:** 9 - მალაგა
**მეტი ჯარიმა:** 25 - ერკულესი
**მეტი კუთხური:** 13 - მალაგა
**მეტი თამაშგარე:** 13 - ალმერია
**მეტი ბურთის ფლობის %:** 72 - ბარსელონა
**მეტი მაყურებელი:** 80 354 - სანტიაგო ბერნაბეუ
**ნაკლები მაყურებელი:** 10 562 - მედიტერანეო

ტოპ-10 დონ ბალონის მიხედვით

| ფეხბურთელი | კლ. | ქ. (თამ.) | საშ. |
|---|---|---|---|
| 1. ლ. მესი | ბარსელონა | 218 (29) | 7,52 |
| 2. კრ. რონალდო | რეალი | 206 (29) | 7,10 |
| 3. ჯ. როსი | ვილიარ.ი | 205 (29) | 7,07 |
| 4. ა. ინიესტა | ბარს. | 223 (32) | 6,97 |
| 5. ჯ. ვალერო | ვილიარეალი | 201 (29) | 6,93 |
| 6. ს. კასორლა | ვილიარეალი | 207 (30) | 6,90 |
| 7. დ. ალვეში | ალმერია | 212 (31) | 6,84 |
| 8. ხ. რეიესი | ატლეტიკო | 196 (29) | 6,76 |
| 9. დ. ალვეში | ბარსელონა | 196 (29) | 6,76 |
| 10. ჩავი | ბარსელონა | 181 (27) | 6,70 |

ტოპ-5 გუნდის 3-3 საუკეთესო ფეხბურთელი

**ბარსელონა:** 1. მესი (7,52), 2. ინიესტა (6,97), 3. ალვეში (6,70)

**რეალი:** 1. რონალდო (7,10), 2. ალონსო (6,59), 3. იოზილი (6,58)

**ვალენსია:** 1. მატა (6,37), 2. გუაიტა (6,33), 3. სტანკევიჩიუსი (5,95)

**ვილიარეალი:** 1. როსი (7,07), 2. ვალერო (6,93), 3. კასორლა (6,90)

**ბილბაო:** 1. ხ. მარტინესი (6,52), 2. ირაოლა (6,23), 3. მუნიაინი (6,21)

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



რეალი-ბარსელონა. პეპესა და მესის წაჩხუბება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ახალი სამოსელი და ნოიერი

## მანუელის ტრანსფერი მაისში დადასტურდება, შალკე 20 მილიონს ითხოვს

**მიუნხენის „ბაიერნმა“ „ადიდასთან“ ახალი ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა – 2020 წლამდე! გუშინ, რეკორდმაისტერმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, სადაც ამ ინფორმაციის გაჟღერების გარდა, მიუნხენელებმა ის ფორმებიც წარმოადგინეს, რომლითაც „ბაიერნი“ მომდევნო სეზონში ითამაშებს. გარდა ამისა, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ გერმანიის ნაკრებისა და „შალკეს“.მეკარე მანუელ ნოიერი კარიერას მიუნხენურ გრანდში გააგრძელებს. ტრანსფერი ოფიციალურად მაისში უნდა დადასტურდეს.**

„ადიდასი“ „ბაიერნისთვის“ არა მარტო ოფიციალური შემმოსავია, არამედ, 2002 წლიდან სააქციო საზოგადოება „ბაიერნ მიუნხენის“ 9.4 პროცენტსაც ფლობს. „ადიდასმა“ ამ წილის სანაცვლოდ, 2002 წელს „ბაიერნს“ 77 მილიონი ევრო გადაუხადა. ივლისამდე, ბაიერნის აქციების 90-მილიონიან პაკეტს ავტომწარმოებელი კომპანია „აუდიც“ შეიძენს და ზაფხულიდან „ადიდასსა“ და „აუდის“ 9.09-9.09 პროცენტი ექნებათ, „ბაიერნს“ კი 81.82 პროცენტი. რაც შეეხება ახალ ფორმას: ის ფაქტობრივად მთლიანად წითელია. „ადიდასის“ ტრადიციული სამი ზოლი, ასევე ნომრები და ფეხბურთელების გვარები კი ოქროსფერი იქნება.

### ნოიერი ფაქტობრივად გადაწყვეტილია

გერმანიის ნაკრების მეკარის „შალკედან“ „ბაიერნში“ ტრანსფერს ოფიციალურად ჯერ არცერთი მხარე არ ადასტურებს, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ნოიერის რეკორდმაისტერში გადასვლა გადაწყვეტილია და გარიგება ოფიციალურად მაისში გაცხადდება.

ორშაბათის ნომერში, ბუნდესლიგის 30-ე ტურის მიმოხილვაში ვწერდით, რომ ნოიერმა თქვა, გადაწყვეტილება უკვე მიღებული მაქვს და საჭირო პირებმა ყველაფერი იციანო, მაგრამ არაფერი დაუკონკრეტებია. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა კი ივარაუდეს, მანუელი „შალკეში“ რომ რჩებოდეს, ამას სიამაყით იტყოდაო. ნოიერის განცხადებით გამოწვეულ ეჭვს „ბაიერნის“ მენეჯერ **კრისტიან ნერლინგერის** კომენტარი მოჰყვა, რომელმაც „ზუდდოიჩე ცაითუნგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა: *„უკვე არსებობს გარკვეული ტენდენცია. ახლა მთავარი ის არის, რამდენად სწრაფად შევთანხმდებით ყველაფერზე.“*

„ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** კი, ორშაბათს უფრო კონკრეტულად ისაუბრა. *„მანუელ ნოიერის გადაწყვეტილება ჩემთვის უკვე ცნობილია,“* - თქვა ულიმ და კითხვაზე, მიესალმება თუ არა ბუნდესმეკარის გადაწყვეტილებას, ასე უპასუხა: *„ჯერჯერობით მეტს ვერაფერს ვიტყვი.“*

როგორც ხედავთ, მიუნხენელები ოფიციალურად ჯერ არ ამბობენ, რომ ნოიერმა გადაწყვეტილება „ბაიერნის“ სასარგებლოდ მიიღო, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ „შალკესთან“ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებს. გერმანელი ექსპერტების აზრით, ნოიერმა უკვე უთხრა მიუნხენელებს, რომ „ბაიერნში“ გადასვლა უნდა და ახლა მთავარი ისაა, როგორ შეთანხმდებიან „ბაიერნი“ და „შალკე“. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, გელზენკირხენული კლუბი ნოიერის სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს ითხოვს, მიუნხენელებს კი ამდენის გადახდა არ უნდათ. „ბაიერნის“ კოზირი ამ შემთხვევაში ის არის, რომ თუ „შალკე“ ნაკლების მიღებას არ დათანხმდება, ზუსტად ერთი წლის შემდეგ მანუელი „ბაიერნში“ უკვე უფასოდ გადავა, რადგან 2012-ში კონტრაქტი უმთავრდება. „შალკეს“ კი, ნოიერის უფასოდ დაკარგვა, ნესით, ხელს არ უნდა აძლევდეს. მიუხედავად იმისა, რომ **ლევან ყენიას** გუნდმა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლით უკვე გამოიმუშავა დაახლოებით 60 მილიონი ევრო, გელზენკირხენული გუნდის შეფები მაინც ვერ მისცემენ თავს იმის უფლებას, რომ აზრი მყარად დაიცვან, ნოიერი კიდევ ერთი წლით შერჩეთ და მერე უფასოდ დაკარგონ, რადგან „შალკესთვის“ თითოეულ მილიონს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ასე რომ, თუ მანუელს მართლაც „ბაიერნში“ გადასვლა უნდა, „შალკე“ იძულებული გახდება, ამ ზაფხულსვე გაყიდოს და 20 მილიონს კატეგორიულად ვერც მოითხოვს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, მანუელ ნოიერის ტრანსფერი ოფიციალურად მაისში გაცხადდება. ყოველ შემთხვევაში, 30 აპრილამდე ეს გამორიცხულია, რადგან ამ დღეს „ბაიერნი“ მიუნხენში სწორედ „შალკეს“ ეთამაშება.

### ჰიოვედესიც ბაიერნში?

როგორც იცით, „ბაიერნის“ გულშემატკივრების საკმაოდ დიდი ნაწილი ნოიერის ტრანსფერის წინააღმდეგია, მაგრამ რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ამას დიდ პრობლემად არ მიიჩნევს. *„ბოლო დროს ქომაგებისგან უამრავი წერილი მივიღე, სადაც გვწერენ, თუ ნოიერის გადმობირების შანსი არსებობს, უკან ნუ დავიხევთო. მანუელის ტრანსფერს ყველა ნამდვილად არ ეწინააღმდეგება. შესაბამისად, ჩვენ მის გადმობირებაზე ზრუნვას ვაგრძელებთ,“* - აცხადებს რუმენიგე.

*„ვფიქრობ, „ბაიერნის“ გულშემატკივრების უმეტესობა, დაახლოებით 75-80 პროცენტი ნოიერის ტრანსფერს მიესალმება. და საკმარისია, მიუნხენურ კლუბში ერთი პენალტი და ორი-სამი „მკვდარი ბურთი“ მოიგერიოს, რომ დარჩენილ 20-25 პროცენტსაც სიგიჟემდე შეუყვარდება,“* - ეს კი **ოლივერ კანის** მოსაზრებაა.

როგორც იცით, **თომას კრაფტის** მიუნხენიდან წასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია. რაც შეეხება **ჰანს-იორგ ბუტს**, რომელიც გასულ უქმეებზე რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა: 36 წლის მეკარეს სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება, მაგრამ თანახმაა, რომ ახალი ხელშეკრულება გააფორმოს. ბუტს ესმის, რომ თუ ნოიერი რეკორდმაისტერში გადავა, მას ძირითად შემადგენლობაში გარანტიას ვერავინ მისცემს და თანახმაა, სათადარიგოთა სკამზე დაჯდეს.

უახლესი ინფორმაციით, ნოიერი არ არის ერთადერთი შალკელი, რომელიც კარიერას „ბაიერნში“ გააგრძელებს. „მიუნხენერ თაგესცაითუნგის“ ინფორმაციით, ძალიან დიდია იმის შანსი, რომ გელზენკირხენიდან მიუნხენში მცველი **ბენედიქტ ჰიოვედესიც** გადავიდეს. ხომ იცით, „ბაიერნს“ დაცვის გაძლიერებაც ძალიან სჭირდება.

### ვან დერ ვილი მიუნხენს უახლოვდება

„მიუნხენერ თაგესცაითუნგი“ გუშინ იმასაც წერდა, რომ „ბაიერნს“ „აიაქსის“ ჰოლანდიელი მარჯვენა მცველი **გრეგორი ვან დერ ვილიც** მიუახლოვდა. უფრო მეტიც: ხსენებული გამოცემის ინფორმაციით, მიუნხენური კლუბის შეფები 23 წლის ჰოლანდიელს უკვე ყველაფერზე შეუთანხმდნენ. როგორც ირკვევა, ამსტერდამული კლუბი თანახმაა, რეკორდმაისტერს ვან დერ ვილი 10 მილიონ ევროდ დაუთმოს. ვან დერ ვილის ტრანსფერის იმის მომასწავებელი იქნება, რომ **ფილიპ ლამი** ისევ დაცვის მარცხენა ფრთაზე გადაინაცვლებს. როგორც იცით, მიუნხენელებს პირველ რიგში „ბენფიკას“ პორტუგალიელი ფლანგის მცველის, **ფაბიო კოენტრაუს** ყიდვა უნდოდათ, მაგრამ ამ უკანასკნელმა ლისაბონური კლუბის დატოვებაზე უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, მიუნხენში კოენტრაუზე ხელი ჯერ კიდევ არ ჩაუქნევიათ.

**გოტფრიდ ლენცი**



არიენ რობენი, ფილიპ ლამი და ბასტიან შვაინშტაიგერი ახალი ფორმის პრეზენტაციაზე

ესპანეთი. კოპა დელ რეი. ფინალის წინ



ბარსას ვარჯიშზე



რეალის ვარჯიში სიმხიარულეში მიმდინარეობდა

# გაზაფხულის კლასიკო: II სერია

## პეპი: უფრო სწრაფად უნდა ვითამაშოთ, სხვა დანარჩენისთვის კი მსაჯი არსებობს

**დღეს, 23:30**
**ვალენსია. მესტალია**

**ბარსელონა VS რეალი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** პინტო - ალვეში, პიკე, პუიოლი, ადრიანო - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, მესი, ვილია.

**რეალი:** კასილიასი - არბელოა, კარვალიო, რამოსი, მარსელო - ხედირა, პეპე, ალონსო, იოზილი - დი მარია, რონალდო.

დღეს ორი დიდი მოქიშპე, „რეალი“ და „ბარსელონა“ 4 დღეში მეორედ დაუპირისპირდება ერთმანეთს - ამჯერად, ბრძოლის ველს „მესტალია“ ჰქვია, ფრე კი ამ მატჩში აღარ არსებობს, რადგან ყველაფერი უფრო სერიოზულადაა - გამარჯვებული ესპანეთის მეფის თასს ჩაიბარებს.

**ჟოზე მოურინიომ** დაასახელა იმ 19 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც მან ვალენსიაში იახლა. პორტუგალიელმა ისევ მოისაკლისა არგენტინელი **ფერნანდო გაგო** და ფრანგი **ლასანა დიარა**, ორივე ტრავმირებულია. გუშინ მოურინიომ ჩვენი დროით ძალიან გვიან დაგეგმა პრესკონფერენცია.

„რეალის“ გაფართოებული შემადგენლობა ასეთია: *კასილიასი, ადანი, დუდეკი; გარაი, რამოსი, კარვალიო, პეპე, მარსელო, არბელოა; ალონსო, იოზილი, დი მარია, ხედირა, გრანერო, კაკა; რონალდო, ადებაიორი, იგუაინი და ბენზემა.*

ვალენსიას გაემგზავრა „ბარსელონაც“. **ხოსეპ გვარდიოლამ** შემადგენლობაში **კარლეს პუიოლიც** შეიყვანა, რომელმაც კვლავ მოასწრო მომჯობინება.

„ბარსას“ გაფართოებული შემადგენლობა ასეთია: *ვალდესი, პინტო; მასკერანო, ფონტასი, პუიოლი, მაქსველი, ადრიანო, პიკე, ალვეში, მილიტო; ბუსკეტსი, კეიტა, ჩავი, ინიესტა, აფელაი, ალკანტარა; პედრო, ჟეფრენი, მესი, ვილია.*

ჩავისთვის ეს 50-ე სათასო შეხვედრა იქნება, აქამდე მან „სამეფო თასზე“ 7 გოლი გაიტანა.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ეს ისეთი ფინალია, რომ ნებისმიერი რამ შეიძლება მოხდეს. ჩვენ უნდა შევაგულიანოთ ჩვენი გუნდი და პატივი ვცეთ მეტოქეს. ჩვენ კარგად შევისწავლეთ შაბათის მატჩი, რა მოვიმოქმედეთ არასწორად და შესაბამისი დასკვნებიც გამოვიტანეთ. თუ რა, ამას მოედანზე დაინახავთ.*

*უკეთ უნდა ვითამაშოთ და მეტი შანსი შევქმნათ. შუახაზში პეპეს დასამარცხებლად კი უფრო სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ, მაშინ მადრიდელები დააგვიანებენ ორთაბრძოლებში შესვლას, სხვა დანარჩენისთვის კი რეფერი არსებობს.*

*პუიოლი მაოცებს, მან მოასწრო გამოჯანმრთელება, უპრობლემოდ ივარჯიშა, ამიტომაც ის ვალენსიაში მიდის. მატჩისთვის სხვადასხვანაირი ტაქტიკური მონახაზი გვაქვს და ამის მიხედვით ვიმოქმედებთ კიდევაც. ჩვენი მთავარი მიზანია მოგება. უნდა ვიყოთ მამაცები და უნდა შევუტიოთ თუკი ტიტულის მოგება გვსურს.*

*კარში პინტო ჩადგება. მას თასის მატჩებში ვაყენებდით და ახლა უსამართლობა და მისი უპატივცემულობა იქნება ვალდესის დაყენება“.*

**ხორხე ვალდანო** (რეალი): *„გამოცდილება ძალზე მნიშვნელოვანია ასეთ შეხვედრებში. მოურინიო ნამდვილი დამპყრობელია, მან იცის ფინალების თამაში, მას შეუძლია გუნდი განაწყოს მოსაგებად. საკუთარი ძალების რწმენა კი პირველი ნაბიჯია წარმატებისკენ.*

*ასეთი თამაშების ბედი შეიძლება გადაწყვიტოს ერთმა სულელურმა შეცდომამ ან საფეხბურთო გენიის ერთმა გაელვებამ. მე მწამს, რომ მატჩის გმირობის კანდიდატი კრიშტიანო რონალდო იქნება.*

**პეპი: კარში პინტო ჩადგება. მას თასის მატჩებში ვაყენებდით და ახლა უსამართლობა და მისი უპატივცემულობა იქნება ვალდესის დაყენება.**

**ხორხე ვალდანო: ასეთი თამაშების ბედი შეიძლება გადაწყვიტოს ერთმა სულელურმა შეცდომამ ან საფეხბურთო გენიის ერთმა გაელვებამ.**

### იცით თუ არა, რომ...

- შაბათს „ბარსელონამ“ „კლასიკოებში“ 5-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა.
- **ლიონელ მესიმ** პირველად გაუტანა გუნდს, რომელსაც ჟოზე მოურინიო წვრთნის. მან ეს პენალტით მოახერხა.
- **კრიშტიანო რონალდომ** კარიერაში პირველი გოლი გაიტანა „კლასიკოზე“. ასევე პენალტით.
- შაბათს კატალონიელებმა ჯამში 817 პასი გააკეთეს და, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ეს მაჩვენებელი 100 პასით მეტია, ვიდრე 5:0 დასრულებულ „კლასიკოში“.
- ჟოზე მოურინიოს გუნდმა შაბათს სულ 278 ზუსტი პასი გააკეთა, პასების სიზუსტე მხოლოდ 64% იყო.
- გვარდიოლას შეგირდებმა ზუსტად იმდენჯერ დაარტყეს კასილიასის კარში ზუსტად, რამდენჯერაც 5:0 მოგებულ მატჩში.
- „ბარსელონაზე“ ტიტულოვანი გუნდი ესპანეთის თასზე არ არსებობს, კატალონიელებმა თასი 25-ჯერ მოიგეს, 9-ჯერ კი ფინალში გავიდნენ.
- „ბარსელონამ“ ბოლო სამი ფინალი მოიგო.
- „რეალმა“ 36 ფინალიდან 17 მოიგო, რაც 50%-ზე ნაკლები მაჩვენებელია. „ბარსას“ ანალოგიური მაჩვენებელი 74%-ია.
- „რეალმა“ თასი ბოლოს 1993 წელს მოიგო. მას შემდეგ „სამეფო კლუბი“ ორ ფინალში დამარცხდა: 2002 წელს „დეპორტივოსთან“ (1:2) და 2004 წელს „სარაგოსასთან“ (2:3).
- 1974 წელს „რეალმა“ ჩემპიონატში 0:5 დათმო და შემდეგ 4:0 მოუგო „ბარსელონას“ თასის ფინალში.
- 1997 და 1998 წელს მოურინიომ მოიპოვა „სამეფო თასი“... როგორც ბარსელონელმა. ის ჯერ **ბობი რობსონის** ასისტენტი იყო, შემდეგ **ლუის ვან გაალის**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ხოსეპ გვარდიოლას ახალი ვარცხნილობა



ბარსელონელი მოუ

# ქართული სპორტი

## დიდი სპორტის კარიბჭესთან

# სხირელის კარიერის ბოლო მარგალიტი

**მესამე წელიწადია საქართველოს ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, მძიმე წონაში გენო პეტრიაშვილი იმარჯვებს. ის ათი წელიწადია გორის თავისუფალი ჭიდაობის დარბაზში ვარჯიშობს. შედეგებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მწვრთნელები მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. თუმცა 17 წლის ფალავანმა ვიდრე საჭიდაო წრეებს აალაპარაკებდა, ხუთი წლის წინათ ყურადღება სულ სხვა, არცთუ სასიამოვნო ამბავით მიიპყრო...**

- ჩვენი ოჯახი მართალია გორში ცხოვრობს, მაგრამ წარმოშობით ქარელის რაიონის სოფელ ნულიდან ვართ და სახლიც გვქონდა იქ. ნული კონფლიქტის ზონაში მდებარეობს და, სამწუხაროდ, 2008 წლის ომის შემდეგ უკვე ე.წ. საზღვრის იქით მხარეს დარჩა. ხუთი წლის წინ სწორედ სოფელ ნულიდან მომიტაცეს უცნობმა ადამიანებმა. მაშინ საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი ატყდა გორში და არა მხოლოდ იქ. საქმეში ჩაერია ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება, რომელთა აქტიურობის შედეგად ოსმა სეპარატისტებმა რამდენიმე დღეში გამათავისუფლეს. ერთხანს, ჩემი ახლობლების გარდა ირგვლივ ყველა სწორედ მაგ ისტორიით მცნობდა. მაშინ სურვილი გამიჩნდა, ის ხმაური გაცილებით უფრო სასიამოვნო ამბავით გადამეფარა და ამით დამემახსოვრებინა ყველასთვის თავი. ღვთის ნებით მიზნისკენ ჯერჯერობით დაუბრკოლებლად მივიწევ. ყველაზე დიდი მიზანი ჩემთვის, რასაკვირველია, ოლიმპიური მედალია - გვითხრა გენომ.

**- ბოლო ხანს არც საერთაშორისო ტურნირებში გამოდიხარ ცუდად...**

- შარშან სინგაპურის ბავშვთა ოლიმპიურ ფესტივალზე მეოთხე ადგილი დავიკავე. პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე ბრინჯაოს მედალი მხვდა წილად. წლეულს, იანვარში, აზერბაიჯანში ისაევის საერთაშორისო ტურნირზე უკვე ჩემპიონობა ალარავისთვის დამითმია. სხვათა შორის, შემდეგ საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატშიც ვიასპარეზე და მესამე ადგილზე გავედი. ერთადერთი შეხვედრა ფინალისტ ვალერი გზირიშვილთან დავთმე.

**- ჭაბუკთა ნაკრების ლიდერს ახლა უკვე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებშიც მოგიწევს გამოსვლა...**

- დიახ, აგვისტოში ჯერ ევროპის პირველობაა პოლონეთში. მერე, ცხრა დღეში, უნგრეთში უნდა ვიჭიდაოთ მსოფლიოს პირველობაზე. ორივე შეჯიბრებაში წარმატებას შევეცდები. ცხადია, ეს ძალიან ძნელი იქნება, მით უფრო, რომ შეჯიბრებებს შორის მცირე დროა.

**- როგორ ფიქრობ, განსაკუთრებით რა მიმართულებით გმართებს მუშაობა უკეთ მოსამზადებლად?**

- როდესაც უფროსებს ვუყურებ, ვრწმუნდები, რამდენი ოფლისღვრა მომიწევს იმისათვის, რომ ძლიერი ფალავანი გავხდე!

**თამაზ ბედიანაშვილი (საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** *„წლევანდელ ევროპის და მსოფლიოს პირველობებზე ჭაბუკთა ნაკრებიდან ყველაზე მეტად გენო პეტრიაშვილის წარმატების იმედი მაქვს. არც შარშან ჰქონია ცუდი სეზონი, მაგრამ ახლა გაცილებით უკეთეს ფორმაშია, უფრო დახვეწა ჭიდაობის სტილი და ფიზიკურადაც დაკაცდა. პრობლემაა ევროპისა და მსოფლიოს პირველობების თარიღების სიახლოვე (რაც, სხვათა შორის, კალენდრის შემდგენელთა უცნაურობასა, თუ არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს). რუსეთის გუნდივით ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ერთი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებიდან მეორემდე, სულ ცხრა დღეში გუნდის შემადგენლობა შევცვალოთ. თუმცა მძიმე წონაში პირველ ნომერს ალბად არც სხვა შემთხვევაში შევცვლიდი, ვინაიდან პეტრიაშვილი აქ გამორჩეული ფავორიტია“*

**ნუგზარ სხირელი (გორის ჭიდაობის დარბაზის ხელმძღვანელი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** *„გენადი შრომისუნარიანი და მონდომებული ყმაწვილია. მე ვიცნობ მის ოჯახს და ვხედავ, რომ მშობლები მაქსიმალურად უწყობენ ხელს, რათა ეს პერსპექტიული ათლეტი დიდ გამარჯვებებამდე მივიდეს. პეტრიაშვილი ამჟამად 102 კგ-ს იწონის და სიმაღლით 197 სმ-ია, რაც მის ასაკში მძიმე წონის ფალავნისთვის თითქმის იდეალურია. ეს მონაცემები და შედეგები გვაფიქრებინებს, რომ გენოს ძალუძს მომავლისთვის მძიმე წონაში ქვეყნის პირველი ნაკრების ლიდერის ფუნქცია იტვირთოს. ცხადია, ეს ხვალ და ზეგ არ მოხდება. მიზანმიმართული მუშაობაა საჭირო. მაგალითად, ამ ეტაპზე, გარკვეული მოსაზრების გამო, თავს ვიკავებ მისი ფიზიკური მონაცემების განვითარებაზე. უმჯობესია, თუ მიმდინარე სეზონში დღევანდელ წონას შეინარჩუნებს. გაისად კი უფრო ინტენსიურად დავტვირთავთ ფიზიკურ ვარჯიშებზე და წონაც მოემატება. დიდებში გადასვლისას კარგი იქნება, თუ 120-124 კგ-ს მიაღწევს. გაგიმხელთ, რომ ასაკიდან გამომდინარე, ჩემი სამწვრთნელო კარიერის დასკვნითი მარგალიტი სავარაუდოდ სწორედ გენო პეტრიაშვილი იქნება. მივიყვან მას მსოფლიო ასპარეზზე შთამბეჭდავ გამარჯვებებამდე და წავალ. თუმცა საამისოდ ალბათ ხუთი-ექვსი წელიწადი იქნება საჭირო“*


გენო პეტრიაშვილი

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

## ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი

# დასრულდება წარუმატებლობა?

### ბოლო ორი სეზონია, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე ოქროს მედალი არ მოგვიპოვებია

ამ დილით ჩვენი ძიუდოისტები სტამბოლში გაფრინდნენ, სადაც 21-23 აპრილს „აბდი იპეკჩი არენაზე“ ევროპის პირად პირველობაში გამოვლენ, 24-ში კი გუნდურში იჭიდავებენ. ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **პეტერ ზაიზენბახერმა** ბოლო მომენტში იქ მაინც უძლიერესი და სრული გუნდის წაყვანა გადაწყვიტა ანუ ყოველ წონაში ორ-ორ კაცს დააყენებს. შეგახსენებთ, რომ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ წონაში ქვეყნიდან ორი მონაწილის გამოყვანის წესი საერთაშორისო ფედერაციამ შარშანდელიდან აამოქმედა, მაგრამ ევროპული ფედერაცია მხოლოდ წლეულს შეუერთდა. ზაიზენბახერის რჩეული 14-კაცა ასეთია: **ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი** (60), **შალვა ქარდავა, გიორგი შოშიაშვილი** (66), **ამბაკო ავალიანი, თენგიზ პაპოშვილი** (73), **ლევან ნიკლაური, დავით კარბელაშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი, ლაშა გურული** (90), **ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ნოდარ მეტრეველი** (+100). გუნდური შეჯიბრებისთვის მწვრთნელმა ამათ კიდევ სამი ძიუდოისტი დაუმატა: **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **სოსო მსხალაძე** (+100). მონაწილე გვეყოლება ქალთა შორისაც. მათი ნაკრების თავკაცმა **გია თენაძემ** ამჯერად ერთადერთი მონაწილე წაიყვანა - **ნინო ოძელაშვილი** (70), რადგან მხოლოდ მას განიხილავს ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების რეალურ კანდიდატად.

> გუნდური პირველობა ტრადიციულად „გუნდი-გუნდზე“ პრინციპით ტარდება, 5 წონით კატეგორიაში - 60 კილოგრამი საერთოდ ამოგდებულია, 100 და +100 კი გაერთიანებულია +90-ში, რომელიც გუნდურის მძიმე წონაა

ვიმედოვნებთ, სტამბოლში მაინც დასრულდება ქართული ძიუდოს წარუმატებლობის ხანა - ბოლო ორი სეზონია, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე ოქროს მედალი არ მოგვიპოვებია.

21 აპრილს ვაჟთაგან 60 და 66, ქალებიდან კი 48, 52 და 57-ი კილოგრამი წონების წარმომადგენლები იჭიდავებენ. მეორე დღე ვაჟებიდან 73-81, ქალებიდან კი 63-70-ის სპორტსმენებს დაეთმობათ, პირად პირველობას კი შაბათს, 23 აპრილს დარჩენილი წონების ძიუდოისტები დაამთავრებენ. გუნდური პირველობა ტრადიციულად „გუნდი გუნდზე“ პრინციპით ტარდება, 5 წონით კატეგორიაში - 60 კილოგრამი საერთოდ ამოგდებულია, 100 და +100 კი გაერთიანებულია +90-ში, რომელიც გუნდურის მძიმე წონაა. ზაიზენბახერმაც ამის გათვალისწინებით დაამატა ის სამეული - შეუძლია, დაზღვევის მიზნით ნებისმიერი შეცვალოს. პირად პირველობაში გამარჯვებული ჯილდოდ 2500 ევროს მიიღებს, ვიცე-ჩემპიონი - 1500, ხოლო მესამე პრიზიორები 500-500 ევროს. გუნდურ პირველობაში საპრიზო თანხები ასეა განაწილებული - ჩემპიონობა 10 000 ევროდაა შეფასებული, მომდევნო ადგილები - 5000 და 3000-ად. წინასწარი შეხვედრები თურქეთის დროით 10 საათზე დაიწყება, ფინალები - 17-ზე. სამწუხაროდ, ამჯერად ტელერეპორტაჟი არ იქნება, თუმცა, შესაძლოა, უახლოეს ხანებში ამ პრობლემასაც დაესვას წერტილი. საქმე ისაა, რომ ჩვენმა ფედერაციამ ძიუდოს ტურნირების რეპორტაჟის უფლება მიიღო, ახლა კი მოლაპარაკება საზოგადოებრივ მაუწყებელთან მიმდინარეობს. სავარაუდოდ, შეთანხმებასაც მიაღწევენ და უკვე მაისში ბაქოში გასამართი „დიდი პრიზიდან“ მოყოლებული ძიუდოს ქომაგებს საშუალება მიეცემათ, პირდაპირ ეთერში იხილონ „დიდი მუზარადის“, „დიდი პრიზის“ შეჯიბრებები, მსოფლიო თასები, მსოფლიოსა და ევროპის პირველობები. ვფიქრობთ, ამით ძალიან კარგი საქმე გაკეთდება.

### მეტოქეები და დისკვალიფიცირებულები

ვფიქრობთ, საინტერესოა მეტოქეთა შემადგენლობა, რომელიც სტამბოლში იასპარეზებს. ამჯერად რამდენიმე ნაკრებს გაგაცნობთ და საფრანგეთით დავიწყოთ. ჩვენგან განსხვავებით, ისინი თურქეთში არასრული გუნდით ჩადიან, ოღონდ ჩვენსავით უძლიერესი შემადგენლობა დააყენეს: **სოფიან მილუ** (60), **პიერ დუპარტი, დავიდ ლაროსე** (66), **ბენჟამინ დარბელე, უგო ლეგრანდი** (73), **ლუა პიეტრი, ალენ შმიტი** (81), **მეთიუ დეფრევილი, ანტონი ლეგნი** (90), **სირილ მარე** (100), **მატიო ბატლი, ტედი რინერი** (+100).

როგორც ვხედავთ, გუნდშია ევროპის შარშანდელი ჩემპიონი მილო და მესამე პრიზიორი ლეგრანდი. აგრეთვე - მსოფლიოს ასევე მოქმედი ჩემპიონი რინერი, რომელმაც შარშანდელი ევროპა გამოტოვა. შარშანდელი სეზონის მედალოსნებიდან ნაკრებში მხოლოდ მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **ლუის კორვალი** (66) არაა.

ფრანგთაგან დიამეტრულად განსხვავებულადაა დაკომპლექტებული რუსთა გუნდი, რომელიც სრული, ოღონდ გადახალისებული შემადგენლობით გამოვა. გუნდის იტალიელმა დამრიგებელმა **ეციო გამბამ** ამჯერად საერთოდ სახლში დატოვა ქვეყნის ბოლო ორი წლის უცვლელი ჩემპიონი **აშხაბ კოსტოევი** (100), ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **ივან ნიფონტოვი** (81) კი მხოლოდ გუნდურში საჭიდაოდ მიჰყავს. შემადგენლობაში არც ჩვენი ვეტერანი თანამემამულე **სერგეი ბადრიაშვილია** (73), თუმცა ეს არც გვიკვირს - სამარაში მცხოვრებმა ბადრიაშვილმა იქაური პირველობა კი მოიგო, მაგრამ მაშინ წონის ლიდერები ისვენებდნენ. რუსთა ნაკრებში **არსენ გალსტიანი, ბესლან მუდრანოვი** (60), **ალიმ გადანოვი, მუსა მოგუშკოვი** (66), **მანსურ ისაევი, მურატ კოძოკოვი** (73), **სირაზუდინ მაგომედოვი, მურატ ხაბაჩიროვი** (81), **კამილ მაგომედოვი, კირილ დენისოვი** (90), **ტაგირ ხაიბულაევი, სერგეი სამოილოვიჩი** (100), **დმიტრი სტერხოვი** და **ანდრეი ვოლკოვი** (+1000) იჭიდავებენ.

> საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დოპინგზე მეორედ ჩავარდნილ ათლეტებს სამუდამოდ უკრძალავს ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლას

რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანის ნაკრების თავკაც **აგიარ ახუნდზადეს** მიერ დასახელებული შემადგენლობაც გაგაცანით: **ილგარ მუშკიევი** (60), **ტარლან კერიმოვი, სამირ დადაშზადე** (ორივე - 66), **რენატ მირზალიევი, რამილ გასიმოვი** (ორივე - 73), **ელნურ მამადლი, ელხან რაჯაბლი** (ორივე - 81), **ელხან მამედოვი** (90), **ელმარ გასიმოვი, საინ მამედოვი** (100) და **ემილ ტაიროვი** (+100), ახლა კი ირკვევა, რომ, შესაძლოა, სტამბოლში მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **ნიჯატ შიხალიზადეც** (60) გამოვიდეს. შეგახსენებთ, რომ მას ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა, რომელსაც

» მე-11 გვერდზე

## ჩოგბურთი

# ტატიშვილს კანადელი ერგო

გაირკვა **ანა ტატიშვილის** (109) პირველი მეტოქე ქალაქ დოტჰენის საერთაშორისო ტურნირში (აშშ, 50 ათასი დოლარი) - პირველ ნომრად განთესილი ქართველი კანადელ **შერონ ფიჩმენს** (249) შეხვდება. 21 წლის ტატიშვილი კარიერაში პირველად ეთამაშება 20 წლის ფიჩმენს. გამარჯვების შემთხვევაში ანა მერვედფინალში გავა, სადაც რუსი **ვალერია სოლოვიევასა** (273) და ამერიკელი **ჯული დიტის** (286) მატჩის გამარჯვებულს შეხვდება.

იტალიურ ჩივიტავეკიაში (25 ათასი დოლარი) **მაკა ჩახნაშვილმა** (229) სამ სეტში დაამარცხა უკრაინელი **ვალენტინა ივახნენკო** (365) - 6:4, 4:6, 6:0 და მერვედფინალში გავიდა.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სასტენდო სროლა. მსოფლიოს თასი

# მესტენდურთა ტრიო პეკინში

ხვალ პეკინში მესტენდურთა მსოფლიოს თასი იწყება, რომელშიც საქართველოდან სამი მსროლელი გამოვა - **მაია გუბიევა, დავით ქვათაძე** და **პავლე ლაკია.** მოსკოვში მცხოვრები ლაკია საკუთარი ხარჯით უნდა ჩასულიყო ჩინეთში.

ჩვენებურთაგან ტურნირში ყველაზე ადრე გუბიევა ჩაებმება - ხვალვე ისვრის. რაც შეეხებათ ვაჟებს, ისინი 27-ში გამოვლენ.

ტურნირისთვის გუბიევამ ბაქოში გაიარა შეკრება. მესტენდურებიდან ის ერთადერთია, რომლისგანაც ლონდონის ოლიმპიადის საგზურს ელოდებიან.

**ირაკლი თავაძე**

## ცურვა

# დღე პირველი ოლიმპიკში

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ გუშინ დაიწყო და ხვალ დამთავრდება მოცურავეთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც თბილისის, რუსთავის, გორის, ჭიათურისა და საჩხერის 109 წარმომადგენელი მონაწილეობს. ასპარეზობის პირველ დღეს 6 დისციპლინაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. განსაკუთრებით დედაქალაქელი **ირაკლი ბოლქვაძე** („ტონუსი“) გამოირჩა, რომელმაც ბრასით 200 მეტრი 2.24.00-ში გაცურა და სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა. საგულისხმოა, რომ სამი დღის განმავლობაში საუკეთესო შედეგების მქონე ორი სპორტსმენი 24-31 ივლისს შანხაიში (ჩინეთი) ფინა-ს (საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაცია) მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებს.

ახლა კი გუშინ გამართული პაექრობების გამარჯვებულთა და პრიზიორთა შედეგებს გაგაცნობთ:

**50 მ. გულაღმა ცურვა. გოგონები.** 1. მეგი ხათაშვილი (გორი, 37,78), 2. სოფიო სუქნიძე (ჭიათურა, 41,47), 3. თამარ ნიქვაძე (საჩხერე, 41,50). **ვაჟები.** 1. ნიკა კოკელაძე (თბილისი, ლაგუნა ვერე, 30,37), 2. ნიკა სიხარულიძე (ლაგუნა ვერე, 33,85), 3. ცოტნე დევდარიანი (რუსთავი, 34,89). **100 მ. თავისუფალი ყაიდა. გოგონები.** 1. გვანცა ხინჩიკაშვილი (გორი, 1.06,31), 2. მაია ხრიკული (ლაგუნა ვერე, 1.10,91), 3. სოფიო სალარაძე (თბილისი, ტონუსი, 1.14,93). **ვაჟები.** 1. დათო სიხარულიძე (ტონუსი, 54,13), 2. გიორგი ბუხრიკიძე (გორი, 55,28), 3. თემურ კობახიძე (ტონუსი, 57,87). **800 მ. თავისუფალი ყაიდა. ვაჟები.** 1. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი, 09.15,46), 2. ნიკა ყაულაშვილი (რუსთავი, 10.34,06), 3. ცოტნე დევდარიანი (რუსთავი, 12.07,38). **200 მ. ბრასი. გოგონები.** 1. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 3.14,01), 2. მაია ხრიკული (ლაგუნა ვერე, 3.22,78), 3. მარი ზუბიაშვილი (საჩხერე, 3..23,52). **ვაჟები.** 1. ირაკლი ბოლქვაძე (ტონუსი, 2.24,00), 2. ირაკლი შენგელია (ტონუსი, 2.30,56), 3. ლუკა კერვალიშვილი (თბილისი, დელფინი, 2.45,47). **200 მ. ბატერფლაი. ვაჟები.** 1. თემურ კობახიძე (ლაგუნა ვერე, 2.30,44), 2. დათო მურჯიკნელი (დილომი, 2.43,08), 3. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 2.43,54). **400 მ. კომპლექსური. ვაჟები.** 1. გიგი მთვრალაშვილი (ტონუსი, 5.00,66), 2. დავით შახნაზაროვი (ლაგუნა ვერე, 5.38,10), 3. ცოტნე დევდარიანი (რუსთავი, 6.12,27).

**ვაჟა დანელია**

« მე-10 გვერდიდან

ვადა 1 აპრილს გაუვიდა. ამის მიუხედავად, აზერბაიჯანელებს საერთაშორისო ფედერაციიდან ჯერაც არ მისვლიათ დასტური, რომ მას საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოსვლა შეუძლია. ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონმა შიხალიზადემ უფროსებში მსოფლიოს ბრინჯაო 2005 წელს კაიროში გამართულ ჩემპიონატში მოიპოვა, 2007 წელს კი დოპინგზე ჩავარდა - ორგანიზმში ერთი შეხედვით უწყინარი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ფუროსემიდის კვალი აღმოუჩინეს. ეს შარდმდენი პრეპარატი არანაირ სტიმულატორებს არ შეიცავს, მაგრამ აკრძალულთა სიაში იმიტომ მოხვდა, რომ როგორც შარდმდენს, ხშირად იყენებენ დოპინგის კვალის დასაფარავად. მაშინ შიხალიზადე მხოლოდ 19 წლისა იყო, თუმცა რადგან ეს მის კარიერაში უკვე მეორე ანალოგიური შემთხვევა იყო, საერთაშორისო ფედერაციამ ძალიან მკაცრად, 4-წლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ის დოპინგზე პირველად ჯერ კიდევ ჭაბუკობისას ჩავარდა და ორწლიანი დისკვალიფიკაციაც მოიხადა. ამ განმეორებითი, გაორმაგებული აკრძალვისას მას ვარჯიშები არ შეუწყვეტია და აზერბაიჯანელები იმედოვნებენ, რომ არ გაუჭირდება ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება. ისინი ახლა საერთაშორისო ფედერაციისგან ელოდებიან დასტურს, რომ შიხალიზადე სტამბოლში აჭიდაონ. ამას ასე გულებით იმიტომაც ეშურებიან, რომ ევროპის პირველობა სალიცენზიო ქულებს იძლევა, თუმცა ოლიმპიადაზე საუბრისას მათ ავიწყდებათ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი წესი - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დოპინგზე მეორედ ჩავარდნილ ათლეტებს სამუდამოდ უკრძალავს ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლას. ზუსტად აზერბაიჯანელის დღეშია ფრანგი მძიმეწონოსანი ქალი **კეტი მატე**, რომელიც ახალგაზრდებში ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ ამასობაში ორჯერაც ამხილეს დოპინგის მიღებაში. სპორტს ისიც დაუბრუნდა, ოღონდ ლონდონში ვეღარ იასპარეზებს. ამიერიდან მატეც და შიხალიზადეც ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე თუ გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

● ძალოსნობა



# შეხვედრა მედალოსნებთან

უკვე გაუწყეთ, რომ ყაზანში ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს ქართველმა სპორტსმენებმა. **გია მაჭავარიანმა** (105 კგ) 183 კილო აიტაცა, 217 კილო აკრა, ორჭიდში 400 კილოგრამი მოაგროვა და სამი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მძიმე წონაში **ირაკლი თურმანიძეს** მცირე ბრინჯაოს მედალი ატაცში (184 კგ) ერგო. გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** წარმატებულ სპორტსმენებსა და ფედერაციის ხელმძღვანელობას შეხვდა, რომელსაც პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, ძალოსნობაში ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძეც** ესწრებოდა.

„საქართველოს ნაკრები ორი თვეა, ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. მცირე დროის მიუხედავად, შედეგი თვალსაჩინოა. ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ახალი გეგმით მოემზადება და იქ უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვებას შეეცდება", - აღნიშნა ლადო ვარძელაშვილმა, რომელმაც ევროპის პრიზიორებს წარმატება მიულოცა.

**ვაჟა დანელია**

**თამუნა ყულუმბეგაშვილის** ფოტო

● შეკითხვა ლელოს

**შეკითხვა:** გავიგეთ, რომ განათლებისა და სპორტის სამინისტროების პროექტით წლეულს ჩატარდება ეროვნული თამაშები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

გთხოვთ გვიპასუხოთ თბილისში როდის დაიწყება თამაშები?

**გიო სანაძე, ვახო გუნია,**
**გიგა სალდაძე**
თბილისელი მოსწავლეები

**პასუხი:** დიახ, ასეთი კომპლექსური თამაშები ნამდვილად ჩატარდება. როგორც ხელბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კაკაბაძემ** გვითხრა, დღეიდან თამაშებში თბილისის რაიონების მოსწავლე ხელბურთელთა გუნდები ჩაებმებიან. პირველობისთვის ჭაბუკთა 20 და გოგონათა 16 გუნდი იბრძოლებს.

● ჭადრაკი

# გუფთამ სუფთად გაიმარჯვა

დუბაიში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი 45 ათასი დოლარის საპრიზო ფონდით. ბოლო ტურში მთავარი პრიზისთვის (8 ათასი დოლარი) მებრძოლთა რიგებს ორი ინდოელი შემორჩა. **ებჯით გუფთამ** თეთრი ფიგურებით **პარიმარჯან ნეგის** აჯობა და 7,5 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა. საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი ჰქონდა **ლევან ფანცულაიას**, მაგრამ ყაზახ **მურთაზ კაჟგალიევთან** წააგო და 6-ქულიან მონაგარს ვერაფერი შესძინა. **მიხეილ მჭედლიშვილმა** უკრაინელი **მიხაილ სიმანცევი** დაამარცხა და 6,5 ქულა მოაგროვა. [illegible]ვი **დავით არუთინიანმა**, რომელმაც ერევნელ სეხნიას - **დავით პეტროსიანს** გააჩერებინა საათი. დაზავდნენ **შარხან გულიევი** (აზერბაიჯანი)-**სოფიკო ხუხაშვილი, დავით ზარქუა-სამველ ტერ-სააკიანი** (სომხეთი), ორივე ჩვენებურს 5,5-5,5 ქულა აქვს, ანუ იმდენივე, რამდენიც **მერაბ გაგუნაშვილს**, რომელმაც ბოლო ტურში **ნიკლას ჰუშენბედთან** (გერმანია) წააგო.

ტურნირზე 7-7 ქულით მეორე-მეხუთე ადგილები **ნეგიმ, ჩაბა ბალოგმა** (უნგრეთი), **კაჟგალიევმა** და **ლუდვიგ ჰამერმა** (ნორვეგია) გაინაწილეს. 6,5 ქულით **მჭედლიშვილი** მეშვიდე იყო, **არუთინიანი** - მეთექვსმეტე. **ხუხაშვილმა** ქალებში მე-2 ადგილი დაიკავა. მას ქულით უნგრელმა **ვერონიკა შნეიდერმა** გაუსწრო. 5,5 ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მე-3 ადგილი **ანა ზოზულიას** (ბელგია) ხვდა.

**ვაჟა დანელია**

● მხატვრული ტანვარჯიში

# ევროპაზე სამუკაშვილი და ხოფერია წავლენ




წლეულს მაისში ბელარუსის დედაქალაქი მინსკი მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში ორი ქართველი სპორტსმენიც იასპარეზებს. მათი ვინაობა საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა გამოავლინა. მრავალჭიდში პირველი ადგილი **მზევინარ სამუკაშვილმა** დაიკავა, მეორე ადგილზე **ირინა ხოფერია** გავიდა, ბრინჯაოს მედალი **ციცია მკერვალს** ხვდა. მინსკში კონტინენტის პირველობაზე საქართველოს სპორტულ ღირსებას სამუკაშვილი და ხოფერია დაიცავენ.

ახალგაზრდებში ქვეყნის პირველობის კვარცხლბეკზე ადგილები ასე განაწილდა: 1. **ლიანა ცერცვაძე**, 2. **სალომე ფაჟავა**, 3. **გაბრიელა ხვედელიძე**.

**ვაჟა დანელია**

# დინამოს წარსული დიდება და იმედიანი მომავალი

**გასული საუკუნის ოციან წლებში საქართველოში პირველი სპორტული საზოგადოებები და კლუბები დაარსდა. სწორედ იმ პერიოდში, 1923 წლის 18 აპრილს ჩაეყარა საფუძველი რესპუბლიკურ სპორტულ საზოგადოება „დინამოს", რომელიც ოცდაათიანი წლებიდან საქართველოში სპორტული მოძრაობის მესაჭედ-ფლაგმანად მოგვევლინა... იქიდან დაწყებული მეოცე საუკუნის დასასრულამდე ამ სპორტულ საზოგადოებაში აღზრდილებმა ისეთ წარმატებებს მიაღწიეს, რომ დღეისათვის წარმოუდგენლად მოეჩვენება თანამედროვე სპორტულ ცხოვრებაში ჩახედულ სპეციალისტს თუ გულშემატკივარს.**

ვინაიდან, ეს წერილი დღევანდელი ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის „სავიზიტო ბარათია", რომელიც ძველი სპორტული დიდების „დინამოს" საზოგადოების მემკვიდრეა, აქ მხოლოდ წარსულის სპორტული მიღწევების ჩამოთვლით შემოვიფარგლები.

მაშ ასე, ყველას ძველსა და ახალს, სპორტსმენს თუ საერთოდ საზოგადოებას შევახსენებთ, რომ „დინამოს" სპორტულ საზოგადოებაში აღიზარდა: 17 ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს - 25 ჩემპიონი, ევროპის - 54 ჩემპიონი. ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორებს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონებს და პრიზიორებს, მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულებს, ბუნებრივია, ეს წერილი ვერ დაიტევს, ისევე როგორც მსოფლიო, ევროპისა და საბჭოთა კავშირის რეკორდსმენების ჩამონათვალს...

„დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი ორჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი და, რაც მთავარია, მოიპოვა ევროპის თასების თასი. მრავალგზის საკავშირო ჩემპიონები იყვნენ თბილისის „დინამოს" კალათბურთელები. ევროპის საგუნდო თასის მფლობელია „დინამოს" წყალბურთელთა გუნდი - საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სპორტსაზოგადოება „დინამოს" სპორტსმენების 80 პროცენტამდე იყვნენ სპორტის სხვადასხვა სახეობების რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წამყვანი წევრები ისევე, როგორც „დინამოს" მწვრთნელები და სპეციალისტები, გარდა საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობისა, ბევრი მათგანი საბჭოთა კავშირის ნაკრებების მწვრთნელებადაც იყვნენ მიწვეულნი.

ასეთ დიდ სპორტულ მიღწევებთან ერთად „დინამოს" ბაზები მუდამ იყო დატვირთული ფიზკულტურულ-სპორტულ გამაჯანსაღებელი სექციებით. მუშაობდა კლუბები, ტარდებოდა მასობრივი ღონისძიებები. ბავშვთა და მოზარდთა, ყველა ასაკის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის საშუალებას იძლეოდა „დინამოს" მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, ოსტატთა გუნდების წვრთნასთან და შეჯიბრებებთან ერთად, თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, ლესელიძე, ბაკურიანი, ფოთი, ცხინვალი და სხვა, გაჯერებული იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს" სტადიონებით, აუზებით, დარბაზებით, მოედნებით... წლების მანძილზე ამ საზოგადოებას ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქართველი ადმინისტრაციული და სპორტული მუშაკები. ახლა, როცა ჩვენი სამშობლო, სპორტული სამყარო იწყებს ძველი ტრადიციების აღდგენას, ფიზკულტურასა და სპორტზე სახელმწიფოებრივ ზრუნვას, დინამოელთა ახალი გვარდია - გუნდი კვლავ დარაზმულად ამუშავდება. მიუხედავად ბაზების სიმცირისა (უფრო ზუსტად თითქმის უქონლობისა), მაინც იმედიანად შევყურებთ მომავალს. მომავალი კი, გვჯერა და გვწამს, უეჭველად წარმატებული იქნება. დღეისათვის ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს" ხომ ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღი ახალგაზრდა კაცი **ნიკა ივანიშვილი** ხელმძღვანელობს. ახლო წარსულში იგი თავის თაობაში გამორჩეული წყალბურთელი იყო შემდგომში კი წარმატებით მუშაობდა არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. იგი ენერგიული და ოპტიმიზმით აღსავსე, კომუნიკაბელური, ინტელექტუალური, ქართველი საზოგადოებისათვის მრავალმხრივ ცნობილი პიროვნებაა. ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც უამრავი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს და, რაც მთავარია, საქმიანი კონტაქტები აქვს კულტურისა და სპორტის წარმომადგენლებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. დღევანდელ სპორტულ საქმიანობაში მას გვერდს უმშვენებენ წარსულში სახელოვანი სპორტსმენები და ცნობილი სპეციალისტები. რაც მთავარია, ბატონ ნიკა ივანიშვილს და, საერთოდ, „დინამოს" კლუბს, მთავრობის, ადგილობრივი საქალაქო და რეგიონული ხელმძღვანელობის თანადგომის დიდად ეიმედება, უპირველესად თბილისის მერის და გამგებლების, რომლებიც ბოლო დროს მართლაც რომ ბევრს აკეთებენ ფიზკულტურისა და სპორტის აღდგენა-განვითარებისათვის.

ზემოთქმულს, სპორტული ბაზების ჩამონათვალს, „დინამოს" ძველ დიდებას, რამდენიმე ობიექტის ან შენების დასაბრუნებლად მთავრობის გვერდში დგომას, კეთილი, სპორტული ჟინით და სიყვარულით აღსავსე სპონსორების გამოჩენას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ იცოდეს ყველამ - კვლავ გაიელვებს და დაიქუხებს ძველი ნაცნობი შეძახილი: „დინამო! დინამო! დინამო!" და არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ საზღვარგარეთაც, ვინაიდან იქაც დღემდე ახსოვთ ქართველ დინამოელთა გამარჯვებები.

## მილოცვა



საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" დაბადებიდან 90 წლის იუბილეს ულოცავს ვეტერან დინამოელს, საქართველოში სამბოსა და ძიუდოს ერთ-ერთ ფუძემდებელს, ქართული ჭიდაობის დიდ მოამაგეს, XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელს სამბოში, სსრკ ორგზის ჩემპიონს, საქართველოსა და სსრკ-ის დამსახურებულ მწვრთნელს, ღირსების ორდენოსან **ქრისტეფორე ნინიაშვილს.**



გურამ სალარაძე

**P.S.** ვულოცავთ საზოგადოების დაარსებიდან 88 წელს და ვუსურვებთ წარმატებებს ჩვენს სახელოვან დინამოელებს.

**გურამ სალარაძე**
ფ.ს.კ. „დინამოს" აღმასრულებელი დირექტორი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი

®

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

● ბესიკ ლიპარტელიანი ნაკრებსა და სუპერლიგაზე

# გავიმეოროთ: პარგო? არა, ჩემო კარგო!



გუშინ ნაკრების სპონსორთან ერთად მოწყობილი პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ, კალათბურთის ფედერაციაში პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანთან** ინტერვიუ ჩავწერე. ვისაუბრეთ საქართველოს პირველობაზე, ეროვნულ ნაკრებზე, თავის მწვრთნელ-ნატურალიზებულებიანად.

ბატონმა ბესომ გვითხრა, რომ მწვრთნელი, **იგორ კოკოშკოვი** ლიტვაში **ტორინ გრინის** წაყვანას აპირებს...

ვიდრე ინტერვიუს დასაწერად „მელანში ბუმბულს ჩავაწობდი", ინტერნეტსივრცეში საკალათბურთო სიახლეები გადავამოწმე. გასაკვირ ამბავს წავაწყდი: ევროპის ერთ-ერთ მთავარ საკალათბურთო საიტ „ევრობასკეტზე" წერია, რომ შესაძლოა ისრაელის „მაქაბის" გამთამაშებელმა, **ჯერემი პარგომ** საქართველოს მოქალაქეობა მიიღოს და ჩვენს ნაკრებში ითამაშოს. იქვე ნახსენებია მისი მონაგარი ევროლიგაზე: საშუალოდ 13 ქულა, 3.5 მოხსნა, 3.9 პასი. ...და რაც მთავარია, პარგოს გარჯის შედეგად „მაქაბი" ევროლიგის ფინალურ ოთხეულში გავიდა.

აქვე გამახსენდა შარშანდელი ამბავი: ვიდრე ტორინ გრინის გაქართველების ამბავს შევიტყობდით, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა კალათბურთელმა მკითხა - მართლა პარგო ჩამოჰყავთო? მაშინვე დავურეკე ფედერაციის გენერალურ მდივან **მერაბ რატიშვილს**. აღმოჩნდა, რომ ჯერემი პარგო კანდიდატთა შორის არ მოიაზრებოდა. მაშინ საგაზეთო წერილს სათაურად დავარქვი: „პარგო? არა, ჩემო კარგო!" 2010 წელს ეროვნულ ნაკრებში ტორინ გრინმა ითამაშა.

...და ვინ დაიცავს ეროვნული გუნდის ღირსებას 2011 წლის ევრობასკეტზე? მართალია, თუ არა პარგოსთან დაკავშირებით „ევრობასკეტზე" გამოქვეყნებული ინფორმაცია? ამ კითხვებით გუშინ ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს მივმართე.

*- არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს ინფორმაცია, მაგრამ ფაქტია, რომ არავის ნატურალიზებაზე ლაპარაკი არ ყოფილა, რადგან მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს ტორინ გრინის იმედი აქვს და ევრობასკეტზე მის წაყვანას აპირებს.*

როგორც ხედავთ, პარგოს ჩამოყვანა არ იგეგმება, არადა, ასეთი მაღალი დონის კალათბურთელის გაქართველება ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა.

ფედერაციის პრეზიდენტს ვკითხეთ გრინის შესახებ, რომელმაც გასულ კვირას ფეხის ტრავმა მიიღო და სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს.

*- რამდენად სერიოზულია ტრავმა და რა დრო დასჭირდება გრინის რეაბილიტაციას, დღეს-ხვალ გაირკვევა. სხვა კალათბურთელის ნატურალიზებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიზრუნებთ, თუ გაირკვევა, რომ გრინი ვერ დაგვეხმარება.*

დავინტერესდით **ტაირონ ელისის** საკითხითაც, რომელსაც საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან კავშირი ჯერაც არ გაუწყვეტია და მზადაა გუნდს დაეხმაროს.

*- თუ გრინი გვეყოლება, მწვრთნელი ელისს ლიტვაში, ალბათ, აღარ წაიყვანს. ნაკრებს გამთამაშებელი სჭირდება. ელისი უფრო მსროლელია, გრინი კი კარგი პლეიმეიქერია. მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს ორივესთან უმუშავია და კარგად იცის, ნაკრებს რომელი უფრო გამოადგება.*

ნაკრებში ასევე ორი გამთამაშებელია, **გიორგი ცინცაძე** და **ლაშა გამყრელიძე**... ერთი შეხედვით, გრინის პლეიმეიქერად გამწესებამ შესაძლოა მათ სათამაშო დრო შეუკვეცოს, მაგრამ რეალურად ასე არ მოხდება, რადგან საქართველოს ნაკრებს 6 დღეში 5 მატჩის ჩატარება მოუწევს.

*- გასულ წელს 3 დღეში ერთხელ ვთამაშობდით და გუნდს დაღლა ეტყობოდა. ევრობასკეტზე გაცილებით რთული გრაფიკია და აქამდეც არაერთხელ მითქვამს - მოიგებს ის, ვინც ენერგიას ბოლომდე შეინარჩუნებს. ერთ მატჩში მხოლოდ 8 კაცი რომ დაიტვირთოს, მეორე დღისთვის სათანადო ენერგია არ შერჩებათ. წარმატებისთვის თორმეტივე კალათბურთელის გამოყენებაა აუცილებელი.*

ბევრს აინტერესებს, ნაკრების თავკაცი იგორ კოკოშკოვი შეკრებამდე საქართველოში ჩამოსვლას თუ აპირებს, რათა კანდიდატები საქმეში საკუთარი თვალით იხილოს...

*- საქართველოში მოთამაშე ეროვნული გუნდის ყველა კანდიდატს იგორ კოკოშკოვს მისი ასისტენტი დავით უსტიაშვილი წარუდგენს. გაუგზავნის საინტერესო კალათბურთელების მატჩების ვიდეოჩანაწერებსაც და საკუთარ აზრსაც მოახსენებს.*

როცა ნაკრების მოსამზადებელი გეგმა გამოცხადდა, გაურკვეველი იყო ორი გუნდის ვინაობა, რომლის წინააღმდეგ საქართველოს ამხანაგურად მოუწევს თამაში, ჯერ ესტონეთის საერთაშორისო ტურნირზე, შემდეგ - ჰოლანდიაში. ცნობილია, ეს ამერიკის კოლეჯების ლიგის წარმომადგენლები იქნებიან, თუმცა მათი ვინაობა ჯერ არ გარკვეულა.



**სუპერლიგა**

გამოგიტყდებით, გუშინ, ინტერვიუ შაბათს დასრულებული სუპერლიგის რეგულარული ეტაპით დავიწყეთ, თუმცა ჯერემი პარგოს მოულოდნელმა ამბავმა სტატიის წერისას ზემოთ საქართველოს ნაკრების ამბები აანაცვლა.

*- მიმდინარე ჩემპიონატი წინამორბედებთან შედარებით განსხვავებულად დაიწყო და ასევე გრძელდება - საინტერესოა, რომ რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე არაერთი გუნდის საკითხი იყო გასარკვევი: რომელ ადგილს დაიკავებდა, ან სულაც მოხვდებოდა თუ არა პლეი ოფში. ეს კონკურენციის შედეგია,* - თქვა ბესიკ ლიპარტელიანმა და განაგრძო:

*- დაძაბულობის მატება გარკვეულწილად ლეგიონერების მომრავლებითაა გამოწვეული. ეს პირველობას სანახაობრივ მხარეს მატებს. იმედი მაქვს, სუპერლიგაში კიდევ უფრო ძლიერ უცხოელებს ვიხილავთ.*

ჩემპიონატის მსვლელობისას არაერთი გუნდი იყო უკმაყოფილო მსაჯობით. ფედერაციის პრეზიდენტს ამ საკითხზეც ვკითხეთ...

*- საერთაშორისო კატეგორიის სამი მსაჯი გვყავს. მათ ევროპა ენდობა და მათი ჩვენც ბოლომდე გვჯერა. თუმცა უშეცდომო არავინაა. არსებობს სათანადო ორგანო, რომელიც მსაჯების მოქმედებას აკონტროლებს და რეაგირებასაც ახდენს. სხვათა შორის, ამ სეზონშიც იყო არბიტრის დასჯის პრეცედენტი. რაც შეეხება გუნდებს, ჩვენი დებულების მიხედვით მათ აქვთ მატჩის შემდეგ გარკვეულ დროში პრეტენზიის წერილობით შეტანის საშუალება. რასაც შესატყვისი გამოხმაურება მოჰყვება, თუმცა ასეთი წერილი არავის შემოუტანია. ასევე მნიშვნელოვანია, ყველა მწვრთნელი და კალათბურთელი კარგად იცნობდეს ჩემპიონატის დებულებას, რომელიც სეზონის დასაწყისში ფედერაციამ კლუბებთან შეთანხმებით დაამტკიცა.*

მაისში სუპერლიგის პლეი ოფია, რომლის მსვლელობისას ბესიკ ლიპარტელიანს ლიტვაში მოუწევს გამგზავრება.

*- მაისში მატჩები კიდევ უფრო დაიძაბება და სანახაობრივი მხარეც იმატებს. ჩემი აზრით მეოთხედფინალში გასული 8 გუნდიდან ექვსს აქვს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი. მაისში ფიბას კონგრესი იმართება, რომლის დასრულების შემდეგ ლიტვის ყველა არენას დავათვალიერებთ. ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებმა ამ ღონისძიებისთვის პირველობის მონაწილე ყველა ქვეყნის დელეგაცია მიიწვიეს.*

● ადრიატიკის ლიგა



# ოლიმპია ფინალშია, ავა ოლიმპაზე?

**ვლადიმერ ბოისასა** და **გიორგი შერმადინის** „ოლიმპია" 2002 წლის შემდეგ ყველაზე ახლოსაა ადრიატიკის თასის მოგებასთან. სლოვენიელებმა მშობლიურ „შტოჟიცეს" არენაზე ნახევარფინალში თანამემამულე კრკა დაამარცხეს - 67:57. ხვალ, 21 აპრილს ფინალში „ოლიმპია" დაუპირისპირდება სერბულ „პარტიზანს", რომელმაც ნახევარფინალში ჩერნოგორიულ „ბუდუჩნოსტს" სძლია - 62:58.

„ოლიმპია"-კრკა-ს პირველი ტაიმი დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა და ქულების სიუხვითაც არ გამოირჩა: 30:28, ოლიმპიელთა სასარგებლოდ. მესამე პერიოდში მათ უპირატესობა 9 ქულამდე გაზარდეს, ხოლო ბოლო რაუნდში მიღწეულის შენარჩუნება შეძლეს და... საფინალო ანგარიში ზემოთაც მოგახსენეთ.

გიორგი შერმადინმა 17 წუთი ითამაშა. ალბათ, მეტი დროც ერგებოდა, რომ არა ჯარიმების სიუხვე - 4 ფოლი მიიღო. მეტოქეებს 2-ჯერ დაარღვევინა თამაშის წესები, 4 მოხსნა, 2 დაფარება, 1 ჩაჭრა და 5 ქულა მოაგროვა. გიორგიმ 3 ორქულიანი და 1 საჯარიმო სტყორცნა და მხოლოდ ერთი ორიანი ააცილა.

ვლადიმერ ბოისამ მოედანზე 24 წუთი გაატარა. შეტევაში თავი არ გამოუდვია, 1 ქულა ჩაიწერა, რასაც ამდენივე პასი და 3 მოხსნა მიამატა.

ოლიმპიელთაგან 10 ქულას ასცდნენ **კენი გრეგორი** (11), **გორან იაგოდნიკი** (11 ქულა, 10 მოხსნა) და **საშა ოზბოლტი** (16). ეს მაჩვენებელი საშას მატჩის ბომბარდირობისთვისაც ეყო.

დღეს ფინალისტები, „ოლიმპია" და „პარტიზანი" მსუბუქად ივარჯიშებენ, ხვალ კი, ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან. შეხვედრა თბილისის დროით 22:45 საათზე დაიწყება.

● თანადგომა

# საქართველოს ნაკრები ბედის ანაბარა აღარ არის...

იყო დრო, საქართველოს ნაკრებს საკუთარი ეკიპირება არ ჰქონდა, ოფიციალურ მატჩებში „ვითასგან" ნათხოვარი ფორმებით თამაშობდა.

საბედნიეროდ, 90-იანი წლების შემდეგ დროება შეიცვალა და ახლა მთავრობასთან ერთად საკალათბურთო ნაკრების წარმატებებით ბიზნესმენები და არაერთი ორგანიზაცია დაინტერესდა. ამის მაგალითი გუშინდელი პრესკონფერენციაა, რომელიც მომავალ სპონსორთან ახალი პროექტის პრეზენტაციას მიეძღვნა.

მორაგბეთა მსგავსად „ლიბერთი ბანკმა" და კალათბურთის ფედერაციამ თანამშრომლობა გადაწყვიტეს. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ბრიფინგს სპონსორების წარმომადგენლებთან ერთად კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი**, ვეტერანი კალათბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი **ნიკოლოზ დერიუგინი**, ეროვნული ნაკრების წევრები - **ნიკა ცქიტიშვილი** და **მიხეილ ბერიშვილი** დაესწრნენ.

ბესიკ ლიპარტელიანმა სპონსორს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა:

*- ეს დამატებითი სტიმულია, რათა ჩვენმა ბიჭებმა ევროპის ჩემპიონატზე მეტი შემართებით ითამაშონ. იმედი მაქვს, ჩვენი ნაკრების მხარდამჭერები ისარგებლებენ სპონსორის ახალი შეთავაზებით.*

ნიკა ცქიტიშვილმა დასძინა:

*- ჩვენი ნაკრები ისედაც მოტივირებული იყო, რადგან ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სახელის დასაცავად მივდივართ, თუმცა სპონსორის ეს ნაბიჯი დამატებით სტიმულს გვაძლევს. ვეცდებით ჩვენი გულშემატკივარი არ გავაწბილოთ.*

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# მექოს 25 ქულა და ექვსი პლეი ოფში



ბურთით მერაბ კვირიკაშვილი, მარცხნივ დავით ბალანჩივაძე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. პლეი ოფში თამაშის უფლება უკვე მოპოვებული აქვს ქართველ მორაგბეთა ექვს გუნდს. ესენია: „მასი“, „ბეზიე“, „მონტობანი“, „ლა სეინი“, „ნიცა“ და „პერიგო“. ბოლო ტურში გადაწყდება, ითამაშებს თუ არა შემდეგ ეტაპზე კიდევ ერთი „ქართული გუნდი“ „მონლუსონი“.

21-ე ტურის შეხვედრები A ჯგუფში ორი კვირის წინათ გაიმართა, რომლის შესახებაც უკვე ვწერდით. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ ამ ჯგუფში პირველი ადგილი რამდენიმე ტურით ადრე გაინაღდა **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ“. აღსანიშნავია, რომ პარიზული გუნდის მწვრთნელიც ქართველია. „მასის“ „ბორჯღალოსანთა“ ყოფილი მეორეხაზელი **ვიქტორ დიდებულიძე** მოძღვრავს.

ჩვენებურთა გუნდმა ბოლო ტურის წინ 85 ქულა დააგროვა და უახლოეს მდევარ „ბობინის“ 12 ქულით უსწრებს. **ელიზბარ ყუფარაძისა** და **დევი დადუნაშვილის** „მონლუსონი“ კი 67 ქულით მეოთხე ადგილზეა. მას სამი ქულით ჩამორჩება „დიჟონი“. ბედის ირონიით, მონლუსონელები ბოლო ტურში სტუმრად სწორედ „დიჟონს“ ეთამაშებიან. ჩვენებურთა გუნდს ამ შეხვედრაში ფრეც ხელს აძლევს.

პლეი ოფს მიღმა დარჩა **ირაკლი მაჩხანელის, ბესო უდესიანისა** და **შოთა მელიქიძის** „მაკონი“, რომელიც 49 ქულით მე-6 ადგილზეა. დივიზიონის დატოვება მოუწევს **დიმა ხოჭოლავას** „სერჟ პონტუაზს“, რომელიც 11 ქულით სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზეა.

### A ჯგუფი

#### სატურნირო მდგომარეობა

1. მასი - 85 ქულა, 2. ბობინი - 73, 3. ბურგ ან ბრესი - 69, 4. მონლუსონი - 67, 5. დიჟონი - 64, 6. მაკონი - 49, 7. ნევერი - 49, 8. სტარსბური - 43, 9. ორლეანი - 41, 10. ანესი - 32, 11. სურესნე - 13, 12. სერჟ პონტუაზი - 11.

B ჯგუფში პლეი ოფში გამსვლელი ოთხივე ადგილი ქართველ მორაგბეთა გუნდებმა დაიკავეს. აქ გათამაშებას, 70 ქულით, **ლაშა მალაღურაძისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიე“ ლიდერობს. ლანგედოკელებმა ბოლოსწინა ტურში სტუმრად დაამარცხეს **ნიკოლოზ გიორგაძის** „გროლე“ - 45:17.

მალაღურაძემ, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იყო და რაგბის ახალზელანდიელმა ლეგენდამ, **ენდრიუ მერთენსმა** 65-ე წუთზე შეცვალა, ოთხი გარდასახვა და ერთი საჯარიმო გაიტანა (11 ქულა). მჭედლიშვილი ტრავმირებულია.

„ბეზიეს“ 13 ქულით ჩამორჩება უახლოესი მდევარი **გიორგი ნემსაძის** „მონტობანი“, რომელმაც 21-ე ტურის შეხვედრა 27 მარტს გამართა. „მწვანეებმა“ შინ დაამარცხეს „ვალანსი“ - 27:13.

მონტობანელებზე ერთი ქულით ნაკლები აქვს **გია ლაბაძისა** და **რეზო ბელქანიას** „ლა სეიინს“, რომელმაც შინ დაამარცხა **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარი“ - 23:6. ბელქანია ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, კუთარაშვილი 24-ე წუთზე არბიტრმა ჯერ გაასინბინა, 56-ე წუთზე კი წითელი ბარათი უჩვენა და მოედანი მატჩის ბოლომდე დაატოვებინა, ლაბაძე განაცხადში არ იყო.

55 ქულით მე-4 ადგილზეა და ასევე პლეი ოფში ითამაშებს **დავით კაჭარავას** „ნიცა“, რომელმაც სტუმრად შეძლო **დიმიტრი ბასილაიასა** და **ნიკოლოზ მაღალდაძის** „ობენას“ დამარცხება - 24:13. კაჭარავამ და ბასილაიამ სრულად ითამაშეს, მაღალდაძე განაცხადში არ იყო.

### B ჯგუფი

მონტობანი-ვალანსი 27:13, ბლანიაკი-ლავორი 19:25, გროლე-ბეზიე 17:45, ლა სეინი-შატორენარი 23:6, გრასი-რომანი 28:22, ობენა-ნიცა 13:24.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ბეზიე - 70 ქულა, 2. მონტობანი - 57, 3. ლა სეინი - 56, 4. ნიცა - 55, 5. ბლანიაკი - 50, 6. რომანი - 50, 7. ლავორი - 49, 8. ვალანსი - 48, 9. შატორენარი - 47, 10. ობენა - 37, 11. გროლე - 36, 12. გრასი - 21.

C ჯგუფიდან პლეი ოფში ქართველ მორაგბეთა ერთმა გუნდმა გააღწია. **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძის, დავით დათუნაშვილისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** „პერიგო“ 86 ქულით პირველ ადგილზეა. ჩვენებურთა გუნდმა 21-ე ტურში სტუმრად დაამარცხა მარმანდი - 22:16. ზიბზიბაძემ, დადუნაშვილმა და მარგველაშვილმა სრულად ითამაშეს, ნინიძე ტრავმირებულია.

„პერიგოს“ ერთი ქულით ჩამორჩება „ლიმოჟი“, რომელმაც სტუმრად დაამარცხა **ვახტანგ მაისურაძის** „სენ ნაზერი“ - 26:10. ამ მარცხის გამო სენნაზერელებმა პლეი ოფში მოხვედრის შანსი დაკარგეს. ჩვენებურის გუდი ახლა 53 ქულით მეექვსე ადგილზეა და მეოთხეადგილოსანი „მარმანდი“ რვა ქულით უსწრებს. მაისურაძემ სრულად ითამაშა.

ამავე ჯგუფში ბოლოსწინა, მე-11 ადგილზეა **ირაკლი გუნდიშვილისა** და **შოთა საყვარელიძის** „ნიორი“, რომელმაც სტუმრად წააგო „სენ მედართან“ - 5:17.

### C ჯგუფი

სენტ ჟუნიენი-ვანი 25:12, ტური-ლანჟონი 11:24, რიბერაკი-პაი დუ მედოკი 19:16, სენ ნაზერი-ლიმოჟი 10:26, მარმანდი-პერიგო 16:22, სენ მედარი-ნიორი 17:5

#### სატურნირო მდგომარეობა

1. პერიგო - 86 ქულა, 2. ლიმოჟი - 85, 3. ვანი - 71, 4. მარმანდი - 61, 5. ლანჟონი - 59, 6. სენ ნაზერი - 53, 7. სენ მედარი - 50, 8. სენ ჟუნიენი - 47, 9. რიბერაკი - 33, 10. პაი დუ მედოკი - 24, 11. ნიორი - 14, 12. ტური - 13.

D ჯგუფში „ქართულმა გუნდებმა“ წარუმატებლად იასპარეზეს. **მერაბ კვირიკაშვილის, რეზო გიგაურის, ლევან დათუნაშვილის, დავით ბალანჩივაძისა** და **ბექა ურჯუკაშვილის** „ფიჟაკი“ 44 ქულით მე-11 ადგილზეა. ფიჟაკელებმა ბოლოსწინა ტურში შინ დაამარცხეს „მოლეონი“ - 45:15. კვირიკაშვილმა, რომელმაც სრულად ითამაშა ერთი ლელო, ოთხი გარდასახვა და ოთხი საჯარიმო გაიტანა (25 ქულა), 47-ე წუთზე ლელო მიითვალა დათუნაშვილმაც, ბალანჩივაძე 64-ე წუთზე შეცვალეს, ურჯუკაშვილმა და გიგაურმა სრულად ითამაშეს.

**კარლენ ასეიშვილის** „ორტეზმა“, რომელიც 30 ქულით ბოლო ადგილზეა, სტუმრად მოუგო „სენ ჟან დე ლუზს“ - 27:17. ასეიშვილი თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო.

### D ჯგუფი

ოლორონი-კასტანე 30:28, ფიჟაკი-მოლეონი 45:15, ტურნეფოი-ლილი 30:20, მორლაატიროსი 23:20, სენ ჟან დე ლუზი-ორტეზი 17:27, ლურდი-კაორი 40:17.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ტიროსი - 82 ქულა, 2. კასტანე - 73, 3. ლილი - 69, 4. ლანამეზანი - 66, 5. ოლორონი - 57, 6. სენ ჟან დე ლუზი - 53, 7. ლურდი - 53, 8. მორლაა - 52, 9. მოლეონი - 46, 10. ტურნეფოი - 45, 11. ფიჟაკი - 44, 12. კაორი - 31, 13. ორტეზი - 30.



მარჯვნივ სლემით ლევან დათუნაშვილი

ევროპის ჩემპიონატი, უ-18



# იტალია დაუძლეველი ბარიერი აღმოჩნდა

საფრანგეთში მიმდინარე 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ნახევარფინალში იტალიელ თანატოლებთან წააგო - 16:36.

მატჩის ბედი ჯერ კიდევ პირველ ნახევარში გადაწყდა, როცა იტალიელებმა ოთხი ლელო გაგვიტანეს და ტაიმი 29:3 მოიგეს. იტალიელებმა სწორი სტრატეგია აირჩიეს. მათ სამი დღის წინ, პორტუგალიასთან მატჩში, თითქმის სათადარიგო გუნდით ითამაშეს. დასტურად ისიც გამოდგება, რომ ჩვენს წინააღმდეგ სათამაშოდ შემადგენლობაში შვიდი მორკინალი და ერთი უკანახაზელი შეცვალეს.

„პატარა ბორჯღალოსნებმა“ ხელი მეორე ტაიმშიღა გამოიღეს და მეტოქეს ორი ლელო და ერთი საჯარიმო გაუტანეს, თუმცა ეს მატჩის გადასარჩენად საკმარისი არ აღმოჩნდა, მით უფრო, რომ თამაშის მიწურულს იტალიელებმა კიდევ ერთი ლელო მიითვალეს.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები 23 აპრილს მესამე ადგილისთვის გერმანიის გუნდს დაუპირისპირდება, რომელმაც თავის მხრივ, შოტლანდიასთან წააგო.

### საქართველო-იტალია 16:36

საქართველო: 15. გიორგი აფციაური, 14. მურაზ გიორგაძე, 13. თამაზ მჭედლიძე, 12. მერაბ შარიქაძე, 11. გიორგი ფრუიძე, 10. გიორგი ბასილია, 9. ვაჟა ხუციშვილი. 1. გიორგი თეთრაშვილი, 2. გიორგი ლომთაძე, 3. ვახტანგ ახობაძე, 4. გიორგი სორდია, 5. გიორგი მჭედლიშვილი, 6. საბა შუბითიძე, 7. თამაზ ოლხიაშვილი, 8. ნოდარ მარდალეიშვილი.

16. დავით ხიდეშელი, 17. რატი ასათიანი, 18. თორნიკე ჯიბლაძე, 19. ლაშა მოსეშვილი, 20. ზურაბ თუთბერიძე, 21. გიორგი ტალახაძე, 22. ნიკოლოზ პინაიშვილი.

### ევროპის ჩემპიონატი

#### ნახევარფინალი

**V ადგილისთვის**

რუსეთი-პორტუგალია 7:8,
რუმინეთი-ბელგია 6:19

**III ადგილისთვის, 23 აპრილი**

საქართველო-გერმანია

**ფინალი**

შოტლანდია-იტალია

საქართველოს ჩემპიონატი, I ლიგა

# დაუმარცხებელი ორი დარჩა

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში სამი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი ორი გუნდი დარჩა. თბილისის „ჯიქებმა“ და „ბათუმი XV“-მ სამი თამაშიდან სამივე მოიგო და უნდა ვივარაუდოთ, რომ უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლა სწორედ ამ გუნდებს შორის წარიმართება.

ბათუმელებმა, ორი საშინაო გამარჯვების შემდეგ, პირველი სერიოზული გამოცდა მესამე ტურში, სტუმრად თბილისის „ხულიგანასთან“ მატჩში ჩააბარეს. შეხვედრა შავიზღვისპირელების უპირატესობით წარიმართა და მეტოქე 27:7 დაამარცხეს. ცხადი გახდა, რომ „ბათუმი XV“ პირველი ლიგის გათამაშების ერთ-ერთი ყველაზე რეალური ფავორიტია.

საკმაოდ სერიოზული მეტოქე ჰყავდა პირველი ლიგის დებიუტანტ თბილისის „ჯიქებსაც“. „თი ბი სი“ მესამე ტურამდე დაუმარცხებელი იყო, მაგრამ **გიორგი ამირხანაშვილის** ახალგაზრდულ გუნდთან ვერას გახდა და 11:34 წააგო.

ქუთაისის „ბაგრატმა“ შინ უჩვეულოდ დიდი ანგარიშით დაამარცხა ოზურგეთის „არწივები“ - 90:0. ეს ქუთათურთა პირველი გამარჯვება იყო მიმდინარე სეზონში.

ზედიზედ მეორედ მოიგო თბილისის „დევებმა“. მოყვარულთა გუნდმა ამჯერად ფოთის „რაინდებს“ სძლია მშრალი ანგარიშით - 31:0.

### III ტური

ხულიგანა-ბათუმი XV 7:27, დევები-რაინდები 31:0, თი ბი სი-ჯიქები 11:34, ბაგრატი-არწივები 90:0

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ბათუმი XV - 6 ქულა, 2. ჯიქები - 6, 3. თი ბი სი - 4, 4. დევები - 4, 5. ბაგრატი - 2, 6. ხულიგანა - 2, 7. რაინდები - 0, არწივები - 0

### IV ტური

არწივები-რაინდები, ბაგრატი-ხულიგანა, ბათუმი XV-თი ბი სი, ჯიქები-დევები

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი


რიკ ადელმანი

# ადელმანი წავიდა

„ჰიუსტონ როკეტსის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ლეგენდარული **რიკ ადელმანის** წასვლა. ვეტერანი სპეციალისტის კონტრაქტს 30 ივნისს ეწურება ვადა და მხარეებმა გადაწყვიტეს ალარ გააგრძელონ ხელშეკრულება. 64 წლის ადელმანმა, რომელიც კალათბურთის დიდების დარბაზის წევრია, 2007 წელს ჩაიბარა ტეხასური კლუბი და ოთხი სეზონის განმავლობაში 193 მატჩი მოიგო და 135-ში დამარცხდა.

*„ჰიუსტონში" მუშაობისგან ყოველთვის სიამოვნებას ვიღებდი. ერთად ბევრი რამის მიღწევა შევძელით და ბევრი მძიმე პერიოდიც გავიარეთ. რთული გარემოებების მიუხედავად, არც მოთამაშეები და არც კლუბის ხელმძღვანელები არ ნებდებოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ სიტუაციის გამოსასწორებლად. გუნდს ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ"*, - განაცხადა ადელმანმა.

ამ მწვრთნელმა 2008-09 წლების სეზონში გაიყვანა „ჰიუსტონი" დასავლეთი კონფერენციის ნახევარფინალში, მაგრამ უფრო მეტის მიღწევა ვერ შეძლო. ბოლო ორი წელია „როკეტსი" პლეი ოფის მიღმა დარჩა.

■ ■ ■

ამასობაში, „ჰიუსტონის" ერთ-ერთმა ლიდერმა **ლუის სკოლამ** მარცხენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. სავარაუდოდ, არგენტინელი ცენტრი იმ პერიოდისთვის ჩადგება მწყობრში, როცა ახალი სეზონისთვის საწვრთნელი შეკრება დაიწყება.

ამ სეზონში სკოლა „ჰიუსტონის" ლიდერი იყო მოხსნების რაოდენობით (8.2) და მეორე ქულების (18.3) მიხედვით.

# სუპერმენი ისევ საუკეთესო დამცველია

რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა და მალე ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობა სეზონის შედეგების მიხედვით ინდივიდუალური პრიზების დარიგებას დაიწყებს. ამერიკული პრესა NBA-ის შეფობასთან დაახლოებულ სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ 2010-11 წლების სეზონის საუკეთესო დამცველად მალე **დუაიტ ჰოვარდს** დაასახელებენ. თუ ეს ასე მოხდა, „ორლანდო მეჯიქის" ცენტრი პირველი მოთამაშე გახდება ისტორიაში, ვინც ამ პრიზს ზედიზედ მესამედ მოიგებს.


დუაიტ ჰოვარდი

გასულ რეგულარულში „სუპერმენის" სტატისტიკა 14.1 მოხსნას, 2.3 დაფარებასა და 1.3 ჩაჭრას შეადგენდა. დუაიტმა მოხსენების რიცხვით მხოლოდ მინესოტელ **კევინ ლავთან** წააგო, დაფარებების რაოდენობით კი მეორე ადგილი გაიყო „მილუოკის" ცენტრ **ენდრიუ ბოგუტთან**.

გარდა ამისა, ჰოვარდი **დერიკ როუზთან** („ჩიკაგო") და **ლებრონ ჯეიმსთან** („მაიამი") ერთად სეზონის საუკეთესო მოთამაშის ტიტულზე აცხადებს პრეტენზიას.

# ტონი ვილერბანში მიდის


ტონი პარკერი

ევროვნული საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე სულ უფრო მეტი კალათბურთელი განიხილავს კარიერის ევროპაში გაგრძელების ვარიანტს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გაფიცვის გამო ჩაიშლება NBA-ის მომავალი სეზონი.

„სან ანტონიო სპურსის" მცველი **ტონი პარკერი** აცხადებს, რომ ლოკაუტის შემთხვევაში სამშობლოში დაბრუნდება და 2011-12 წლების სეზონს საფრანგეთის ჩემპიონატში გაატარებს.

*„თუ მხარეები კომპრომისს ვერ მიაღწევენ და ლოკაუტს გამოაცხადებენ, საფრანგეთში დავბრუნდები და თანამემამულეებს გავახარებ, - ამბობს პარკერი. - შემიძლია რომელიმე დიდ კლუბში გადავიდე და ევროლიგაში გამარჯვებაზე ვიზრუნო, მაგრამ ეს არ მინდა. ჩემს კარიერაში ისედაც ბევრი იყო გამარჯვება და ტიტული. სავარაუდოდ, „ვილერბანის" შემადგენლობაში ჩავირიცხები"*.

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# ფავორიტებმა იძალეს

**აღმოსავლეთის ფავორიტებმა მეორე მატჩებში ისევ გაიმარჯვეს, ოღონდ ამჯერად „მაიამის" აღარ გასჭირვებია მოგება, „ჩიკაგომ" კი მეორე რთული ბრძოლა გადაიტანა.**

**აღმოსავლეთი**

| ჩიკაგო-ინდიანა | 96:90 |
|---|---|

17:18, 27:29, 23:20, 29:23

**ჩ:** როუზი (36+8 მოხსნა+6 პასი), ბუზერი (17+16 მოხსნა), დენგი (14+6 მოხსნა), უოტსონი (7), კორვერი (5), ნოა (4+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), კ. ტომასი (4), რ. ბრიუერი (4), ბოგანსი (3), ტ. გიბსონი (2), აშიქი.

**ი:** გრეინჯერი (19+3 ჩაჭრა), პრაისი (13), ფოსტერი (9), დ. კოლისონი (8), ჰიბერტი (8), დანლივი (8), ჯორჯი (6+4 დაფარება), მაკრობერტსი (6+6 მოხსნა), ჰენსბრო (6+6 მოხსნა), ფორდი (5), რაში (2).

**სერია: 2-0**

„ინდიანა პეისერსის" დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული დამაჯერებლად მიიწევს პლეი ოფის მეორე რაუნდისკენ. არ გამართლდა ზოგიერთი სკეპტიკოსის აზრი იმის შესახებ, რომ პლეი ოფში „გადაიწვებოდა" რეგულარულის საუკეთესო კალათბურთელი **დერიკ როუზი**. პირიქით, ეს ახალგაზრდა ვარსკვლავი სეზონის მეორე ნაწილში კიდევ უფრო ძლიერად ათამაშდა.

ქების ღირსია „ინდიანაც". ის აშკარად ჩამოუვარდება კლასში „ჩიკაგოს", მაგრამ ღირსეულად იბრძვის, ხასიათს ამჟღავნებს და რაც მთავარია, სამომავლო პოტენციალს აჩვენებს. ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

სერიის მეორე მატჩი მასპინძლებისთვის უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე პირველი. „ინდიანა" არათუ თანაბარ თამაშს აჩვენებდა, მატჩის დიდი ნაწილი ლიდერის როლშიც კი მოგვევლინა. წინ იყვნენ სტუმრები მეოთხე მეოთხედშიც, როცა **ტი ჯეი ფორდმა** გახსნა ანგარიში მეოთხე 12-წუთეულში. ქულა ქულაში თამაში თითქმის მთელი მეოთხედის განმავლობაში გრძელდებოდა. „პეისერსის" მხრიდან აგდებდნენ ფორდი, **ფოსტერი, დანლივი** და **რაში**, „ბულზის" მხრიდან პასუხობდნენ - **ბრიუერი**, როუზი, **უოტსონი** და **დენგი**. თამაშის ასეთი მსვლელობა საფინალო სირენამდე 5 წუთითა და 16 წამით ადრე იმავე როუზმა შეცვალა. თავიდან მან ერთ შეტევაში ორქულიანი ჩააგდო და მეტოქეს წესი დაარღვევინა, შემდეგ **ბუზერმა** გამოიჩინა თავი, რასაც ისევ როუზის ზუსტი ორქულიანი მოჰყვა - 7:0 გაქცევა ასეთ თანაბარ თამაშში „ინდიანასთვის" დალუპვის ტოლფასი იყო.

მიუხედავად ამისა, სტუმრები არ დანებდნენ და ბოლო წუთ-ნახევარში ოთხჯერ შეამცირეს სხვაობა ორ ქულამდე. მაგრამ ტრადიციას არ უღალატა და საჭირო მომენტში სამქულიანი ჩააგდო **კორვერმა**, მანვე აუღელვებლად შეასრულა საჯარიმოები და „ჩიკაგომ" ექვსი ქულით გაიმარჯვა.

| მაიამი-ფილადელფია | 94:73 |
|---|---|

19:13, 30:18, 26:21, 19:21

**მ:** ჯეიმსი (29+7 მოხსნა+6 პასი), ბოში (21+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), უეიდი (14+6 მოხსნა), ილგაუსკასი (7+6 მოხსნა), ჯონსი (7), ბიბი (5), ჯ. ენტონი (4+6 მოხსნა+3 დაარება), ჯ. ჰოვარდი (3), ჩელმერსი (2), ჰაუსი (2), მ. მილერი, მაგლოირი.

**ფ:** ტ. იანგი (18+6 მოხსნა), ტერნერი (15+6 მოხსნა), ჰოლიდეი (12), ლ. უილიამსი (8+6 პასი), მიქსი (7), იგუოდალა (5+7 მოხსნა+7 პასი), ბრენდი (3+7 მოხსნა), ბეტი (3), ჰოსი (2), სპეიტსი.

**სერია: 2-0**

პირველ მატჩში ორქულიანი სხვაობის დაფიქსირების შემდეგ ბევრმა იფიქრა, რომ ამ სერიაში იმაზე მეტი ბრძოლა იქნებოდა, ვიდრე თავდაპირველადვარაუდობდნენ. თუმცა მეორე შეხვედრამ ყველაფერი თავის ადგილას დააყენა: „მაიამი" ამ წყვილში აშკარა ფავორიტია და ხელს ვერაფერი შეუშლის მეორე ეტაპზე გასვლაში.

ამჯერად ფლორიდელები სულ სხვა განწყობით გავიდნენ სათამაშოდ. თამაშის სცენარი ისეთი იყო, რომ მასზე დაწვრილებით შეჩერება არ ღირს - მასპინძლები პირველი წუთიდან ბოლომდე დომინირებდნენ მოედანზე.

თუმცა რამდენიმე საინტერესო მომენტი მაინც უნდა გამოვყოთ. მაგალითად, **ლებრონ ჯეიმსმა** პირველ ტაიმში უფრო მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე „სიქსერზის" სასტარტო ხუთეულის ყველა წევრმა ერთად. თუმცა იგივე **კრის ბოშმაც** და **დუეინ უეიდმაც** გააკეთეს. შეიძლება ამან საყოველთაო გაოცება გამოიწვიოს, მაგრამ აი ერთი სტატისტიკური მონაცემი: „ფილადელფიას" ძირითადმა შემადგენლობამ „მაიამის" სასტარტო ხუთეულზე 47 ქულით ნაკლები დააგროვა. ასეთ პირობებში ზედმეტი იყო სტუმრების გამარჯვებაზე ლაპარაკი.

ბოლო 56 წლის განმავლობაში „ფილადელფიამ" პლეი ოფის მატჩში უფრო ნაკლები ქულა მხოლოდ ერთხელ დააგროვა. 1999 წელს „ორლანდოსთან" წაგებულ შეხვედრაში მისი მონაგარი 68 ქულას უდრიდა. თუმცა ის სერია „სიქსერზმა" მოიგო, მაგრამ წელს იმავეს გაკეთება ძალიან გაუჭირდება.


ლებრონს სერიოზული განწყობა ჰქონდა

# შაკი ვერ დარბის

შეიძლება ისე მოხდეს, რომ წლევანდელმა პლეი ოფმა **შაკილ ო'ნილის** გარეშე ჩაიაროს. გუშინ ცუდი ამბავი შეიტყვეს „სელტიქსის" გულშემატკივრებმა - ვეტერანი ცენტრის გამოჯანმრთელების პროცესი დროში გაიწელა.

შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ გუნდის გენერალური მენეჯერი **დენი ეინჯი** ამბობდა, რომ შაკი მოასწრებდა პლეი ოფის სტარტისთვის გამოჯანმრთელებას, მიუხედავად ამისა, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ „დიზელი" „ნიუ იორკთან" სერიის მეორე მატჩშიც არ ითამაშებს.

თუმცა, როგორც CSN იტყობინება, ყველაფერი გაცილებით უარესადაა. საქმე ისაა, რომ შაკი არ მონაწილეობს სრულფასოვან ვარჯიშებში და ჯერ სირბილიც არ შეუძლია.

როგორც ჩანს, ლეგენდარული ცენტრის კარიერა დასასრულს უახლოვდება.

■ ■ ■

სერიოზული აღმოჩნდა პლეი ოფის პირველ მატჩში მიღებული ტრავმა „ნიუ იორკის" გამთამაშებელ **ჩონსი ბილაპსისთვის**. გამოცდილმა მცველმა „ბოსტონთან" მატჩის ბოლოს ფეხი დაიზიანა და სავარაუდოდ, ვერ ითამაშებს მეორე შეხვედრაში. ამის შესახებ ჟურნალისტებს „ნიქსის" მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ დ'ანტონიმ** აცნობა.

ნიუიორკელთა დამრიგებლის თქმით, სასტარტოში ბილაპსის ადგილს **ტონი დუგლასი** დაიკავებს.


შაკი ვერ თამაშობს

■ ■ ■

პლეი ოფის პირველ შეხვედრაში „ნიუ ორლეანთან" საშინაო მარცხზე კომენტარი გააკეთა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა**:

*„ამ წაგების გამო განადგურებულები არ ვართ. ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა. როცა გუნდი აგებს სერიის პირველ მატჩს, ნებისმიერ ფასად საჭიროა ანგარიშის გათანაბრება, რათა ზედმეტი ნერვიულობის გარეშე იფიქრო საბოლოო წარმატებაზე"*.

შეგახსენებთ, რომ „ლეიკერსმა" პირველი მატჩი შინ 100:109 წააგო.

სხვათა შორის, კობიმ უყურადღებოდ არ დატოვა ესპანელი თანაგუნდელის **პაუ გასოლის** სუსტი თამაში: *„გასოლი აგრესიულად არ თამაშობს. ბოლოსკენ ძალიან დავილალე, მაგრამ ბოლომდე აგრესიული დავრჩი. მას გამოფხიზლება სჭირდება"*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# სტუმრების დღე

ჰოკეის ეროვნული ლიგის პლეი ოფში ჯერჯერობით ორი გუნდი გამოიკვეთა, რომლებსაც თითქმის გარანტირებული აქვთ შემდეგ წრეში თამაში - „ვანკუვერმა“ და „დეტროიტმა“ თავიანთ სერიებში სამიდან სამი მოიგეს. დანარჩენ წყვილებში კი ჯერ მთელი ბრძოლა წინ არის.

გუშინდელი დღე იმით იყო გამორჩეული, რომ ოთხივე მატჩში სტუმრებმა მიაღწიეს გამარჯვებას.


მონრეალი-ბოსტონი

### აღმოსავლეთი

**ბაფალო-ფილადელფია 2:4**

1:1, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ჯ. კარტერი-1 (მ. კარლი-3), 1:1 სტეფორდი-1 (პომინვილი-2, გრანიანი-3), 1:2 ბრიერი-2 (ჰარტნელი-2), 1:3 ჟერდიოვი-1 (მ. რიჩარდსი-1, ვერსტიგი-2), 2:3 გერბე-1 (ტიმ კონოლი-2, გრანიანი-4), 2:4 ტიმონენი-1 (კ. ჟიროუ-2, ჯ. კარტერი-1).

**სერია: 1-2**

ამ სერიაში მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის, თუმცა თანდათან იკვეთება აღმოსავლეთის მეორე გუნდის უპირატესობა.

„ფილადელფიას“ მთავარმა მწვრთნელმა **პიტერ ლავიოლეტმა** აღარ მიანდო კარის დაცვა წინა მატჩის ანტიგმირს, რუს მეკარე **სერგეი ბობროვსკის** და ამ სვლამ აშკარად გაამართლა. მთლიანად შეხვედრამ სტუმართა გუნდის უპირატესობით ჩაიარა, თუმცა ოთხზე მეტი გოლი ვერ გაიტანა იმ მიზეზის გამო, რომ ფილადელფიელები ბევრს უხეშობდნენ და ხშირად უწევდათ ორი წუთით მოედნის დატოვება.

მასპინძლების რიგებში უნდა გამოვყოთ ფორვარდი **ჯეფ კარტერი**, რომელმაც გოლი და შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში, თუმცა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ NHL-მ რუსი ლეგიონერი **ჟერდიოვი** აღიარა, რომელმაც ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში გაიტანა, როცა „ბაფალო“ შტურმზე იყო გადასული და ანგარიშის გათანაბრებას არაფერი უკლდა.

**ტამპა ბეი-პიტსბურგი 2:3**

1:2, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ტელბოტი-1 (ლავჯოი-1), 0:2 ეშემი-2 (რუპი-1, ლეტანგი-2), 1:2 სენტ ლუისი-2 (საიმონ განიე-4, სტემკოსი-1), 2:2 სენტ ლუისი-3 (ლეკავალიე-1, ბრიუერი-3), 2:3 ტაილერ კენედი-1 (ლეტანგი-3, ორპიკი-3).

**სერია: 1-2**

„პინგვინები“ ამ მატჩშიც ვერ ელირსნენ თავიანთი კაპიტნის სიდნი კროსბის დაბრუნებას, მიუხედავად ამისა, მაინც შეძლეს საკუთარი მოედნის უპირატესობის მოპოვება.

მასპინძლები ნამდვილად ვერ ბრწყინავდნენ სერიის მესამე შეხვედრაში. მათ რიგებში მხოლოდ **მარტინ სენტ ლუისის** გამოყოფა შეიძლება, რომელმაც დუბლი შეასრულა. თუმცა მის აქტიურობას „პიტსბურგმა“ მეკარე **მარკ-ანდრე ფლერის** საიმედო თამაში დაუპირისპირა.

მატჩის ბედი კი **ტაილერ კენედიმ** გადაწყვიტა. მან მაშინ გაიტანა, როცა სენტ ლუისის მეორე გოლიდან მხოლოდ 30 წამი იყო გასული. საფინალო სირენამდე კიდევ 17 წუთი რჩებოდა, მაგრამ „ტამპამ“ თამაშის გადარჩენა ვერ მოახერხა.

**მონრეალი-ბოსტონი 2:4**

0:2, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 კრეისი-1 (პ. ბერჟერონი-1, საიდენბერგი-1), 0:2 ჰორტონი-1 (ხარა-1, მაკუაიდი-1), 0:3 პევერლი-1 (რეკი-2), 1:3 ა. კოსტიცინი-1 (კამალერი-2, ჰამრლიკი-2), 2:3 პლეკანეცი-1 (კამალერი-2, სუბანი-1), 2:4 კ. კელი-1 (რეკი-3, პ. ბერჟერონი-2).

**სერია: 2-1**

პირველი ორი საშინაო მარცხის შემდეგ „ბოსტონმა“ ამ სერიას ინტრიგა დაუბრუნა. წინა ორი შეხვედრის გმირი **კორი პრაისი**, როგორც ჩანს, ზედმეტად შეაქეს, რადგან „მონრეალის“ მეკარემ აღნიშნულ თამაშში ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა.

სწორედ პრაისმა გაუკეთა საგოლე პასი მეტოქე ჰოკეისტს - **რიჩ პევერლის**, რის შემდეგაც ანგარიში 3:0 გახდა „ბოსტონის“ სასარგებლოდ. ასეთი უპირატესობის მიუხედავად, „დათვებმა“ მაინც გაირთულეს საქმე, ორი შაიბა გაუშვეს და ნერვიული ბოლო წუთები გადაიტანეს. ყველაფერი მაშინ გაირკვა, როცა **კრის კელიმ** საფინალო სირენამდე ნახევარი წუთით ადრე ცარიელ კარში გაიტანა და თავისიანების საბოლოო უპირატესობა დააფიქსირა.

ასე რომ, „ბოსტონმა“ შეამცირა სხვაობა სერიაში და როგორც ჩანს, ამაზე გაჩერებას არ აპირებს.

**ფინიქსი-დეტროიტი 2:4**

0:2, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 სალეი-1 (ჰელმი-1, კრონვალი-1), 0:2 დ. მილერი-1 (კრონვალი-2), 0:3 ფილპულა-1 (ჰუდლერი-1), 1:3 შლემკო-1 (ბოდკერი-1, ტარისი-1), 1:4 ფრანცენი-2 (ჯ. ერიქსონი-1), 2:4 რეი უიტნი-1 (ვრბატა-2, იენდლი-4).

**სერია: 0-3**

„დეტროიტმა“ „ვანკუვერს“ მიბაძა, ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო და ერთი გამარჯვება აკლია მეოთხედფინალში გასასვლელად. ამჯერად ფავორიტმა სტუმრად მოიგო და კვლავ ზედმეტი გართულების გარეშე. როგორც ჩანს, რეგულარულის ბოლოს აშკარა ჩავარდნამ კარგად იმოქმედა დეტროიტელებზე - ისინი ძალიან მობილიზებულები შეხვდნენ პლეი ოფს და ჯერჯერობით ერთი თავით მაღლა დგანან მეტოქეზე.

„ფინიქსს“ კი ვერ შველის თავისი მთავარი კოზირი - რუსი მეკარე **ილია ბრიზგალოვი**. მან ვერაფერი მოუხერხა **სალეის, მილერისა** და **ფილპულას** დარტყმებს და მეორე მეოთხედის სტარტისთვის „დეტროიტს“ თითქმის მოთავებული ჰქონდა საქმე - 3:0. განაწყენებულმა მასპინძლებმა **შლემკოსა** და **რეი უიტნის** მონდომებით ორჯერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა, მაგრამ ორივეჯერ ეს იმ დროს მოხდა, როცა „რედ უინგზი“ სამი შაიბით იყო წინ.

## სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# კინაღამ ანტირეკორდი


მარკ უილიამსი

სნუკერში მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დღეს ყველაზე საინტერესო იყო ფინალური სესია ერთ-ერთ ფავორიტს, უელსელ **მარკ უილიამსსა** და მისივე თანამემამულე **რაიან დეის** შორის.

პირველი სესიის შემდეგ უილიამსი 6:3 იყო დაწინაურებული, რაც მას საბოლოო წარმატების კარგ შანსს უტოვებდა. შესვენების შემდეგ პირველი ფრეიმი ურთულეს ბრძოლაში სწორედ ფავორიტმა მოიგო და დეის შანსები კიდევ უფრო მიზერული გახდა. მიუხედავად ამისა, მომდევნო ორი ფრეიმი რაიანმა აიღო. თუმცა ამის შემდეგ უილიამსმა ზედიზედ სამჯერ გააკეთა 50-იანი ბრეიკი, სამი ფრეიმი აიღო და მშვიდად დაასრულა მატჩი.

მეორე რაუნდში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს **ჯეიმი კოუპთან** ელის შეხვედრა, რომელმაც გაჭირვებით მოუგო **ენდრიუ პადჯეტს**, ვინც, სხვათა შორის, უილიამსის კარგი მეგობარია.

პადჯეტმა კოუპის მაღალ კლასს ვერაფერი მოუხერხა, თუმცა ამ უკანასკნელსაც არ უჩვენებია ის თამაში, რომლითაც შეძლებს ფავორიტი უელსელის დამარცხებას.

დასრულდა პირველი წრის კიდევ ორი შეხვედრა, თუმცა ამ დაპირისპირებებში მეორე სესია ფორმალურ ხასიათს ატარებდა. **ალი კარტერი დეივ ჰაროლდს** 8:1-ს უგებდა და მეორე დღეს კიდევ ოთხი ფრეიმის თამაში დასჭირდა საბოლოო გამარჯვების მისაღწევად - 10:3.

**მარკუს კემპბელი** კი კინაღამ მეორე სნუკერისტი გახდა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, ვინც „მშრალი“ ანგარიშით დათმო შეხვედრა. ჯერჯერობით ამ ანტირეკორდის ერთადერთი მფლობელია **ედი ჩარლტონი** - ის 1991 წელს **ჯონ პაროტტთან** განადგურდა 0:10.

კემპბელი პირველი სესიის შემდეგ 0:9-ს აგებდა **შონ მერფისთან**, მაგრამ ერთი ფრეიმის აღება მაინც შეძლო და სირცხვილს გადაურჩა.

ჩემპიონატის პირველი წრის შესახებ უფრო დაწვრილებით შემდეგ ნომერში გესაუბრებით.

| I წრე | |
|---|---|
| ტრამპი (ინგ)-რობერტსონი (ავსტრა) | 10:8 |
| კოუპი (ინგ)-პადჯეტი (უელ) | 10:7 |
| მერფი (ინგ)-კემპბელი (შოტ) | 10:1 |
| კარტერი (ინგ)-ჰეროლდი (ინგ) | 10:3 |
| უილიამსი (უელ)-დეი (უელ) | 10:5 |
| ჯუნჰუ (ჩინ)-ბარნეტი (ინგ) | 10:2 |
| ჰენდრი (შოტ)-პერი (ინგ) | 10:9 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ | 0:0 |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბარნლი-მიდლსბრო | 3:1 |
| **I ლიგა** | |
| ტრანმერი-ნოტსი | 0:1 |
| **II ლიგა** | |
| ბრედფორდი-ბარტონი | 1:1 |
| **კონფერენსი** | |
| ჰეიესი-გეიტშიდი | 3:1 |
| კიდერმინსტერი-დარლინგტონი | 1:2 |
| მენსფილდი-გრიმსბი | 0:2 |
| იორკი-ლუტონი | 1:0 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| რომა-ინტერი | 0:1 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ვერდერი A-დინამო | 0:3 |
| ბაბელსბერგი-კარლ ცაისი | 4:1 |
| ბურგჰაუზენი-ბრაუნშვაიგი | 0:0 |
| კობლენცი-ზაარბრიუკენი | 1:2 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ვორმატია-მიუნხენი A | 6:0 |
| პფიულენდორფი-ნიურნბერი A | 0:2 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| ნიცა-ლილი | 0:2 |
| **შოტლანდია** | |
| დანდი იუნ-რეინჯერსი | 0:4 |
| **I დივიზიონი** | |
| ფალკირკი-პარტიკი | 2:0 |
| ქუინი-როსი | 0:2 შეწყდა |
| **II დივიზიონი** | |
| ბრეჩინი-ისტ ფაიფი | 2:3 |
| ლივინგსტონი-ეირი | 3:2 |
| **III დივიზიონი** | |
| კლაიდი-ისტ სტირლინგი | 2:0 |
| **შვედეთი** | |
| გაის-იურგორდენი | 2:1 |
| **შვედეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| ტროლჰატანი-დეგერფორსი | 2:0 |
| **ავსტრიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ავსტრია (ვ)-ავსტრია (ლ) | 0:4 |
| ვენა-კაპფენბერგი | 0:2 |
| **შვეიცარია** | |
| ბელინცონა-სიონი | 2:2 |
| ციურიხი-იანგ ბოიზი | 2:1 |
| **ირლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ეთლონი-ფინ ჰარპსი | 1:0 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| ტრნავა-სლოვანი | 2:3 (2:2) |
| მორავცე-ჟილინა | 1:0 (0:3) |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| პოდბესკიძი-ლეხი | 2:3 (1:1) |
| **უნგრეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| კეჩკემეტი-ზალაეგერშეგი | 5:1 |
| **ბელარუსი** | |
| დინამო (მნ)-ნაფტანი | 0:1 |
| ტორპედო-გომელი | 1:1 |
| დნეპრი-ნემანი | 1:1 |
| ვიტებსკი-[illegible] | 0:1 |
| შახტიორი-მინსკი | 1:0 |
| დინამო (ბრ)-ბატე | 0:3 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| ლინფილდი-გლენტორანი | 3:2 |
| პორტდაუნი-ლისბურნი | 1:0 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ფახთაქორი-ესტეგალი | 2:1 |
| ალ ნასრი-ალ სადი | 1:1 |
| ემირეიტი-ალ შაბაბი | 2:1 |
| ზობ აჰანი-ალ რიიანი | 1:0 |
| სეული-ნაგოია | 0:2 |
| კაშიმა-სუვონი | 1:1 |
| შანხაი-სიდნეი | 2:3 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| **Under 17** | |
| მექსიკა-ჩერნოგორია | 0:1 |
| იტალია-რუსეთი | 1:1 |
| სლოვენია-ისრაელი | 1:0 |
| **Under 18** | |
| სერბეთი-სლოვენია | 2:1 |
| **Under 19** | |
| ჩეხეთი-იტალია | 2:3 |
| პორტუგალია-ესპანეთი | 1:1 |
| რუსეთი-საფრანგეთი | 0:0 |
| სლოვენია-სერბეთი | 1:1 |
| ბელგია-სლოვაკეთი | 1:0 |
| **ბალტიის ლიგა** | |
| ვენსპილსი-ფლორა | 4:0 |
| მეტალურგსი-იურმალა | 5:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| ტრიუმფი-ლოკომოტივი | 75:90 |
| სპარტაკი-დინამო | 80:70 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-თოფასი | 85:79 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-აისბარენი | 4:5 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბარსელონა** | |
| სტარაჩე-ს. ტრავერო | 6:4, 1:6, 0:2 უარი |
| დოდიგი-მილო | 6:2, 6:3 |
| ნიშიკორი-რიბა | 6:2 უარი |
| გასკე-ჩელა | 2:6, 7:6, 6:4 |
| გროილი-კენდრიკი | 6:4, 6:4 |
| ფ. ლოპესი-კუკუშკინი | 6:2, 6:7, 6:4 |
| ნიემინენი-ბერლოკი | 4:6, 6:4, 2:6 |
| ფერერო-მალისე | 6:4, 6:2 |
| ალმაგრო-ანდუხარი | 7:5, 7:6 |
| შტეპანეკი-რაონიჩი | 4:6, 2:6 |
| ჰაასე-მონფილსი | 6:3, 6:7, 2:6 |
| დავიდენკო-დოლგოპოლოვი | 6:4, 7:6 |
| **WTA. ფესი** | |
| დოი-ლალამი | 2:6, 5:7 |
| დანილიდუ-უ. რადვანსკა | 2:6, 7:6, 6:4 |
| პივოვაროვა-ელ ალამი | 6:3, 7:6 |
| ბეგუ-შვედოვა | 3:6, 2:6 |
| საფინა-კრეიბასი | 6:1, 6:0 |
| ვორაკოვა-პლიშკოვა | 7:6, 5:7, 3:6 |
| რეზაი-რუსი | 4:6, 6:4, 6:3 |
| პოუს ტიო-ბრიანტი | 5:7, 2:6 |
| სოლერი-ფლიპკენსი | 3:6, 3:6 |
| **WTA. შტუტგარტი** | |
| სტოსური-მარტინეს სანჩესი | 7:5, 6:1 |
| დულგერუ-ჰანტუხოვა | 5:7, 3:6 |
| გორჯესი-კრაიჩეკი | 6:3, 6:1 |
| ჩაკვეტაძე-კუკოვა | 6:1, 5:7, 4:6 |
| ციბულკოვა-ლისიცკი | 5:7, 6:7 |
| პავლიუჩენკოვა-ვინჩი | 6:3, 6:4 |
| ა. რადვანსკა-ჰემპტონი | 6:0, 6:1 |
| პეტკოვიჩი-პაჩეკი | 3:6, 6:2, 6:2 |

## TV პროგრამა

### 20 აპრილი. ოთხშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ იუნაიტედი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვენი-პსვ.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლიონი.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. რომა-პალერმო.
20:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:30 ესპანეთის თასი. ფინალი. რეალი-ბარსელონა (LIVE).

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. დალასი-პორტლენდი. II მატჩი.
14:00 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
15:30 კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა.
16:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. მაიამი-ფილადელფია. II მატჩი.
18:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულონი-ტულუზა.
19:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. სტად ფრანსე-კლერმონი.
21:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. მიმოხილვა.
21:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. რაფაელ ნადალი-დავიდ ფერერი.
23:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. დალასი-პორტლენდი. II მატჩი.
04:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ოკლაჰომა-დენვერი. II მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

19:45 რუსეთის თასი. 1/4 ფინალი. ზენიტი-ცსკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

19:15 ფეხბურთი. რუსეთის თასი. 1/4 ფინალი. დინამო-როსტოვი (LIVE).
03:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. რეინჯერსი-ვაშინგტონი. IV მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

19:45 რუსეთის თასი. 1/4 ფინალი. ზენიტი-ცსკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

04:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. სან ანტონიო-მემფისი. II მატჩი (LIVE).

**SPORT+**

18:30 ფეხბურთი. რუსეთის თასი. 1/4 ფინალი. სპარტაკი-კრასნოდარი (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ველოსპორტი. ფლეშ ვალონი. ბელგია (LIVE).
18:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:15 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

12:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
15:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
17:45 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# პირველი ღამე ფედერერთან



როჯერ ფედერერი

კარიერაში **როჯერ ფედერერის** პირველად დამარცხება ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის განსაკუთრებული მოვლენაა. მას შემდეგ, რაც შვეიცარიელი 2004 წლის თებერვალში რეიტინგს ჩაუდგა სათავეში და ლეგენდად იქცა, მან 21 ჩოგბურთელი „გააბედნიერა". წინა კვირას მონტე კარლოს მასტერსზე რიგით 22-ე ასეთი მოთამაშე გახდა ავსტრიელი **იურგენ მელცერი**.

ყველაფერი **რაფაელ ნადალიდან** დაიწყო. სწორედ ესპანელი გახდა პირველი, ვინც ფედერერის დამარცხება შეძლო იმ მომენტიდან, როცა შვეიცარიელი რეიტინგში დაწინაურდა. ახალგაზრდა რაფამ 2004 წელს მაიამიში აჯობა როჯერს. სხვათა შორის, ეს იყო მათი პირველი დაპირისპირება პროფესიულ ტურში. იმავე წელს პირველად ფედერერის დამარცხება შეძლო ახალგაზრდა ჩეხმა **ტომაშ ბერდიხმა** - ასევე მათ პირველ შეხვედრაში. ეს ათენის ოლიმპიადაზე მოხდა. პირველივე ცდაზე ლიდერის დამარცხების ტენდენცია გააგრძელა ფრანგმა **რიშარ გასკემ** - 2005 წელს მონტე კარლოში.

თუმცა ამ სამეულის დაწყებული საქმე ვერ გააგრძელეს **ენდი მიურეიმ** და **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. მათ დათმეს ფედერერთან სადებიუტო შეხვედრები (ნოვაკმა პირველი ოთხი მატჩი წააგო) იქამდე, სანამ პირველ გამარჯვებებს იზეიმებდნენ. ბრიტანელმა ეს 2006 წელს ცინცინატიში შეძლო, სერბმა 2007 წელს - კანადაში.

■ ■ ■

ამ მხრივ როჯერისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა 2007 წელი. პირველი სამი სეზონი რეიტინგის სათავეში ყოფნისას ფედერერი „პირველი ღამის" უფლებას ახალგაზრდა და პერსპექტიულ მოთამაშეებს აძლევდა, ხოლო თუ კიდევ ვინმესთან მარცხდებოდა, მხოლოდ იმათთან, ვისთანაც რეიტინგში გალიდერებამდე ჰქონდა წაგებული. სამ სეზონში ასეთი ექვსი მოთამაშე დაგროვდა - **ტიმ ჰენმანი, ალბერტ კოსტა, გუსტავო კუერტენი, დომინიკ ჰრბატი, მარატ საფინი** და **დავიდ ნალბანდიანი**. 2007 წლიდან კი ფედერერმა თავისი მეფობისას „დემოკრატია" გამოაცხადა და მისი დამარცხების შანსი უბრალო ჩოგბურთელებმაც მიიღეს.

2007 წლის გაზაფხულზე ყველა განაცვიფრა 30 წლის **გილერმო კანიასმა**. ეს არგენტინელი გრუნტის სპეციალისტი იყო, თან დოპინგის მიღების გამო დისკვალიფიკაცია ახალი მოხდილი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, გილერმომ ზედიზედ ორ ამერიკულ მასტერსზე - ინდიან უელსსა და მაიამიში ჰარდზე აჯობა შვეიცარიელს. საჩოგბურთო საზოგადოება შოკში აღმოჩნდა. ჩვენ მიერ მოყვანილ სიაში კანიასი ვერ მოხვდა, რადგან 2002 წელს ჰყავდა დამარცხებული როჯერი (სხვათა შორის, ასევე ჰარდზე).

ამ სიაში კი ყველაზე ბედნიერი, ალბათ, იტალიელი **ფილიპო ვოლანდრი** უნდა იყოს, რომელმაც პირველად ფედერერს რომის მასტერსზე სძლია. მაშინ ეს შედეგი ყველამ გაუგებრობად მონათლა, მით უმეტეს, რომ სეზონის ბოლო ნაწილი შვეიცარიელმა უმაღლეს დონეზე ჩაატარა. ასევე ბედნიერი უნდა ყოფილიყო ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** წლის შემაჯამებელ ტურნირზე - იქ მან მხოლოდ მე-11 ცდაზე შეძლო როჯერის დამორჩილება.

■ ■ ■

2008 წელს ამ ყველაფერმა უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო. ინდიან უელსში მინესოტელმა ბიჭმა **მარდი ფიშმა** პირველად მოუგო ფედერერს ხუთი მარცხის შემდეგ. პირობითად ამ ჩამონათვალში **ენდი როდიკის** შეყვანაც შეიძლება - მაიამიში მან პირველად მოუგო როჯერს ხუთი წლის განმავლობაში, მანამდე კი ურთიერთშეხვედრებში ანგარიში 1:15 იყო. კანადაში ფრანგი **ჟილ სიმონის** ჯერი დადგა - მანაც პირველად მოუგო ფედერერს, ხოლო იმავე წელს მეორედ სეზონის შემაჯამებელ ტურნირზე დაამარცხა. ცინცინატის მასტერსზე გაიხარა ხორვატმა **ივო კარლოვიჩმა** - მეშვიდე ცდიდან აჯობა რეიტინგის ლიდერს (მესამე სეტის ტაიბრეიკზე). პეკინის ოლიმპიადაზე ფედერერმა ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი** გააბედნიერა - მანამდე ამ ჩოგბურთელებს შორის ანგარიში 8:0 იყო როჯერის სასარგებლოდ.

2009 წელს მონტე კარლოს მასტერსზე თავისი შანსი არ გაუშვა ხელიდან შვეიცარიის უცვლელმა მეორე ნომერმა **სტანისლას ვავრინკამ**. კანადაში ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა** ელირსა მატჩბოლზე შვეიცარიელის ორმაგ შეცდომას. სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო მატჩში (ამერიკის ღია პირველობის ფინალი) არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** მეშვიდე ცდაზე მოუგო ლეგენდას. პარიზის მასტერსზე ბედმა გაუღიმა ადგილობრივ ჩოგბურთელს **ჟულიან ბენეტოს**. რუსმა **ნიკოლაი დავიდენკომ** კი წლის შემაჯამებელ ტურნირზე ჯერ ფედერერი დაამარცხა კარიერაში პირველად და შემდეგ მთავარი პრიზიც მოიპოვა.

2010 წელს ფედერერის პირველად დამარცხებას გემო გაუგო კვიპროსელმა **მარკოს ბაღდატისმა** - ის, რაც ვერ შეძლო 2006 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში, ინდიან უელსის მასტერსზე გააკეთა (მეშვიდე ცდაზე). ლატვიელმა **ერნესტ გულბისმა** თავისი საქმე გააკეთა რომის მასტერსზე, თუმცა მას შემდეგ ბალტიისპირელის კარიერა არ აეწყო. **ალბერტ მონტანიესს** მეოთხე ცდაზე ძალიან გაუმართლა პორტუგალიის კურორტ ეშტორილში. ხოლო მრისხანე შვედმა **რობინ სიოდერლინგმა** როლან გაროსზე შეწყვიტა ფედერერთან 13-მატჩიანი მოუგებელი სერია და თან ტიტულის დაცვა არ დაანება უხერხულ მეტოქეს. პარიზის მასტერსზე კი როჯერი ისევ ფრანგთან დამარცხდა - ამჯერად **გაელ მონფილსთან**, რომლისთვისაც ეს პირველი მოგება იყო ხუთ შეხვედრაში.

ამ სეზონში კი იურგენ მელცერი ჯერჯერობით ერთადერთია. მანამდე ავსტრიელს ფედერერის წინააღმდეგ სამ მატჩში სეტიც არ ჰქონდა მოგებული, არადა, ეს სამი მატჩი გასულ წელს ჩატარდა, როცა როჯერი უკვე საკმაოდ გულუხვი იყო. როგორც ჩანს, იურგენს გრუნტმა უშველა, რადგან წინა მატჩები შვეიცარიელთან ჰარდსა და ბალახზე ჰქონდა წაგებული.

საერთო ჯამში კი ლოგიკურია, რომ ასაკში შესული ფედერერი ველარ დომინირებს, განსაკუთრებით გრუნტზე. სავარაუდოდ, უახლოეს თვე-ნახევარში შეიძლება ველოდოთ სიურპრიზებს. როგორც ბოლო სამი „დემოკრატიული" სეზონი გვიჩვენებს, როჯერი წელიწადში ხუთ მეტოქეს აბედნიერებს და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კიდევ ვილაცას გაუღიმებს ბედი.

**2004**

რაფაელ ნადალი
ტომაშ ბერდიხი

**2005**

რიშარ გასკე

**2006**

ენდი მიურეი

**2007**

ფილიპო ვოლანდრი
ნოვაკ ჯოკოვიჩი
ფერნანდო გონსალესი

**2008**

მარდი ფიში
ენდი როდიკი
ჟილ სიმონი
ივო კარლოვიჩი
ჯეიმს ბლეიკი

**2009**

სტანისლას ვავრინკა
ჟო-ვილფრიდ ცონგა
ხუან მარტინ დელ პოტრო
ჟულიან ბენეტო
ნიკოლაი დავიდენკო

**2010**

მარკოს ბაღდატისი
ერნესტს გულბისი
ალბერტ მონტანიესი
რობინ სიოდერლინგი
გაელ მონფილსი

**2011**

იურგენ მელცერი




ჯოკოვიჩი ალბერ II-სთან ერთად

# ნოვაკი მშვიდობის ელჩია

მსოფლიო რეიტინგის მეორე ნომერი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** პრესტიჟული კლუბის - „ჩემპიონები მშვიდობისთვის" - წევრი გახდა. ეს კლუბი დააარსა ორგანიზაციამ „მსოფლიო და სპორტი" და მას მონაკოს თავადი **ალბერ II** პატრონობს. ამჟამად კლუბში სპორტის სხვადასხვა სახეობის 55 საუკეთესო წარმომადგენელია გაერთიანებული, რომლებიც სპორტის დახმარებით ეწევიან მშვიდობის პროპაგანდას.

*„ვამაყობ იმით, რომ ამ კლუბის წევრობა შემომთავაზეს. მინდა მთელ სამყაროს გადავცე ის სიხარული და სიამოვნება, რომელსაც ჩოგბურთისგან ვიღებ. მჯერა, რომ სპორტის დახმარებით შეიძლება მშვიდობის გავრცელება. მას შეუძლია გააუმჯობესოს ახალგაზრდების ცხოვრება და დააკავშიროს ერთმანეთთან საზოგადოების სხვადასხვა ფენა. მე მინდა ამაში მონაწილეობა, მინდა გავხდე მშვიდობის შემოქმედი. ეს ორგანიზაცია - ამის მიღწევის იდეალური საშუალებაა"*, - წერს ჯოკოვიჩი თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ჯოკოვიჩის გარდა აღნიშნული კლუბის წევრები არიან ცნობილი სპორტსმენები: **სერგეი ბუბკა, ფრენკი ფრედერიკსი, კეტი ფრიმენი, ელენა ისინბაევა, კრისტიან კარამბე, უილსონ კიპკეტერი, სებასტიან ლოები, პოლა რედკლიფი** და სხვები.

ფორმულა 1

# რა სჭირს ფერარის?

წლევანდელი სეზონი „ფერარისთვის" ძალიან ცუდად დაიწყო - ჩინეთის გრანპრიზე მეექვსე და მეშვიდე ადგილი აშკარად არ შეესაბამება იტალიური საჯინიბოს ამბიციებს.

ჯერჯერობით იტალიელთა ანგარიშზე არც ერთი პოდიუმი არ არის, არადა, უკვე სამი ეტაპი ჩატარდა. „სკუდერია" ტემპში აგებს თავის კონკურენტებთან და ძალიან ჩამორჩება სეზონის ლიდერ „რედ ბულს". ამიტომაც „ფერარის" პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეძემოლო** თავისი შეგირდებისგან პრობლემის ოპერატიულად გადაწყვეტას ითხოვს, რომელიც ბოლიდის გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული.

*„მიმდინარე შედეგები არაფრით არ შეესაბამება ჩვენს მოლოდინს. იმედი მაქვს, რომ ინჟინრები მთელ თავიანთ პროფესიონალიზმს წარმოაჩენენ, რათა უმცირეს ვადაში გააუმჯობესონ ჩვენი ბოლიდი.*

*მინდა, რომ „ფერარის" ბოლიდები აჩვენებდნენ ისეთ შედეგებს, რომელსაც ჩვენგან გულშემატკივრები ითხოვენ"*, - ამბობს ლუკა დე მონტეძემოლო.

■ ■ ■

„ფერარის" კრიზისს გამოეხმაურა „რენოს" ყოფილი შეფი, სკანდალურად ცნობილი იტალიელი მენეჯერი **ფლავიო ბრიატორე**. მანვე მიმდინარე ჩემპიონატში ძალთა თანაფარდობა შეაფასა.

ფლავიო ბრიატორე: *„პილოტის ოსტატობას ძველებურად აქვს მნიშვნელობა, მაგრამ სისწრაფე და ეფექტურობა - უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია. კარგ პილოტს ბევრის მიღწევა შეუძლია სწრაფი მანქანით, მაგრამ ფერნანდო ალონსოს ახლა არ აქვს ამის შესაძლებლობა - ახალი „ფერარი" არაკონკურენტუნარიანია. „რედ ბულთან" ჩამორჩენა ძალიან დიდია და დღეს „სკუდერიასთვის" უფრო მნიშვნელოვანი კონსტრუქტორთა თასზე მესამე ადგილის შენარჩუნებაა, ვიდრე ლიდერების გამოდევნება.*

*ფერნანდოს ყოველთვის უნდოდა „ფერარიში" გადასვლა. ერთი მხრივ, ის იქ კომფორტულად გრძნობს თავს, გარდა ამისა იცის, რომ „სკუდერიას" საჭირო პოტენციალი გააჩნია - ფინანსურიც და ტექნიკურიც. მაგრამ სერიოზული პროგრესის მისაღწევად უფრო თამამი და შემოქმედებითი მიდგომაა საჭირო. გუნდს რთული პერიოდი უდგას, მათ სასწრაფოდ უნდა მონახონ გადაწყვეტილება.*

*ვფიქრობ, წლევანდელი სეზონი მოსაწყენი გამოვა - „რედ ბულის" მანქანები მიუღწეველია კონკურენტებისთვის, ასე რომ, დაახლოებით ექვსი-შვიდი რბოლის შემდეგ, შესაძლოა, ჩემპიონის ვინაობა გარკვეული იყოს".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ფერარიში დაბნეულობა